საქართველომ ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციას ხელი მოაწერა 1994 წელს, თუმცა მისი რატიფიცირება 2009 წლამდე ვერ განხორციელდა. საქართველომ კონვენციაზე ხელმოწერით აიღო ვალდებულება ადასრულოს, როგორც უცხო ქვეყანაში მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ისე საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაც, მაგრამ განხორციელების მეთოდები წლების მანძილზე შეზღუდული იყო, რადგან არ არსებობდა გამართული შიდა კანონმდებლობა. ახალი “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონით გაჩნდა სამართლებრივი სისტემა უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა და საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა აღსრულების პროცესისთვის. აღსანიშნავია, რომ კერძო არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონიც არ ითვალისწინებდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებას და მხოლოდ მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლეოდა სასამართლოს მეშვეობით. 2015 წლის ცვლილებებით არბიტრაჟის შესახებ კანონმა კი ამ ნაწილში გაიზიარა UNCITRAL-ის მოდელური კანონის მოწესრიგება და როგორც არბიტრაჟს, ასევე სასამართლოს მიანიჭა უფლება გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები საარბიტრაჟო წარმოების მიზნებისთვის.

UNCITRAL-ის მოდელური კანონის თანახმად არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა აღსრულდეს სასამართლოსთვის მიმართვის გზით, თუ არბიტრაჟის მიერ სხვაგვარად არ იქნება დადგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ქართული კანონმდებლობა პრინციპულად იზიარებს UNCITRAL-ის მოდელური კანონის მიდგომას, არბიტრაჟის შესახებ კანონი გვთავაზობს ბუნდოვან რეგულირებას, რამაც შესაძლოა არასწორი ინტერპრეტაციისა და პრაქტიკის დამკვიდრებას შეუწყოს ხელი.

ძირითადი ნაწილი

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ ხელშემკვრელი სახელმწიფოს



ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითად დარჩენილიყო. საქმეში შპს „იზა“ და მკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლო განმარტა, რომ ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე¹

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“² ევროპის 1950 წლის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ყველა ადამიანისათვის იცავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას სამოქალაქო - სამართლებრივი უფლება - მოვალეობების განსაზღვრისას. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ არის მხოლოდ თეორიული უფლება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე, არამედ გულისხმობს - აგრეთვე გადაწყვეტილების აღსრულების კანონიერ მოლოდინს. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო განმარტავს, რომ აღსრულების პროცესი არის სამართალწარმოების შემადგენელი ნაწილი და უფლება სასამართლოზე, როგორც პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოზე, გულისხმობს ასევე აღსრულების პროცესის ხელმისაწვდომობასაც.³

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლება ვრცელდება არა მარტო სასამართლო განხილვასა და მის წინასწარ ეტაპებზე, არამედ თანმდევ ეტაპებზეც როგორც არის სასამართლო განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება (რაც ასევე მოიცავს, როგორც სასამართლო, ისე საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებას). აღნიშნული მიდგომა სასამართლომ პირველად დააფიქსირა სამოქალაქო სამართალწარმოებასთან დაკავშირებით საქმეში ”ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ“⁴. ევროსასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ შეიცავს გადაწყვეტილების აღსრულების ლეგიტიმურ მოლოდინს. მსგავსი მიდგომა გამოამჟღავნა ევროპულმა სასამართლომ საქმეში “ბურდოვი რუსეთის წინააღმდეგ”⁵, აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება იქნებოდა ილუზორული, თუკი ხელშემკვრელი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემიდან გამომდინარე, საბოლოო და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დარჩებოდა აღუსრულებელი ერთ-ერთი მხარის საზიანოდ. აღსრულების

¹ CASE of “IZA” Ltd and MAKRAKHIDZE v. GEORGIA, ევროპული სასამართლოს 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება.

² ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭო, 1950 წელი.

³ “აპოსტილი საქართველოს წინააღმდეგ“, ევროპის სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება.

⁴ Hornsby v. Greece ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება. კ. კორკელია, ნ. მჭედლიძე, ა. ნალბანდოვი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბ., 2005 წ. გვ. 131

⁵ Burdov v. Russia, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის გადაწყვეტილება. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, სტატიათა კრებული, რედ. კონსტანტინე კორკელია, თბ., 2007 წ. გვ. 166



დაყოვნება გარკვეული დროით შეიძლება მისაღები იყო, მაგრამ დაყოვნება არ უნდა მოხდეს იმ ვადით, რომ ხელყოს თავად მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების არსი. საქმეში “კირტატოსი საბერძნეთის წინააღმდეგ”¹, განმცხადებლებმა სადავოდ გახადეს მათ ქონებაზე გავლენის მომხდენი ადგილობრივი დაგეგმარების გადაწყვეტილებები და საქმე მოიგეს. სასამართლომ გამოარკვია, რომ ადგილობრივი ორგანოები 7 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არიდებდნენ თავს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საჭირო ზომების მიღებას, რითაც მთლიანად აზრი დაუკარგეს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დებულებებს. იმის განსაზღვრისას, ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ნებისმიერი დაყოვნება შესაბამისობაშია თუ არა მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან, ევროპული სასამართლო არ იყენებს ისეთ კრიტერიუმს, როგორცაა “გონივრული ვადა, რომელიც ეხება არა აღსრულების პროცედურებს, არამედ მხოლოდ სისხლის ან სამოქალაქო საქმის განხილვის პერიოდს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მომენტამდე. საქმეში “იასიუნენი და სხვები ლიტვის წინააღმდეგ”² სასამართლომ დაადგინა მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა, ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებმა 8 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ აღასრულეს ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ავალდებულებდა მათ განმცხადებლისთვის კომპენსაციის გადახდას საკუთრების უფლების რესტიტუციის შესახებ სპეციალური ეროვნული კანონის თანახმად. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებლობის გამო, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა დაადგინა ევროპის სასამართლომ შემდეგ საქმეებში: შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ³ და შპს „ამატ-ჯი“ და მებაღიშვილი საქართველოს წინააღმდეგ⁴. ორივე საწარმოს სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები 2001 წლიდან კანონიერ ძალაში იყო შესული, მაგრამ 2006 წლამდე იყო აღსრულებელი.

საარბიტრაჟო განხილვაში სასამართლოს ჩარევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგალითია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ზომების მიღება. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ძალზე მნიშვნელოვანია. ზოგიერთ სიტუაციაში მნიშვნელოვანი მტკიცებულება შეიძლება დაზიანდეს ან განადგურდეს, თუ ის სათანადოდ არ იქნება უზრუნველყოფილი მესამე მხარის მიერ, ან შესაძლოა ერთ მხარეს დასჭირდეს, რომ მეორე მხარემ

¹ *Kyrtatos v. Greece*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისთვის, თბ., 2008 წ. გვ. 62

² *Jasiuniene and Others v. Lithuania*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), სახელმძღვანელო იურისტებისთვის, თბ., 2008 წ. გვ. 62

³ *CASE of “IZA” Ltd and MAKRAKHIDZE v. GEORGIA*, ევროპული სასამართლოს 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე, კრებულის შემდგენელი თინათინ ბეჟანიშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბ. 2010 წ. გვ. 56.

⁴ *CASE of “AMAT-G” and MEBAGHISHVILI v. GEORGIA*, ევროპული სასამართლოს 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე, კრებულის შემდგენელი თინათინ ბეჟანიშვილი, საქართველოს უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ცენტრი, თბ. 2010 წ. გვ. 49.



შეწყვიტოს გარკვეული ქმედებების განხორციელება დაუყოვნებლივ. ასევე შესაძლოა აქტივებს სჭირდებოდეს დაცვა. საარბიტრაჟო ცენტრების წესების მსგავსად, კანონი არბიტრაჟის შესახებ არბიტრაჟს ანიჭებს უფლებას, გამოიყენოს სხვადასხვა უზრუნველყოფის ღონისძიება, თუ მომთხოვნი მხარე შეძლებს მათი საჭიროების დასაბუთებას¹.

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება. საერთაშორისო დონეზე ცნობა-აღსრულების შესახებ უნივერსალურ დოკუმენტს წარმოადგენს ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“². ნიუ-იორკის კონვენციის შექმნის მიზანი იყო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სწრაფი იძულებითი აღსრულების უზრუნველყოფის საშუალებებით, მნიშვნელოვნად გაეზარდა საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის როლი.

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებას საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოებაში დიდი ისტორია არ აქვს. მოდელური კანონის 1985 წლის თავდაპირველი ვერსია მხოლოდ ზოგადი რეგულირებით შემოიფარგლებოდა. 2006 წელს შეტანილი ცვლილებების ერთ-ერთ მიზანს, სწორედ უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა წარმოადგენდა. UNCITRAL-ის მოდელური კანონის თანახმად, არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა აღსრულდეს სასამართლოსთვის მიმართვის გზით, თუ არბიტრაჟის მიერ სხვა რამე არ იქნება დადგენილი³.

“არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრულია არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების სასამართლოს მიერ ცნობა-აღსრულება და ასევე გათვალისწინებულია არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებების იძულებითი აღსრულების შესაძლებლობა. კანონით მოცემული საკითხის განხილვის უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სააპელაციო სასამართლო. საქართველოში მოქმედი საარბიტრაჟო ორგანოების მიერ გამოტანილი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მიმართ სააპელაციო სასამართლო იყენებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებს, ხოლო უცხოეთის საარბიტრაჟო დაწესებულების საპროცესო აქტის მიმართ გამოიყენება “უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ” ნიუ-იორკის 1958 წლის 10 ივნისის კონვენცია და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები⁴.

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 17.1 მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, თუ ეს არ

¹ ნიკოლოზ ფიცხელაური, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან, თბ. 2015, გვ.194

² ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია „უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“.

³ UNCITRAL-ის (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია) მიერ გამოშვებული „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის მოდელური კანონი“, 1985 წელი.

⁴ გ. თითბერიძე, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ. 2020



ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას¹. მსგავსად აწესრიგებს აღნიშნულ საკითხს UNCITRAL-ის მოდელური კანონი. აღნიშნული დებულების გათვალისწინებით, უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებასთან მიმართებით მხარეებს ენიჭებათ ფართო უფლებამოსილება. აღსანიშნავია, რომ არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ისეთ ღონისძიებებს, რომელთა ცნობისა და აღსრულებისათვის სასამართლოსათვის მიმართვა არ დაიშვება და უფრო მეტიც ითვალისწინებს, რომ არბიტრაჟი თავადაა უფლებამოსილი დაადგინოს ასეთი ღონისძიებების აღსრულების განსხვავებული წესი.

“არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარის მიმართვის საფუძველზე, წერილობითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით, გონივრულ ვადაში დაავალოს მხარეს, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნება ან აღდგენა; ისეთი ზომების მიღება, რომლებიც უკავშირდება მეორე მხარისათვის ან საარბიტრაჟო წარმოებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას; ღონისძიებების განხორციელება იმ აქტივების შესანარჩუნებლად, რომლებითაც აღსრულდება შემდგომი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.² აღნიშნული ნორმის ანალიზით ირკვევა, რომ “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გარდა, უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა არ არსებობს, მაგრამ საერთაშორისო ნორმებზე და პრაქტიკაზე დაყრდნობით, არ კრძალავს უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიებების გამოყენებას, რომლებიც ამ ეტაპზე კანონით არ არის გათვალისწინებული³.

ერთ-ერთი ავტორის აზრით საარბიტრაჟო განხილვისას უზრუნველყოფის ზომების შინაარსი შეზღუდული არ არის მხოლოდ საარბიტრაჟო განხილვის ადგილის საპროცესო სამართლისათვის ცნობილი საშუალებებით. ამ დროს უზრუნველყოფის ზომები მორგებული შეიძლება იყოს საქმის გარემოებებზე, იმის გათვალისწინებით, რომ მას სავალდებულო ძალა აქვს მხოლოდ კონკრეტული საარბიტრაჟო განხილვის მხარეებისთვის და ამ საარბიტრაჟო განხილვის (დავის) საგნისათვის⁴. აქვე გასათვალისწინებელია, რომ არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი დაკავშირებულია საარბიტრაჟო შეთანხმებასთან და საარბიტრაჟო შეთანხმებაში შესაძლოა გათვალისწინებული იყოს არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისაგან განსხვავებული ღონისძიებები.

2009 წლის კანონის 23-ე მუხლის 2015 წლამდე მოქმედ რედაქციაში არსებობდა მითითება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლზე, რაც გამორიცხავდა მხარის შესაძლებლობას საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე მიემართა სასამართლოსთვის

¹ საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მუხლი 17. მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 19/06/2009, სსმ, 13, 02/07/2009.

² საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მუხლი 17. მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 19/06/2009, სსმ, 13, 02/07/2009.

³ გ. თითბერიძე, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ. 2020

⁴ გ. ცერცვაძე, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბ., 2008, გვ. 366



საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე. 2015 წლის ცვლილებებით ეს მითითება ამოიღეს. შესაბამისად, შეიცვალა სასამართლო პრაქტიკაც¹.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინებით, მხარეს აეკრძალა უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა, იმისდა მიუხედავად, რომ მხარეთა შორის არსებული საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე მოსარჩელეს საარბიტრაჟო სარჩელი ჯერ არ ჰქონდა აღძრული. მოსამართლემ მიუთითა, რომ საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მხარე ვალდებულია, სასამართლოში სარჩელი შეიტანოს განჩინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა. სასამართლომ აღნიშნა, რომ „რადგან მოცემულ შემთხვევაში საკითხი შეეხება საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენას, საარბიტრაჟო მოსარჩელემ მისი წარდგენისთანავე უნდა აცნობოს სასამართლოს აღნიშნულის თაობაზე.“²

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხში ქართული სასამართლოს მიერ არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის დებულებები გამოიყენება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა საარბიტრაჟო განხილვა საქართველოს ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს.³

აღნიშნული დებულების შესაბამისად, მნიშვნელოვანია საქართველოს ფარგლებს გარეთ მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვის პროცესში მიღებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულება საქართველოს ტერიტორიაზე. უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ეტაპზე ქართული სასამართლოს მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონის არამართებულ ინტერპრეტაციას და სასამართლო პრაქტიკა ვითარდებოდა ისე, რომ ქართულ სასამართლოს არ ჰქონდა კომპეტენცია გამოეყენებინა უზრუნველყოფის ღონისძიება იმ საარბიტრაჟო დავასთან მიმართებით, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს ფარგლებს გარეთ.⁴

ქართული სასამართლოების ამგვარი მიდგომა შეიცვალა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 03 ივლისის განჩინებით, რომლითაც უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ „ზემოაღნიშნულ ნორმათა შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხში უფლებამოსილი სასამართლოს (თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს) მიერ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის დებულებები გამოიყენება არა მხოლოდ იმ

¹ არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, თბ. 2018

² თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინება საქმეზე 2/ზ-5926-16.

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 03 ივლისის განჩინება, საქმეზე ას-538-511-2013.

⁴ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 აპრილის განჩინება, საქმეზე 2/ზ-352-2013.



შემთხვევაში, როცა საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა საარბიტრაჟო განხილვა საქართველოს ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს. ამასთან, ორივე შემთხვევაში, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის სამართალი ან სამართლებრივი სისტემა აირჩიეს მხარეებმა მათ შორის წარმოშობილი დავის მოსაწესრიგებლად“.¹

უზენაესი სასამართლოს აღნიშნული განჩინების საფუძველზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2013 წლის 29 ივლისს პირველად მიიღო გადაწყვეტილება ლონდონის საზღვაო არბიტრების ასოციაციის არბიტრაჟი (LMAA) მიმდინარე საქმეზე და გამოიყენა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც დაყადაღდა მოპასუხე მხარის საკუთრებაში არსებული ქონება.² აღნიშნული გადაწყვეტილებით ადასტურებს, რომ სასამართლოსთვის მსგავსი უფლებამოსილების მინიჭება წარმოადგენს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების ეფექტიან მექანიზმს.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უფლებამოსილების დადგენისას სასამართლო უთითებს, როგორც არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლზე, ასევე საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-20 მუხლზე, რომლის თანახმადაც, სარჩელის უზრუნველყოფისას საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოშია აღსასრულებელი ან საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია³. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2013 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „განსახილველ შემთხვევაში, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის განხილვისას საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია“.⁴ თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც ქართული სასამართლო თავისი კომპეტენციის დადგენისას ეყრდნობა მხოლოდ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-20 მუხლს⁵ და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებს ან მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებს⁶.

აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი არ ადგენს, თუ რა შემთხვევაშია ქართული სასამართლო კომპეტენტური განიხილოს მხარის

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 03 ივლისის განჩინება, საქმეზე ას-538-511-2013.

² ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ივლისის განჩინება, საქმეზე 2/ზ-674-2013.

³ საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, მუხლი 20. პარლამენტის უწყებანი, 19-20, 29/04/1998

⁴ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ივლისის განჩინება, საქმეზე #2/ზ-674-2013.

⁵ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 02 ნოემბრის განჩინება, საქმეზე #2/ზ-1037-2016.

⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 თებერვლის განჩინება საქმეზე ას-1556-1476-2017



განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონი არ ადგენს ამ მხრივ შეზღუდვას, თუმცა, აუცილებელია, რომ მხარეს გააჩნდეს ქართული სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარკვეული ინტერესი. შესაბამისად, უმჯობესია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების პროცესში ქართული სასამართლოს კომპეტენციის დადგენისას გამოყენებულ იქნას არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლთან ერთად, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი, რომელიც პირდაპირ უთითებს, რომ სარჩელის უზრუნველყოფისას საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოშია აღსასრულებელი ან საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია.

ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ასევე ცხადყოფს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების პროცესში, იშვიათი გამონაკლისების გარდა, სასამართლო საერთოდ არ უთითებს “უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ” ნიუ-იორკის 1958 წლის 10 ივნისის კონვენციას და UNCITRAL-ის მოდელურ კანონს, რომელიც არის არბიტრაჟის შესახებ საერთაშორისო კანონის საფუძველი. მაშინ როდესაც საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ“,¹ ასევე ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლი-ს მე-5 პუნქტით შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებას შორის კოლიზიის არსებობისას ცალსახად საერთაშორისო ხელშეკრულებას ანიჭებს უპირატესობას². აქვე ხაზგასამელია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული რეკომენდაციები ქართული კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმატიულ აქტებთან მაქსიმალური ჰარმონიზაციის თაობაზე³. აქედან გამომდინარე, უმჯობესია სასამართლოებმა, შიდა სამართლებრივი ნორმატიული აქტებთან ერთად საარბიტრაჟო სარჩელის ცნობა-აღსრულების პროცესში იხელმძღვანელონ ნიუ-იორკის კონვენციით „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“ და UNCITRAL-ის მოდელურ კანონით.

საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად ხდება იმ მხარის უფლებების შეზღუდვა ვის წინააღმდეგაც მიმართულია უზრუნველყოფის ღონისძიება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ უფლების შეზღუდვა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და ხორციელდებოდეს კანონით დადგენილ ფარგლებში. საქართველოს უზენაესი სასამართლო საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელზე

¹ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პალამენტი, 1995 წლის 24 აგვისტო, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995

² ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 33, 09/11/2009

³ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 27/06/2014, ძალაშია 2016 წლის 01 ივლისიდან.



მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება. იმისთვის, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება იქნეს გამოყენებული, უნდა არსებობდეს კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, კერძოდ, განცხადებაში უნდა მიეთითოს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა გამო უზრუნველყოფის ღონისძიებების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და, ასევე, მითითებული უნდა იყოს უზრუნველყოფის იმ ღონისძიებებზე, რომლებიც განმცხადებელს მიზანშეწონილად და გამართლებულად მიაჩნია¹.

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით გასაზღვრულია გამოსაყენებელი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები², რომელიც ყადაღას არ მოიცავს, თუმცა, არც კრძალავს, სწორედ ამიტომ და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით სასამართლო პრაქტიკაში როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით საარბიტრაჟო მოპასუხის ქონებაზე ყადაღის დადების უამრავი მაგალითი გვაქვს. თუმცა უზენაესი სასამართლოს ბოლო პერიოდის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული ყადაღა ქმნის პრაქტიკაში განხორციელების პრობლემებს, შესაბამისად იმატა უზენაესი სასამართლოს მხრიდან ყადაღის გაუქმების მაგალითებმა. უზენაესმა სასამართლომ უცხოური საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების საქმის განხილვისას, მიიღო გადაწყვეტილება გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ. აღნიშნულ საქმეში საარბიტრაჟო მოსარჩელემ მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატას საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით და მოითხოვა განმცხადებლის მიერ საარბიტრაჟო მოპასუხის წინააღმდეგ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საზღვაო საარბიტრაჟო კომისიაში წარდგენილი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის დადება საარბიტრაჟო მოპასუხის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე³.

სააპელაციო სასამართლომ მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა, მაგალითად საბანკო ანგარიშები არ დააყადაღა იმ მოტივით, რომ ფულად სახსრებზე ყადაღის დადებით მოწინააღმდეგე მხარეს ეკრძალება ამ სახსრების გამოყენება და ნებისმიერი ფორმით განკარგვა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას და დააბრკოლოს სამეწარმეო საქმიანობა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საბანკო ანგარიშების დაყადაღება უნდა განხორციელდეს გამონაკლის და უკიდურეს შემთხვევებში, როდესაც იურიდიულ პირს არ გააჩნია უძრავ-მოდრავი ქონება და აშკარაა, რომ აღნიშნულის გარეშე შეუძლებელია გადაწყვეტილების აღსრულება, ამასთან, მხოლოდ მოთხოვნის ფარგლებში და იმ ოდენობით, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებამ არ მიაყენოს გამოუსწორებელი ზიანი მოპასუხისა და სხვა პირთა უფლებებს. შესაბამისად სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება დაუსაბუთებელი იყო, თუმცა, დააყადაღა უძრავ-მოდრავი ქონება.

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 10 დეკემბრის განჩინება საქმეზე ას-1259-2021

² საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მუხლი 17, მე-2 პუნქტი. მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 19/06/2009, სსმ, 13, 02/07/2009.

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 თებერვლის განჩინება საქმეზე ას-1556-1476-2017.



საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების შესწავლისა და საჩივრის საფუძვლიანობის ანალიზის შედეგად გააუქმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებების ის ნაწილი, რომლითაც ყადაღა დაედო საჩივრის ავტორის სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას და მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ქონების გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვის შესახებ. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ მომავალში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება შესაძლოა ვერ აღსრულდეს ან აღსრულება მნიშვნელოვნად დაბრკოლდეს.

ამდენად, ეროვნული სასამართლოების მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დროს უნდა შეფასდეს თანაზომიერების პრინციპი, ანუ მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება უნდა იყოს მოთხოვნის პროპორციული. ამიტომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების საკითხის გადაწყვეტის დროს სასამართლომ ყოველთვის უნდა შეაფასოს სარჩელის უზრუნველსაყოფად შერჩეული ღონისძიება არის თუ არა შესაბამისობაში მოსარჩელის მოთხოვნასთან, რომლის უზრუნველყოფასაც იგი ემსახურება.

დასკვნა

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლება ვრცელდება არა მარტო სასამართლო განხილვასა და მის წინასწარ ეტაპებზე, არამედ თანმდევ ეტაპებზეც როგორც არის სასამართლო განხილვის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება (რაც ასევე მოიცავს, როგორც სასამართლო, ისე საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებას). საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება.

ქართული სასამართლოების მიერ მიღებული განჩინებების ანალიზი ცხადყოფს, რომ უმეტეს შემთხვევაში სასამართლოები საერთოდ არ ხელმძღვანელობენ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან ყველაზე მეტად გამოსაყენებელი ნორმატიული აქტით - საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონით. აქედან გამომდინარე, უმჯობესია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების პროცესში ქართული სასამართლოს კომპეტენციის დადგენისას არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლთან ერთად, გამოყენებულ იქნას საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი, რომელიც პირდაპირ უთითებს, რომ სარჩელის უზრუნველყოფისას საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოშია აღსასრულებელი ან საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია. ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ასევე ცხადყოფს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულების პროცესში, იშვიათი გამონაკლისების გარდა, საერთოდ არ უთითებს “უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ” ნიუ-იორკის 1958 წლის 10 ივნისის



კონვენციას და UNCITRAL-ის მოდელურ კანონს, რომელიც არის არბიტრაჟის შესახებ საერთოველოს კანონის საფუძველი. იმის გათვალისწინებით, რომ არბიტრაჟის შესახებ კანონი ეფუძნება UNCITRAL-ის მოდელურ კანონს, მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობებთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ გათვალისწინებულ იქნეს მოდელური კანონის განმარტების საერთაშორისო ტენდენციები და საარბიტრაჟო პრაქტიკაში დამკვიდრებული პრაქტიკა.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები

1. თითბერიძე, გოჩა, 2020, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბილისი, გამომცემლობა: სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“.
2. ცერცვაძე, გიორგი, 2008, საერთაშორისო არბიტრაჟი შედარებითი ანალიზი, თბილისი, გამომცემლობა ბონა კაიზა.
3. კორკელია, კონსტანტინე; მჭედლიძე, ნანა; ნალბანდოვი, ალექსანდრე, 2005, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
4. ფიცხელაური, ნიკოლოზ, 2015, დისერტაცია თემაზე: ქართული საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პრობლემები ევროკავშირის ქვეყნებისა და საერთაშორისო კანონმდებლობასთან.
5. არბიტრაჟის სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა საქართველოში, 2018, თბილისი, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი.
6. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, 2007, სტატიათა კრებული, რედ. კონსტანტინე კორკელია, თბილისი, ევროპის საბჭოს ქართული წარმომადგენლობა საქართველოში.
7. სახელმძღვანელო იურისტებისთვის, 2008, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად (მე-6 მუხლი), თბილისი, საქართველოს უზენაესი სასამართლო.
8. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებათა კრებული საქართველოს საქმეებზე, 2010, კრებულის შემდგენელი თინათინ ბეჟანიშვილი, თბილისი, საქართველოს უზენაესი სასამართლო.

ნორმატიული აქტები

9. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პალამენტი, 1995 წლის 24 აგვისტო, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995
10. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს პარლამენტი, სსმ, 33, 09/11/2009
11. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 19/06/2009, სსმ, 13, 02/07/2009.
12. საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, პარლამენტის უწყებანი, 19-20, 29/04/1998.



საერთაშორისო ხელშეკრულებები

13. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭო, 1950.
13. ნიუ-იორკის კონვენცია „უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“. 1958.
14. UNCITRAL-ის (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია) მიერ გამოშვებული „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის მოდელური კანონი“, 1985
15. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 27/06/2014, ძალაშია 2016 წლის 01 ივლისიდან.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

16. CASE of “IZA” Ltd and MAKRAKHIDZE v. GEORGIA, ევროპული სასამართლოს 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება.
17. “აპოსტილი საქართველოს წინააღმდეგ“, ევროპის სასამართლოს 2006 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება.
18. Hornsby v. Greece ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება.
19. Burdov V. Russia, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის გადაწყვეტილება.
20. Kyrtatos V. Greece, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2003 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილება.
21. Jasiuniene and Others v. Lithuania, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება.
22. CASE of “IZA” Ltd and MAKRAKHIDZE v. GEORGIA, ევროპული სასამართლოს 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება.
23. CASE of “AMAT-G” and MEBAGHISHVILI v. GEORGIA, ევროპული სასამართლოს 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება.

ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებები

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 03 ივლისის განჩინება, საქმეზე ას-538-511-2013.
25. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 აპრილის განჩინება, საქმეზე 2/ბ-352-2013.
26. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ივლისის განჩინება, საქმეზე 2/ბ-674-2013.



27. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 02 ნოემბრის განჩინება, აქმეზე 2/ზ-1037-2016.
28. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინება საქმეზე 2/ზ-5926-16.
29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 თებერვლის განჩინება საქმეზე ას-1556-1476-2017.
30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 10 დეკემბრის განჩინება საქმეზე ას-1259-2021.



კონსტიტუციური სამართალგანვითარება ჩინეთში

გივი ლობჯანიძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი
გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, სამღერეთის ქ. №5
+995599558259
givi.lobzhanidze@gttu.edu.ge

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში დეტალურადაა გადმოცემული კონსტიტუციური სამართალგანვითარების სისტემა და მისი ეტაპობრივი საფეხურები. დღევანდელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამართლის სისტემა ეფუძნება რიგით მეოთხე “მოდერნიზებული სოციალიზმის” მოქმედ კონსტიტუციას, სადაც სამართლებრივი ცვლილებები შეტანილი იქნა სხვადასხვა პერიოდში.

კონსტიტუციითა და კანონმდებლობით ჩინეთის მთავრობა არის უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი და “ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანო”, რომელიც სახელმწიფო საბჭოდ იწოდება.

ჩინეთის კონსტიტუციის თავისებურებებში გამოიხატება მმართველობის სფეროში კომუნისტური პარტიის აქტიური ჩართულობა, როგორცაა: თავდაცვითი, ეკონომიკური მშენებლობის, საგარეო ურთიერთობების, განათლების. მეცნიერებისა და კულტურის საკითხების მართვა; ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა; უცხოეთში მცხოვრები ჩინელებისა და რეიმიგრანტების უფლებების დაცვა; პროვინციების, ავტონომიური რაიონებისა და ცენტრალური დანიშნულების ქალაქების ტერიტორიული დანაწილება, სამინისტროების, კომიტეტების და ადგილობრივი ადმინისტრაციების მიერ მიღებული აქტების შეცვლა ან გაუქმება და სხვ.

საკვანძო სიტყვები: რესპუბლიკა, მოდერნიზებული სოციალიზმი, ჩინური სპეციფიკა



CONSTITUTIONAL LEGISLATIVE DEVELOPMENT IN CHINA

Givi Lobzhanidze

Doctor of Law, Professor

Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University

Tbilisi, Samghereti st. №5

+995599558259

givi.lobzhanidze@gttu.edu.ge

Abstract

In the present work the constitutional legislative development system and its stages are described in details. Contemporary China's public republic legislative system is based on the forth "modernized Socialism". In the present constitution different changes had taken place in the latest period.

Based on the constitution and legislation the China authority is „the supreme state organ“ and the state „administrative organ“ as well which is called the state council.

The China constitution peculiarities are characterized in the following spheres: communist party activities, for example, the security, economical development, foreign relations, education, science and culture issues management, national minority rights protections, migrants' rights protection, provinces, autonomous regions and centralized cities territorial division, ministries, committees and acts changed or abolished by the local administrations.

Keywords: republic, modernized socialism, Chinese specifics.

შესავალი

დღევანდელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამართლის სისტემა ეფუძნება რიგით მეოთხე „მოდერნიზებული სოციალიზმის“ მოქმედ კონსტიტუციას, რომელიც მიღებული იქნა 1982 წლის 4 დეკემბერს და რომელშიც ცვლილებები იქნა შეტანილი 1988, 1993, 2004 და 2018 წლებში.¹ როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, ჩინეთი, მიუხედავად მისი სიდიდისა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით, უნიტარული (მარტივი) სახელმწიფოა, ხოლო მმართველობის ფორმით ინარჩუნებს სოციალისტური სახელმწიფოს სახელს. სპეციალისტები ჩინეთს ხალხის დემოკრატიულ დიქტატურად მოიხსენიებენ და მუშათა და გლეხთა კავშირზე დამყარებულ მმართველობად მიიჩნევენ, რომელიც სამი დონის ერთეულებისგან შედგება: უმაღლეს დონეს ქმნიან 6 ავტონომიური რაიონი, 23 პროვინცია და 4 ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქი; თავის მხრივ, პროვინციები და ავტონომიური რაიონები იყოფა ავტონომიურ ოლქებად, ქალაქებად, მაზრებად, ეროვნულ „ვოლოსტებად“ და

¹ Конституция, КНР (в редакции 2018) 11.03.2018.



დაბეზად. საშუალო დონეა 30 ავტონომიური ოკრუგი და მაზრა, ხოლო ქვედა დონე - 124 ავტონომიური ერთეული. კონსტიტუციის თანახმად, შეიძლება შეიქმნას “განსაკუთრებული ადმინისტრაციული რაიონები”, რომელთა სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია სპეციალური კანონით, ეროვნული ავტონომია ხასიათდება როგორც უნიტარული სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი.

ძირითადი ნაწილი

ჩინეთის კონსტიტუციის 2018 წლის რედაქციით მე-3 თავის მიხედვით სახელმწიფოს სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

1. სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება;
2. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე;
3. სახელმწიფო საბჭო;
4. ცენტრალური სამხედრო კომისია;
5. ადგილობრივი სახალხო წარმომადგენლების კრება და ხელისუფლება სხვადასხვა დონეზე;
6. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ავტონომიურ ნაციონალურ რაიონებში;
7. კონტროლის კომიტეტები;
8. სახალხო სამმართველო და სახალხო პროკურატურა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია შედგება 4 თავისა და 143 მუხლისაგან. პირველი თავი ეძღვნება ძირითად პრინციპებს, მეორე თავი კი მოქალაქეთა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.¹ მესამე თავი წარმოადგენს ხერხემალს კონსტიტუციისა და მასში გაწერილია სახელმწიფო სისტემის სტრუქტურები, რაზედაც ზემოთ უკვე მივუთითებდით, ხოლო მეოთხე თავში მოცემულია სახელმწიფო დროშის, ჰიმნის, გერბის და ქვეყნის დედაქალაქის აღწერილობა და დანიშნულება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩინური სამართალი, ისევე როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო, ევოლუციას განიცდის როგორც კონსტიტუციის პრეამბულაში აღნიშნულია, “ჩინური სპეციფიკიდან” გამომდინარე, რაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპის არაჯეროვნებით ხასიათდება. თუმცა შეინიშნება დემოკრატიულობის ცხოვრებაში დანერგვის ტენდენცია,² რაც იკითხება ჩინეთის კონსტიტუციაში, რომლის შესაბამისად სახელმწიფო მეთაურის ფუნქცია აკისრია სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს: საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება და მისი მუდმივი კომიტეტი. რაც შეეხება აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას, ეს ფუნქცია ეკუთვნის სახელმწიფო საბჭოს და რესპუბლიკის თავმჯდომარეს. მართლმსაჯულების ორგანოებს წარმოადგენს უმაღლესი სახალხო სასამართლო, სამსაფეხურიანი საერთო სასამართლოების სისტემა და სპეციალური სამხედრო სასამართლოები.

განვიხილოთ ცალკეული სტრუქტურის სამართლებრივ-პოლიტიკური ფუნქციონირების სტანდარტები. სახელმწიფოს მეთაური ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყველაზე მაღალი თანამდებობის პირია. მიუხედავად იმისა, რომ “სუსტ პრეზიდენტად” იწოდება, რაც

¹ Цай Фей, Защитник прав граждан, Журнал «Китай», N7, 2020, с. 31

² Р.Т. История государства и права зарубежных стран, М., 2013, с. 966



გამომდინარეობს იქედან, რომ მის უფლებამოსილებებს ზღუდავს ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება და მუდმივი კომიტეტი, ანუ გადაწყვეტილებებს მათთან შეთანხმებით ღებულობს.

ჩინეთის კონსტიტუციით სახელმწიფოს მეთაური აირჩევა სახალხო წარმომადგენელთა კრების მიერ 5 წლის ვადით, იგი ფლობს პოლიტიკურ უფლებებს და არის არანაკლებ 45 წლის ასაკის, კონსტიტუციის შესაბამისად ერთი და იგივე პირი მხოლოდ ორჯერ შეიძლება იქნეს არჩეული.¹

სახელმწიფოს მეთაური უფლებამოსილია გამოსცეს ისეთი სამართლებრივი აქტები, რომელიც ცერემონიალების ჩატარება-შესრულებას ემსახურება. ამასთანავე იგი აფორმებს ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების, მისი მუდმივი კომიტეტის და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს.

როგორც სოციალისტური სისტემისთვისაა დამახასიათებელი, თანამდებობის პირები ატარებენ პარტიის კურსს, როგორც ქვეყნის ინტერესებიდან, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებულ გადაწყვეტილებებს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოები ღებულობენ. თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კონსტიტუციაში დემოკრატიზმის პრინციპები შეინიშნება, თუნდაც უმაღლესი თანამდებობის პირების ორჯერ არჩევის შეზღუდვით.

მიუხედავად ამისა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე უფლებამოსილია განახორციელოს და ქვეყნის მასშტაბით გაატაროს მის კომპეტენციაში შემავალი უფლებამოსილებები: აქვეყნებს კანონებს; ნიშნავს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს - პრემიერ-მინისტრს, მის მოადგილეებს, მინისტრებს და სხვადასხვა რანგისა და თანამდებობის პირებს, ნიშნავს და ადგენს სხვადასხვა ქვეყანაში დიპლომატიურ წარმომადგენლებს, გამოსცემს დაჯილდოების აქტებს, ანიჭებს საპატიო წოდებებს, რატიფიკაციასა და დენონსირებისათვის სახალხო წარმომადგენელთა კრებას წარუდგენს საერთაშორისო შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს; აქვეყნებს ბრძანებულებებს ნაწილობრივი და სრული მობილიზაციის გამოცხადების შესახებ; ღებულობს გადაწყვეტილებას საგანგებო მდგომარეობისა და საომარი ვითარების გამოცხადების შესახებ. გამოსცემს შეწყალების აქტებს².

სახალხო წარმომადგენელთა კრება თავმჯდომარის მოადგილეებსაც ირჩევს მასთან ერთად. ისინი ინაწილებენ თავმჯდომარის უფლებამოსილებებს, ანუ ეხმარებიან მას თავისი კომპეტენციის ფარგლებში პრობლემების გადაწყვეტაში.

ჩინეთის სახელისუფლო სტრუქტურებისა და მმართველობის ორგანოების დახასიათება მოგვცა კ. აბულაძემ, რომელმაც, კონსტიტუციიდან გამომდინარე, ცალ-ცალკე განიხილა სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარედ წოდებული სახელმწიფოს მეთაურის კომპეტენციები და მოქმედების ვადები, პარლამენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მუდმივი კომიტეტის, როგორც განსაკუთრებული სტრუქტურის საქმიანობა, აღმასრულებელი ორგანოს, ქვეყნის ადმინისტრაციული საქმიანობის წამყვანი ინსტიტუტის მოქმედების ძირითადი მიმართულებები და ა.შ.

ჩინეთის დღეს მოქმედი განახლებული კონსტიტუციის შესაბამისად სახალხო

¹ გ. ლობჯანიძე, ჯ. გახოვიძე, დ. ივანიშვილი, დ. ლობჯანიძე, საერთაშორისო სამართლებრივი სისტემები და ადგილობრივი თვითმმართველობა, თბ., 2019, გვ. 339

² ო. მელქაძე და მისი გუნდი, მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, ცნობარი - ნაწილი I (აბულაძე კ. - ჩინეთი), თბ., 2001, გვ. 469.



რესპუბლიკის შექმნის შემდეგ ქვეყანამ დიდ წარმატებებს მიაღწია ეკონომიკის განვითარებაში და შექმნა სოციალისტური მრეწველობის შედარებით მთლიანი სისტემა.¹ ამ პროცესებში ნაწილობრივი წვლილი შეიტანა სახელისუფლო სტრუქტურებმა.

ჩინეთის კონსტიტუციის თანახმად ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი “დიდი პარლამენტი”, რომელიც იწოდება როგორც “სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება”. კონსტიტუციის გარდა სახალხო წარმომადგენელთა კრების კომპეტენციებს განსაზღვრავს კანონი “სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების ორგანიზაციის შესახებ”. ჩინეთის საარჩევნო სისტემას სპეციფიკურობა ახასიათებს, არჩევნები ირიბი წესით სამსაფეხურიანია, ირჩევენ ავტონომიური რაიონების, პროვინციების, ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქების და არმიის უმაღლეს ხელმძღვანელთა სახალხო წარმომადგენლებს 5 წლის ვადით.

პარლამენტის დეპუტატთა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3.000 წევრს. კრებას არ ყავს მუდმივი თავმჯდომარე და ხელმძღვანელი ორგანოები. სესიები მოიწვევა წელიწადში ერთხელ და გრძელდება 2-3 კვირის განმავლობაში.

სესიების წინ ტარდება მოსამზადებელი სხდომები, რომელზედაც ირჩევენ სესიის პრეზიდიუმს 160 დეპუტატისაგან, მათ შემადგენლობიდან ყალიბდება 20 კაციანი ბიურო, ამის ორგანიზაციას აკეთებს მუდმივი კომიტეტი.

სხდომებს რიგრიგობით ხელმძღვანელობენ პრეზიდიუმის წევრები, სესიაზე იქმნება 9 დარგობრივი კომისია, მათი საქმიანობაც სპეციფიკურობით ხასიათდება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისინი წინასწარ განიხილავენ კანონპროექტებს და სხვა უწყებათა მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებს, კონსტიტუციასთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ჩინეთის კონსტიტუციისა და შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, საიდანაც არ უნდა იყვნენ არჩეული სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატები; პროვინციების, ავტონომიების, დიდი ქალაქების შეიარაღებული ძალების დელეგაციებში ერთიანდებიან და მათი დელეგაციის რაოდენობა არ უნდა იყოს 30-ზე ნაკლები.²

კონსტიტუციის შესაბამისად საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გააჩნიათ: სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პრეზიდიუმს და მუდმივ კომიტეტს, დარგობრივ მუდმივ კომისიებს, სახელმწიფო საბჭოს, ცენტრალურ სამხედრო საბჭოს, უმაღლეს სახალხო სასამართლოს, უმაღლეს სახალხო პროკურატურას, დელეგაციებს, აგრეთვე დეპუტატთა ჯგუფს არანაკლებ 30 კაცის შემადგენლობით.

კონსტიტუციის შესაბამისად წარმომადგენელთა კრების რიგგარეშე სესიის მოწვევის ინიციატორი შეიძლება იყოს მუდმივი კომიტეტი და კრების დეპუტატთა მეხუთედი, ხოლო კონსტიტუციაში ცვლილების შეტანასა და მიღებას ესაჭიროება დეპუტატთა ორი მესამედის მხარდაჭერა.

ჩინეთის კანონმდებლობის მიხედვით სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება არა მარტო უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა, მისი უფლებამოსილებები ფართო და შეუზღუდავია. მას უფლება აქვს მიიღოს ქვეყნის უმაღლესი კანონი - კონსტიტუცია, შეიტანოს მასში ცვლილებები, კონტროლი განახორციელოს კონსტიტუციის შესრულებაზე ქვეყნის მასშტაბით, თავისთავად ეწევა კანონშემოქმედებას, ამტკიცებს ყველა სფეროში მნიშვნელოვან

¹ Конституция КНР (в редакции 2018), гл. 2.

² ო. მელქაძე და მისი გუნდი, მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, ცნობარი - ნაწილი I (აბულაძე ვ. - ჩინეთი), თბ., 2001, გვ. 460.



გეგმებს, სახელმწიფო ბიუჯეტს, პერიოდულად ისმენს ანგარიშებს ქვეყნის მაღალი რანგის პოლიტიკური თანამდებობის პირებისაგან, ირჩევს რესპუბლიკის თავმჯდომარეს, ნიშნავს და ამტკიცებს სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს. ირჩევს და ითხოვს მუდმივი კომიტეტის მთელ შემადგენლობას, ირჩევს და ნიშნავს უმაღლესი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს და უმაღლესი სახალხო პროკურატურის გენერალურ პროკურორს, წყვეტს ომისა და მშვიდობის საკითხებს, ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებსაც¹.

ჩინეთის კონსტიტუციის 74-ე მუხლის შესაბამისად განისაზღვრება დეპუტატის სტატუსი, რომელიც სარგებლობს იმპერატიული მანდატით, თუმცა მისი საქმიანობა ემყარება არაპროფესიულ საფუძველს, რაც იმას ნიშნავს, რომ სადეპუტატო საქმიანობა შეეთავსება მის ძირითად საქმიანობას. ჩინელი კონსტიტუციონალისტები თვლიან, რომ ამ გზით დეპუტატი მჭიდროდაა დაკავშირებული ამომრჩეველთან. დეპუტატს უფლება აქვს, კითხვებით მიმართოს სახელმწიფო საბჭოს, სახელმწიფო კომიტეტებს და სამინისტროებს, სხვა თანამდებობის პირებს, რომლებიც ვალდებული არიან, უპასუხონ შეკითხვებს გონივრულ ვადებში. დეპუტატი სარგებლობს იმუნიტეტის უფლებით. იგი არ შეიძლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ იქნეს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პრეზიდიუმის, ხოლო სესიებს შორის პერიოდში - მუდმივი კომიტეტის თანხმობის გარეშე.

ჩინეთის მმართველობის სისტემის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს მუდმივი კომიტეტის არსებობა, რომელსაც სპეციალისტები “განსაკუთრებულ სტრუქტურას” უწოდებენ. იგი წარმომადგენელთა ორგანოს კრების დაქვემდებარებაშია და “მცირე პარლამენტის” ფუნქციასაც ასრულებს სესიებს შორის პერიოდში, ამასთანავე უფლება აქვს დამოუკიდებლად სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარესთან ერთად გადაწყვიტოს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საკითხები.

მუდმივი კომიტეტი 400 დეპუტატისაგან შედგება და აირჩევა 5 წლის ვადით. კომიტეტს ჰყავს არჩეული თავმჯდომარე, მოადგილეები და სამდივნო.

ცალკე მსჯელობის საგანია ცენტრალური სამხედრო საბჭოს თემა, რომლის თავმჯდომარის წარდგინებით ინიშნება და თავისუფლდება მისი წევრები.

“ჩინურ სპეციფიკაში” ბევრი რამ მოიაზრება, მათ შორის ხელისუფლების წყაროს მნიშვნელობაც, რაც გამოიხატება იმაში, რომ კონსტიტუციის პირველი მუხლის მეორე აბზაცში აღნიშნულია, რომ “სოციალისტური წყობა ითვლება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ძირითად წყაროდ”. მაშინ, როდესაც უმრავლეს სახელმწიფოთა კონსტიტუციებით ხელისუფლების წყაროდ ითვლება ხალხი, მათ შორის ქართული კონსტიტუციის მე-3 მუხლის მეორე პუნქტში ვკითხულობთ: “სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი”.²

ჩინეთის კონსტიტუციის შესაბამისად სახელმწიფო ორგანოების მმართველობა ემყარება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს (მუხ. 3.)

ასევეა ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებათა გამიჯვნა, ყოველმხრივი განვითარების პრინციპის საფუძველების შექმნა, რომელიც ემსახურება ინიციატივათა აქტიურობის გამოჩენას ადგილებზე (მუხლი მე-3, მესამე პუნქტი).

¹ ო. მელქაძე და მისი გუნდი, მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, ცნობარი - ნაწილი I (აბულაძე კ. - ჩინეთი), თბ., 2001, გვ. 470.

² საქართველოს კონსტიტუცია, 2018 წლის რედაქციით, გვ. 6



კონსტიტუციითა და კანონმდებლობით ჩინეთის მთავრობა არის უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანო და “ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანო”, რომელიც სახელმწიფო საბჭოდ იწოდება.

კონსტიტუციის გარდა ხელისუფლების საქმიანობას აწესრიგებს კანონი “სახელმწიფო საბჭოს ორგანიზაციის შესახებ”. ფუნქციური თვალსაზრისით ერთი მხრივ იგი არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანო, მეორე მხრივ, საერთო კომპეტენციის სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს სახელმწიფო ადმინისტრაციის ყველა ორგანოს და სახელმწიფო მმართველობის ყველა დარგს.

ახალარჩეულ სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველ სესიაზე, სახელმწიფო საბჭოს მეთაურს - პრემიერ-მინისტრს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის წარდგინებით, ამტკიცებს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება, პრემიერის მოადგილეს, სახელმწიფო საბჭოს წევრებს, მინისტრებს, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებს, პრემიერის წარდგინებით ამტკიცებს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება. სახელმწიფო საბჭოს ყველა წევრი უნდა იყოს კომუნისტური პარტიის წევრი. ასეთია საკადრო პოლიტიკის ძირითადი მოთხოვნა.

ექსპერტები და ჩინური სამართალით დაინტერესებული მკვლევრები ხაზს უსვამენ ჩინეთის კონსტიტუციის თავისებურებებს, რაც გამოიხატება მმართველობის სფეროში, კომუნისტური პარტიის აქტიური ჩართულობით,¹ როგორცაა: თავდაცვითი, ეკონომიკური მშენებლობის, საგარეო ურთიერთობების, განათლების. მეცნიერებისა და კულტურის საკითხების მართვა; ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა; უცხოეთში მცხოვრები ჩინელებისა და რემიგრანტების უფლებების დაცვა; პროვინციების, ავტონომიური რაიონებისა და ცენტრალური დანიშნულების ქალაქების ტერიტორიული დანაწილება, სამინისტროების, კომიტეტების და ადგილობრივი ადმინისტრაციების მიერ მიღებული აქტების შეცვლა ან გაუქმება და სხვ.

ცენტრალურ სამხედრო საბჭოს განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩინეთის სახელმწიფო მმართველობის სისტემაში. კონსტიტუციის თანახმად, ეს არის ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობას. მას ექვემდებარება ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის შეიარაღებული ძალები, სახალხო ლაშქარი და შეიარაღებული სახალხო მილიცია. ცენტრალური სამხედრო საბჭო შედგება თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და სხვა წევრებისგან, საბჭოს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც თავისი უფლებამოსილების ვადით ნიშნავს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება. სამხედრო საბჭო ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებისა და მისი მუდმივი კომიტეტის წინაშე. თუმცა მკვლევართათვის გაუგებარია ასეთი დაქვემდებარებულობა, ვინაიდან ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამხედრო საბჭოს პერსონალური შემადგენლობა მთლიანად ემთხვევა ცენტრალურ სამხედრო საბჭოს და ამ ორ კომისიას, როგორც ერთიან პარტიულ-სახელმწიფოებრივ სტრუქტურას, საერთო ხელმძღვანელობას უწევს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური

¹ Правовые аспекты модернизации в КНР, под. ред. Л.М. Гугошниковой, М., 1990, с. 78



კომიტეტის გენერალური მდივანი.¹ თუმცა ბოლო პერიოდში ცალ-ცალკე ორივე მიმართულებით კორექტირება მოხდა, მაგრამ საერთო მიდგომები არ შეცვლილა.

სახელმწიფო საბჭოს სტატუსის განსაკუთრებული თავისებურება ის არის, რომ უმნიშვნელოვანეს აქტებს იგი ღებულობს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ერთობლივად. ამასთან, სწორედ იგი უზრუნველყოფს პარტიულ და სახელმწიფო დონის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ რეალიზაციას, ახორციელებს უფლებამოსილებათა გამოჯვანას ცენტრალურ აღმასრულებელ ორგანოებსა და პროვინციებს, ავტონომიების, ქალაქების აღმასრულებელ ორგანოებს შორის.

სახელმწიფო საბჭოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება: სახელმწიფო ბიუჯეტის, სამეურნეო და სოციალური განვითარების გეგმის შედგენა და მათი რეალიზაცია.

კონსტიტუციამ კანონის ფორმით დააფიქსირა ჩინეთის ხალხთა ბრძოლის შედეგები, განსაზღვრა სახელმწიფოს ძირითადი წყობილება და ამოცანები. კონსტიტუციას, ქვეყნის ძირითად კანონს, აქვს უზენაესი იურიდიული ძალა. ქვეყნის ყველა ხალხი, ყველა სახელმწიფო ორგანო და შეიარაღებული ძალები, ყველა პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, საწარმო და დაწესებულება ხელმძღვანელობს კონსტიტუციის დებულებებით როგორც თავისი საქმიანობის ძირითადი კრიტერიუმით და პასუხისმგებელი არიან კონსტიტუციის დაცვისა და ცხოვრებაში მის მოთხოვნათა გატარებისათვის.

დასკვნა

ამრიგად, 2021 წლიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იწოდება როგორც სოციალური სამოქალაქო-სამართლებრივი სისტემის სახელმწიფო „ჩინური სპეციფიკით“, რაც კონსტიტუციურადაა გამყარებული და ასევე განმტკიცებულია დარგობრივი კანონმდებლობითაც, მათ შორის სამოქალაქო სამართლით. ჩინური სამართლის ეს თავისებურება დიდხანს იქნება მსჯელობის საგანი სამეცნიერო წრეებსა და ექსპერტთა შორის, როგორც ჩინეთში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. ამდენად ჩინეთის საკანონმდებლო ხელისუფლების წინაშე დგას სერიოზული რეფორმების განხორციელების საჭიროების ამოცანა, რასაც სჭირდება დრო და პოლიტიკური ნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
2. ლობჯანიძე, გივი და სხვები, 2019, საერთაშორისო სამართლებრივი სისტემები და ადგილობრივი თვითმმართველობა, თბილისი,
3. მელქაძე, ოთარ და მისი გუნდი, 2001, მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, ცნობარი - ნაწილი I (აბულაძე ვ. - ჩინეთი), თბილისი,
4. Конституция, КНР, 2018,
5. Правовые аспекты модернизации в КНР, 1990, под. ред. Л.М. Гугошников, Москва,
6. Р.Т., 2013, История государства и права зарубежных стран, Москва,
7. Цай, Фей, 2020, Защитник прав граждан, Журнал «Китай», N7.

¹ ო. მელქაძე და მისი გუნდი, მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, ცნობარი - ნაწილი I (აბულაძე ვ. - ჩინეთი), თბ., 2001, გვ. 472-473.



მექრთამეობაში თანამონაწილეობის პრობლემები

თამარ ებრალიძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი
გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, სამღერეთის ქ. №5
+995593302247

tebralidze@yahoo.com

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია მექრთამეობაში თანამონაწილეობასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც არაერთგვაროვნად წყდება სასამართლო პრაქტიკაში. ერთ-ერთი მათგანია მექრთამეობაში შუამავლობა, რომელიც დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ქრთამის აღება/მიცემაში თანამონაწილეობას, კერძოდ, დახმარებას წარმოადგენს. ფორმალურ დანაშაულებში თანამონაწილეობას კი თავისებურებები ახასიათებს, რაც მნიშვნელოვანწილად თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებითაა განპირობებული. არანაკლებ პრობლემურია მექრთამეობაში შუამავლობის დროს მოხელისა და ქრთამის მიმცემის ქმედებათა ცალკეული შემთხვევების კვალიფიკაციის საკითხები, რომლებიც სტატიაში დეტალურად არის განხილული. ზემოთქმული ეხება ასევე ცრუ შუამავლობასაც.

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება შეცდომები მექრთამეობაში თანამონაწილეობასა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქრთამის აღების გამოიჯვანასთან დაკავშირებითაც. ამ საკითხს ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. დასასრულს, მოტანილია მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან, სადაც სტატიაში განხილული საკითხები არასწორად იყო გადაწყვეტილი სასამართლოს მიერ და დასახულია მათი სწორი გადაწყვეტის გზები.

საკვანძო სიტყვები: მექრთამეობა, კანონმდებლობა, თანამონაწილეობა



PROBLEMS OF COMPLICITY IN BRIBERY

Tamar Ebralidze

Doctor of Law, Professor
Guram Tavartkiladze Tbilisi
Teaching University
Tbilisi, Samghereti st. №5
+995593302247
tebralidze@yahoo.com

Abstract

The article discusses the issues related to complicity in bribery, which are differently resolved in court practice. One of them is mediation in bribery, which, according to the current legislation, is complicity in taking/giving bribes and therefore, assistance in it. Complicity in formal crimes is characterized by peculiarities, which is largely due to the accessory nature of complicity. No less problematic are the issues of qualification of individual cases of the actions of the official and the bribe giver during mediation in bribery, which are discussed in detail. The above-mentioned also applies to false mediation.

In judicial practice, there are also errors regarding separation of complicity in bribery and the bribery by a group with a prior agreement. Special attention is paid to this issue in the work. At the end, examples from judicial practice are given, where the issues discussed in the article were incorrectly decided by the court, and the ways of their correct solution are outlined.

Keywords: bribery, legislation, complicity

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში კორუფცია არ წარმოადგენს ვიწრო, ლოკალური ხასიათის პრობლემას. მან საერთაშორისო მასშტაბები შეიძინა. ამის ნათელი დადასტურებაა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების სიმრავლე, რაც კორუფციასთან საბრძოლველად სახელმწიფოთა ძალისხმევას გაერთიანებაზე მიუთითებს. მექრთამეობა კორუფციის ყველაზე საშიშ გამოვლინებას წარმოადგენს. იგი ხელს უშლის სახელმწიფო აპარატის ნორმალურ ფუნქციონირებას, ადამიანებში ბაღებს დაუცველობის განცდასა და უნდობლობას სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ. მექრთამეობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის საწარმოებლად მარტო საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა საკმარისი არ არის. აუცილებელია შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ნორმების სწორი ინტერპრეტაცია და გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში, რათა დანაშაულის გამოვლინების თითოეულ ფორმას შესაბამისი სამართლებრივი შეფასება მიეცეს.



ძირითადი ნაწილი

საქართველოს ანტიკორუფციულმა კანონმდებლობამ განვითარების საკმაოდ საინტერესო გზა განვლო, სანამ იგი დღევანდელ სახეს მიიღებდა, რომელიც ძირითადად აკმაყოფილებს თანამედროვე სისხლის სამართლის მოთხოვნებს.

1921 წლიდან საქართველოს კანონმდებლობა ძირითადად ვითარდებოდა ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ - საკავშირო კანონმდებლობის იდენტურად. იგივე უნდა ითქვას მექრთამეობის კანონმდებლობაზეც. ახლად გასაბჭოებული საქართველოს 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსში თანამდებობრივი დანაშაულები ცალკე, II თავში იყო გაერთიანებული. ქრთამთან დაკავშირებით კოდექსის თავდაპირველ რედაქციაში ორი მუხლი არსებობდა, რომლებიც ითვალისწინებდნენ პასუხისმგებლობას ქრთამის აღება-მიცემისა (მ. 117) და ქრთამის პროვოკაციისათვის (მ. 118).¹

ხსენებული კოდექსის 117-ე მუხლით ისჯებოდა "სახელმწიფო, საკავშირო ან საზოგადოებრივ სამსახურში მყოფი პირის მიერ, პირადად ან შუაკაცის შემწეობით, ამა თუ იმ სახით ქრთამის მიღება ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ისეთი მოქმედების შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის, რაც ამ პირის სამსახურის მოვალეობას შეადგენს". მუხლის დისპოზიციაში სამსახურის მოვალეობაზე მითითება საკმაოდ ზღუდავდა ქმედების შემადგენლობის ფარგლებს. კანონის ტექსტის მიხედვით, პირს ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ისეთი ქმედება უნდა შეესრულებინა (ან თავი შეეკავებინა მისი შესრულებისაგან), რაც მის „სამსახურის მოვალეობას შეადგენდა“. თუმცა, ანალოგიის არსებობის პირობებში, ეს მოსამართლეს ხელს არ შეუშლიდა ამავე მუხლით გაესამართლებინა ისიც, ვინც ქრთამი ისეთი მოქმედების საწინააღმდეგოდ მიიღო, რაც მის „სამსახურის მოვალეობას“ არ განეკუთვნებოდა, მაგრამ მას შეეძლო უზრუნველყო ამ მოქმედების განხორციელება თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით ან თუნდაც ქვემდგომი მოხელის მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ 117-ე მუხლში, სხვა თანამდებობრივ დანაშაულთაგან განსხვავებით, ლაპარაკია არა „თანამდებობის პირზე“, არამედ "სახელმწიფო, საკავშირო ან საზოგადოებრივ სამსახურში მყოფ პირზე“, რაც გვაფიქრებინებს, რომ კანონმდებელმა გააფართოვა ქმედების სუბიექტთა წრე და სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებული მოქმედების საწინააღმდეგოდ გასამრჯელოს მიღების ყველა შემთხვევა ქრთამის აღებად მიიჩნია, იმისგან დამოუკიდებლად, ამის ჩამდენი თანამდებობის პირი იყო თუ არა. 1922 წლის სსკ-ის მე-2 თავის სათაურიც ასეთი იყო - თანამდებობრივი (სამსახურებრივი) დანაშაული.

თვალშისაცემია თავისუფლების აღკვეთის საკმაოდ დაბალი ზღვარი, რომელიც ერთგვარ დისონანს ქმნიდა კოდექსით გათვალისწინებულ სასტიკ სასჯელებთან. დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე ჩადენილი ქრთამის აღება ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე და ქონების კონფისკაციით ან უამისოდ. (რუსეთის 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ამავე დანაშაულისათვის ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა). აღსანიშნავია ისიც, რომ ქრთამის მიცემისთვის ქრთამის აღებაზე უფრო მკაცრი სასჯელი იყო დაწესებული - თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე².

¹ საქართველოს სსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის თავდაპირველ რედაქციაზე იხილეთ: **ლამარა სურგულაძე**, საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორია (1921-1922წწ.), თბ., 1979, გვ. 97-150.

² იმავე, 117 -ე მუხლის მესამე ნაწილი.



ეს სიტუაცია მალე შეიცვალა. იმავე კოდექსის შემდგომი, 1924 წლის რედაქცია მეტი რეპრესიული სულისკვეთებით იყო განმსჭვალული. ცვლილებები შეეხო მექრთამეობის კანონმდებლობასაც. სასჯელი ქრთამის აღებისათვის გამკაცრდა და გახდა თავისუფლების აღკვეთა ერთიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით ქრთამის აღების დამამძიმებელი გარემოებები ორ ჯგუფად დაიყო - დამამძიმებელ და „განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებად“. უკანასკნელ შემთხვევაში სასჯელის უმაღლესი ზომა - სიკვდილით დასჯა (ქონების კონფისკაციასთან ერთად) იყო დაწესებული ალტერნატიულ სასჯელზე მითითების გარეშე. კანონმდებელი არც კი განმარტავდა, თუ რა იგულისხმებოდა განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში. ასე ბუნდოვნად ფორმულირებული ქმედების შემადგენლობა მასთან დაკავშირებული სასტიკი სასჯელით საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 80-იანი წლების მეორე ნახევრამდე, ე.წ. „პერესტროიკის“ დრომდე შემორჩა.¹

1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსს მიღებიდან მალევე დაემატა ახალი, 117¹-ე მუხლი, სადაც გაერთიანდა მექრთამეობასთან დაკავშირებული ყველა ქმედება, გარდა ქრთამის აღებისა. კერძოდ: „ქრთამის მიცემა, მექრთამეობაში შუაგაცობა, მექრთამეობისთვის რითიმე ხელის შეწყობა ან მისი საწინააღმდეგო ღონისძიების მიუღებლობა“. „მექრთამეობისათვის ხელის შეწყობა“ არის მექრთამეობაში თანამონაწილეობა, კერძოდ - დახმარება. დამხმარის ფიგურა კი ისედაც იყო გათვალისწინებული ხსენებული კოდექსის ზოგადი ნაწილით. კერძოდ, მე-16 მუხლის თანახმად, დამხმარედ ითვლებოდა ის, „ვინც დანაშაულის ჩადენას ხელს შეუწყობს რჩევით, ჩვენებით, დაბრკოლებათა აცილებით, დანაშაულის კვალის ან დამნაშავის დაფარვით“. ამიტომ მექრთამეობაში ხელის შეწყობის გათვალისწინება კოდექსის კერძო ნაწილში საჭირო არ იყო. იგივე უნდა ითქვას მექრთამეობაში შუამავლობაზე, რომელსაც ქვევით შევხებით.

117¹-ე მუხლი ითვალისწინებდა აგრეთვე პასუხისმგებლობას მექრთამეობის მიმნებებლობისთვის („მისი საწინააღმდეგო ღონისძიების მიუღებლობა“). მიმნებებლობის ცალკეული შემთხვევების დასჯადობას ამჟამად მოქმედი კოდექსიც ითვალისწინებს, თუმცა თვალშისაცემია 117¹-ე მუხლით გათვალისწინებული შეუსაბამოდ მკაცრი სასჯელი, რაც

¹ქრთამის აღება იყო ერთ-ერთი პირველი დანაშაული, რომლისთვისაც ხსენებულ „პერესტროიკის“ პერიოდში განხორციელებული კანონმდებლობის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით გაუქმდა სიკვდილით დასჯა (1986 წლის 11 ივნისის კანონით). სიკვდილით დასჯის ეტაპობრივი განდევნა სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან ხსენებული კანონის მიღების შემდეგაც გაგრძელდა, ხოლო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეუქცევადი პროცესი გახდა. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით, სიკვდილით დასჯის გათვალისწინება ორგანული კანონით შესაძლებელი იყო მხოლოდ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის (მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი). 1997 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების - სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ“. „დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს იყო სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების მესამე შემთხვევა. საქართველოში სიკვდილით დასჯა პირველად გაუქმდა მე-12 საუკუნეში, თამარ მეფის დროს, ხოლო მეორედ - დემოკრატიული საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით. ამდენად, მე-20 საუკუნის მიწურულს, საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმებით, კიდევ ერთხელ დადასტურდა ქართული სახელმწიფოს ერთგულება მისი ჰუმანური ტრადიციებისადმი“. (ჯონი ხეცურიანი, დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, თბ., 2006, გვ. 213; იხ. ასევე: **ოთარ გამყრელიძე**, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 97-99.



ცხადია, საბჭოთა ავტორიტარიზმისათვის დამახასიათებელი სისასტიკის ტიპიური გამოვლინება იყო. ქრთამის მიცემა, მექრთამეობაში შუამავლობა, ხელის შეწყობა და მექრთამეობის მიმნებებლობა ისჯებოდა „წინა მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული სასჯელით“, ე.ი. ისევე, როგორც ქრთამის აღება. ყველა ზემოთ აღნიშნული ქმედება, ქრთამის აღებასთან შედარებით, გაცილებით ნაკლები საშიშროების მქონეა და შესაბამისად, როგორც წესი, უფრო მსუბუქად ისჯება, თუმცა საბჭოთა საქართველოს 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ხსენებულ ქმედებებსა და ქრთამის აღებას შორის სასჯელის მხრივ არავითარ დიფერენცირებას არ ახდენდა. მეტიც, „განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში“ ჩადენილი ქრთამის მიცემა, მექრთამეობაში შუამავლობა, ხელისშეწყობა და მიმნებებლობა ისჯებოდა სასჯელის უმაღლესი ზომით და ქონების კონფისკაციით, ე.ი. ისევე, როგორც ქრთამის აღება იმავე (განსაკუთრებით დამამძიმებელი) გარემოების არსებობისას.

დავუბრუნდეთ მექრთამეობაში შუამავლობის საკითხს. მექრთამეობის საქმეებზე შუამავლის ფიგურა არცთუ იშვიათად გვხვდება. ის აკავშირებს ერთმანეთთან ქრთამის ამღებსა და მიმცემს, უთანხმებს თანხის ოდენობას, გადასცემს ქრთამის საგანს მოხელეს და ა.შ. ასე რომ, შუამავალი არის თანამონაწილე, კერძოდ, დამხმარე ქრთამის აღებასა და მიცემაში. ამიტომ, სავსებით სწორად მიგვაჩნია ამჟამად მოქმედი კოდექსის პოზიცია, რომელმაც, წინამორბედებისგან განსხვავებით, მექრთამეობაში შუამავლობა დამოუკიდებელი დანაშაულის სახით აღარ გაითვალისწინა.¹ ზოგჯერ მექრთამეობის საქმეებში ორი შუამავალი ფიგურირებს. ერთი ეხმარება ქრთამის ამღებს, მეორე - ქრთამის მიმცემს. ხშირად ერთმანეთს უშუალოდ მხოლოდ შუამავლები ხვდებიან. მოხელე უმეტესად უფროსის ქრთამის მიმცემთან უშუალო კონტაქტზე გასვლას და ცდილობს სანდო ადამიანების შუამავლობით შეათანხმოს მასთან ქრთამთან დაკავშირებული საკითხები. სანიმუშოდ შეიძლება მოვიტანოთ ...მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის - რ.კ-ს საქმე. შუამავლებთან შეხვედრისას მან მოითხოვა თანხა და განაცხადა, რომ თანხის ოდენობაზე ინვესტორის (ქრთამის მიმცემის - თ.ე.) წარმომადგენელსაც არ დაელაპარაკებოდა და ეს საკითხი შუამავალს - ა.ც-ს უნდა მოეგვარებინა. მასვე უნდა უზრუნველყო ინვესტორის მიერ ამ თანხის გაცემა და შემდეგ მისი რ.კ-სთან მიტანა.²

იმის მიხედვით, თუ ვისი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს შუამავალი - ქრთამის ამღების თუ ქრთამის მიმცემის, მან პასუხი უნდა აგოს სსკ-ის 25-338-ე ან 25-339-ე მუხლებით.³ [თანამონაწილეობის სუბიექტური (ინტერესთა) თეორია].

¹ ამასთან დაკავშირებით ვერ დავეთანხმებით ლამარა სურგულაძეს, რომელსაც მექრთამეობაში შუამავლობის დამოუკიდებელი დანაშაულის სახით არსებობა სსკ-ის კერძო ნაწილში გამართლებულად მიაჩნია. (იხ. **ლ. სურგულაძე**, საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორია (1921-1922წწ.), გვ. 142-143.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე. 2016, #10-12. (საქმის #128აპ-16).

³ უნდა აღინიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრდა თანამონაწილეთა ქმედების კვალიფიკაცია არა სსკ-ის 25-ე, არამედ 24-ე მუხლზე მითითებით. იშვიათად გვხვდება 23-ე მუხლზე მითითების შემთხვევებიც. ასეთი პრაქტიკა არასწორად უნდა ჩაითვალოს. საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლში, კერძოდ, მის მე-3 ნაწილში, გარკვევით წერია, რომ „ორგანიზატორის, წამქეზებლისა და დამხმარის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი იმავდროულად დანაშაულის თანაამსრულებლები იყვნენ“. მოტანილი ტექსტიდან



სასამართლო პრაქტიკაში შუამავლის როლი უმეტესად მოხელისათვის ქრთამის საგნის გადაცემაში გამოიხატება. ამ დროს იგი უნდა განვასხვავოთ ქრთამის მიმცემისაგან. შუამავალი პირდაპირ არ არის დაინტერესებული მოხელის მიერ ქრთამის მიმცემის სასარგებლო მოქმედების შესრულებით. ამ მოქმედების განხორციელება მას აინტერესებს იმდენად, რამდენადაც იგი მექრთამეობის მონაწილეთა ინტერესებშია. ზოგჯერ შუამავალი დანაშაულის ინიციატორის (წამქეზებლის) როლშიც გვევლინება. მაგალითად, პირმა ურჩია მეგობარს, რომ მისი პრობლემის მოგვარება შესაძლებელია კონკრეტული თანამდებობის პირისათვის ქრთამის მიცემით და შესთავაზა დახმარება მასთან დაკავშირებაში. შესაძლოა, შუამავალს ანგარების მოტივი ამოდრავებდეს. მექრთამეობაში მონაწილე პირები მას გაწეული სამსახურის სანაცვლოდ საკმაოდ უხვად აჯილდოებენ.

რაკი შუამავალი დანაშაულში თანამონაწილეს წარმოადგენს, მისი ქმედების კვალიფიკაცია, თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, დამოკიდებულია ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციაზე. თუ ამსრულებელი პასუხს აგებს დამთავრებული დანაშაულისათვის, ასევე აგებს პასუხს შუამავალიც. ხსენებულ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის - რ.კ-ს საქმეზე შუამავალი მაშინვე დააკავეს, როგორც კი მას ფარულმა აგენტმა რ.კ-სათვის გადასაცემი თანხა მისცა. საკასაციო პალატის განაჩენში აღნიშნულია, რომ მართალია, რ.კ-ს უშუალოდ ქრთამი თანხის სახით არ მიუღია, მაგრამ მან ბრალდების მოწმე რ.გ-სთან პირადი საუბრისას პირდაპირ მოითხოვა ინვესტორისგან 120000 ლარის გადახდა მიწის ნაკვეთის აუქციონის გზით შეძენაში დახმარების გაწევის სანაცვლოდ. ვინაიდან ქრთამის აღება ფორმალური დელიქტია, მოხელის - რ.კ-ს ქმედება დაკვალიფიცირდა 338-ე მ-ის შესაბამისი ქვეპუნქტით, როგორც დამთავრებული ქრთამის აღება. რაც შეეხება შუამავალს, მას მსჯავრი დაედო ქრთამის აღებაში თანამონაწილეობისათვის, 25-338-ე მუხლებით, მე-19, ანუ მცდელობის მუხლზე მითითების გარეშე.

ქრთამის მიცემაც ასევე ფორმალური დელიქტია და დამთავრებულია მოხელისათვის პირადად ან შუამავლის მეშვეობით ქრთამის შეთავაზების ან დაპირების მომენტიდან. თუ ქრთამის მიმცემმა ეს ვერ შეძლო, მაშინ ცხადია, დამთავრებული დანაშაული არ გვექნება. თუ ქრთამის მიმცემმა მოხელისთვის გადასაცემად თანხა მისცა შუამავალს და ამ დროს დააკავეს, გვექნება ქრთამის მიცემის მცდელობა.¹ ცხადია, იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა მანამდე მოხელისთვის ქრთამის შეთავაზებას ან დაპირებას (პირადად ან შუამავლის მეშვეობით) ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება შუამავალს, იგი არის ქრთამის მიმცემის მიერ ჩადენილი ქმედების თანამონაწილე, კერძოდ, დამხმარე და ისევ თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, პასუხს აგებს 25-19-339 -ე მუხლებით.

ქრთამის მიმცემი მცდელობისთვის აგებს პასუხს ცრუ შუამავლობის დროსაც. ცრუ შუამავალი არის პირი, რომელიც ატყუებს ქრთამის მიმცემს, იღებს მისგან ფულს ან სხვა ფასეულობას, თითქოსდა მოხელისთვის გადასაცემად და ითვისებს მას. ასე რომ, ცრუ შუამავალი მოტყუების გზით ეუფლება სხვის ნივთს. ამიტომ ის პასუხს აგებს თაღლითობისათვის. რაც შეეხება ქრთამის მიმცემს, ე.ი. პირს, ვინც მოხელისთვის გადასაცემად

კარგად ჩანს, რომ კანონმდებლის სიტყვები „ამ მუხლზე მითითებით“, გულისხმობს სწორედ 25-ე მუხლზე მითითებას.

¹ **Thomas Fischer**, Strafrecht, 61. Aufl., München, C.H.BECK, 2014, § 334, Rn.(5)5).



ცრუ შუამავალს ქრთამი მისცა, სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, მისი ქმედება ქრთამის მიცემის მცდელობად უნდა ჩაითვალოს.¹

ზოგიერთ ავტორს ამგვარი კვალიფიკაცია, 339 -ე მუხლის ფორმალურ დელიქტად ჩამოყალიბების შემდეგ, შეუძლებლად მიაჩნია. თემურ ცქიტიშვილი თავის სადოქტორო დისერტაციაში აღნიშნავს, რომ კანონის მოქმედი რედაქციის პირობებში, ცრუ შუამავლობის დროს ქრთამის მიმცემის ქმედება არ შეიძლება მცდელობად ჩაითვალოს.² მოგვიანებით გამოცემულ მონოგრაფიაში თ. ცქიტიშვილი ნაკლებად კატეგორიულია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით და იგი „საკამათოდ“ მოაჩნია.³

ერთი შეხედვით, მართლაც შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ცრუ შუამავლისათვის ქრთამის მიცემის დროს, ქრთამის მიმცემმა პასუხი უნდა აგოს დამთავრებული დანაშაულისათვის. მან გააკეთა ყველაფერი - მისცა ქრთამი შუამავალს, რის შემდეგაც ის აღარ ბატონობს ქმედებაზე. თუმცა, თუ საკითხს ღრმად ჩავუკვირდებით, შემდეგ დასკვნამდე მივალთ: მართალია, ქრთამის მიცემა ფორმალური დელიქტია, მაგრამ კანონი მოითხოვს **მოხელისთვის** ქრთამის შეთავაზებას ან დაპირებას. ცრუ შუამავლობის დროს კი, ქრთამის მიმცემს მოხელისთვის არ შეუთავაზებია ქრთამი და არც მიუცია. მან ქრთამი შუამავალს მისცა, რათა ამ უკანასკნელს იგი მოხელისთვის გადაეცა. შუამავალი კი თაღლითი აღმოჩნდა და თანხა მისისაკუთრა. ასე რომ, ქრთამის მიმცემმა ყველაფერი მაინც ვერ გააკეთა, რასაც დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის კანონი მოითხოვს. მან მიზანს ვერ მიაღწია და ვერ შეძლო შუამავლის მეშვეობით მოხელისთვის ქრთამის მიცემა. მცდელობის დროს ხომ სუბიექტური მხარე სჭარბობს ობიექტურს, რაც გვაქვს სწორედ ცრუ შუამავლისათვის ქრთამის მიცემისას. მართალია, ამ დროს სამართლით დაცულ სიკეთეს - სახელმწიფო ორგანოთა პრესტიჟსა და ავტორიტეტს, რეალური ზიანი არ ადგება, თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მათი დაზიანების საფრთხე საკმაოდ რეალურია, რაც ასევე მცდელობისთვის დამახასიათებელი ნიშანია.

ასე რომ, მოხელისთვის გადასაცემად შუამავლისათვის ქრთამის მიცემის შემთხვევაში, ქრთამის მიმცემის პასუხისმგებლობა დამოკიდებულია შუამავლის ქმედებაზე. თუ ამ უკანასკნელმა ქრთამი გადასცა მოხელეს, ქრთამის მიმცემი პასუხს აგებს დამთავრებული დანაშაულისათვის, ხოლო თუ ქრთამის საგანი შუამავალმა მისისაკუთრა (ცრუ შუამავლობა) - სახეზეა ქრთამის მიცემის მცდელობა.⁴ ქრთამის მიმცემის პასუხისმგებლობა სსკ-ის 19-339-ე მუხლებით, კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციის პირობებშიც, სავსებით გამართლებულია.

¹ **ირაკლი დვალაძე** წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, (რედ-ები: გურამ ნაჭყებია, ირაკლი დვალაძე), თბილისი, 2007, გვ. 165-166; **მზია ლეკვეიშვილი, ნონა თოდუა, გოჩა მამულაშვილი**, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეექვსე გამოცემა, (რედ-ბი: გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა), თბილისი, „მერიდიანი“, 2020, გვ. 407; თ. გამყრელიძის აზრით, ცრუ შუამავლისათვის ქრთამის მიცემა უვარგისი მცდელობაა. **ოთარ გამყრელიძე**, სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბილისი, მერიდიანი, 2013, გვ. 251.

² **თ. ცქიტიშვილი**, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, დისერტაცია, თბილისი, 2014, გვ. 245-247. Tsu.sdu.ge

³ **თ. ცქიტიშვილი**, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბილისი, „მერიდიანი“, 2015, გვ.274.

⁴ შეიძლება ვიდავოთ იმაზე, ამ შემთხვევაში დამთავრებული მცდელობა გვაქვს თუ დაუმთავრებელი. **ირაკლი დვალაძეს** ცრუ შუამავლისათვის ქრთამის მიცემა ფორმალურ დანაშაულებში დამთავრებული მცდელობის შესაძლებლობის საილუსტრაციოდ მოჰყავს. წიგნში: **სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი**, (რედ-ბი: გურამ ნაჭყებია, ირაკლი დვალაძე), თბილისი, 2007, გვ. 165; საწინააღმდეგო თვალსაზრისი იხ.:



სასამართლო პრაქტიკაში ცრუ შუამავლის ქმედება უმეტესად, სწორად კვალიფიცირდება, როგორც თაღლითობა. ზოგჯერ, როცა ცრუ შუამავალი იმავდროულად დანაშაულის (ქრთამის მიცემის) ინიციატორიც არის, მას მსჯავრი ედება ქრთამის მიცემის წაქეზებისათვის (მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან იხილეთ ქვევით).

ცრუ შუამავლის ქმედება არ შეიძლება ქრთამის მიცემის წაქეზებად, ანუ დანაშაულში თანამონაწილეობად მივიჩნიოთ. თანამონაწილე და ამსრულებელი ერთიანი მიზნით მოქმედებენ. ორივე მათგანის ქმედება მიმართულია ერთი და იმავე სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისაკენ. „თუკი წამქეზებლის მიზანი, ის მიზანი, რომელიც უმართლობას აფუძნებს, არ ემთხვევა ამსრულებლის მიზანს, მაშინ აღარ გვაქვს თანამონაწილეობა და თითოეული მათგანი დამოუკიდებელი უმართლობის ამსრულებელია“.¹

ცრუ შუამავლობის შემთხვევაში ქრთამის მიმცემი მოქმედებს კონკრეტული მიზნით - ქრთამის სანაცვლოდ შეასრულებინოს მოხელეს მისთვის სასარგებლო ქმედება. ცრუ შუამავლის (წამქეზებლის) მიზანი კი სულ სხვაა - მოატყუოს ქრთამის მიმცემი და ამ გზით დაეუფლოს მის ფულს. ასე რომ, შეუძლებელია ლაპარაკი ორი პირის მოქმედების ერთიანობაზე, რაც თანამონაწილეობისათვის აუცილებელია. ამიტომ, ცრუ შუამავალმა არ შეიძლება პასუხი აგოს ქრთამის მიცემის წაქეზებისათვის.

ცრუ შუამავლის ქმედების არასწორ კვალიფიკაციაზე ყურადღება გაამახვილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ვ. პ-შვილის საქმეზე, რომელსაც, როგორც ცრუ შუამავალს, თანამზრახველთან ერთად მსჯავრი დაედო თაღლითობისა და ქრთამის მიცემის წაქეზებისათვის. პალატის განჩინებაში ვკითხულობთ: საქმის მასალებით უტყუარად არის დადგენილი, რომ მსჯავრდებულები თანხის გადაცემას ქრთამის სახით არავისთვის აპირებდნენ და არც გადაუციათ. მათ თანხის მოთხოვნის მომენტშივე იცოდნენ, რომ ატყუებდნენ დაზარალებულებს და თანხას თვითონ დაეუფლებოდნენ. ამდენად, მსჯავრდებულებს დაზარალებულთა ფულის დაუფლებისას არ ჰქონიათ თანამდებობის პირისათვის ქრთამის მიცემის განზრახვა და აქედან გამომდინარე, მათი მოქმედებით ვერ განხორციელდებოდა სსკ-ის 23, 339-ე მუხლის შემადგენლობა - ქრთამის მიცემის წამქეზებლობა. სსკ-ის 339-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არის მიზნით დაფუძნებული დელიქტი. მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირისათვის ქრთამის მიცემის განზრახვის გარეშე არ არსებობს ამ დანაშაულის შემადგენლობა. მსჯავრდებულებს კი ასეთი განზრახვა არ ჰქონიათ. მათ, მართალია, დაზარალებულები დაარწმუნეს, რომ თანხა ესაჭიროებოდათ ქრთამის მისაცემად, მაგრამ აღნიშნული გამოიყენეს მხოლოდ ფულის თაღლითური გზით მისაკუთრების ხერხად. აქედან გამომდინარე, პალატამ მსჯავრდებულებს მოუხსნა სსკ-ის 23, 339-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ბრალდება ქმედების შემადგენლობის არარსებობის გამო. რაც შეეხება თაღლითობისათვის მსჯავრდებას, პალატამ ის სწორად მიიჩნია და უცვლელი დატოვა.²

თამარ ებრაღიძე, მექრთამეობის ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები, წიგნში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, (რედ. გოჩა ფერაძე), თბილისი, „მერიდიანი“, 2019. გვ.299.

¹**ოთარ გამყრელიძე**, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბილისი, 1989, გვ. 179.

²საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003, #9, გვ.1095. ამავე საკითხზე იხილეთ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა



მექრთამეობაში შუამავლობა უნდა განვასხვაოთ ზეგავლენით ვაჭრობისაგან. უკანასკნელ შემთხვევაში პირი, რომელსაც გარკვეული ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მოხელეზე, ყიდის ამ ზეგავლენას დაინტერესებულ პირზე - დებულობს მისგან გასამრჯელოს, რის სანაცვლოდაც უნდა უზრუნველყოს მოხელის მიერ გასამრჯელოს მიმცემისათვის სასარგებლო მოქმედების შესრულება. შუამავლისაგან განსხვავებით, ამ გასამრჯელოს იგი მოხელეს არ გადასცემს, თვითონ იტოვებს. მოხელეზე ზეგავლენის წყალობით (ნათესაური, მეგობრული ან სხვაგვარი დამოკიდებულებიდან გამომდინარე), მას შეუძლია ქრთამის გარეშე შეასრულებინოს მოხელეს დაინტერესებული პირისათვის სასარგებლო მოქმედება. თუ ამ უკანასკნელისაგან აღებულ გასამრჯელოს იგი მოხელეს გადასცემს, გვექნება არა ზეგავლენით ვაჭრობა, არამედ მექრთამეობაში შუამავლობა. შუამავლობა იქნება მაშინაც, როცა აღებული თანხის ნაწილს პირი მოხელეს გადასცემს, ნაწილს კი თვითონ იტოვებს.

მაგალითად, სამსახურში დაწინაურების სანაცვლოდ თანამშრომელმა ძვირფასი ნივთი შეპირდა დირექტორის მეუღლეს. 338-ე მუხლით პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია, დირექტორმა იცოდეს ამის შესახებ და მის მიერ თანამშრომლის სამსახურში დაწინაურება სწორედ შეპირებული გასამრჯელოთი იყოს განპირობებული. ამ მაგალითში დირექტორის მეუღლე პასუხს აგებს მექრთამეობაში შუამავლობის, კერძოდ - დახმარებისათვის. თანამშრომელი კი - სსკ-ის 339-ე მუხლით - ქრთამის მიცემისათვის. თუ მოხელემ არ იცოდა თანამშრომლის მიერ მეუღლისათვის ნივთის გადაცემის შესახებ და ამ უკანასკნელის თხოვნით დააწინაურა იგი სამსახურში, ქრთამის აღების შემადგენლობა, ცხადია, არ გვექნება. სათანადო პირობების არსებობისას მოხელემ შეიძლება პასუხი აგოს სსკ-ის 332-ე მუხლით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება). რაც შეეხება მეუღლეს, მისი ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც ზეგავლენით ვაჭრობა (სსკ-ის 339¹-ე მუხლი).

სასამართლო პრაქტიკაში სირთულეებია მექრთამეობაში თანამონაწილეობასა და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქრთამის აღების გამიჯვნასთან დაკავშირებით. სსკ-ის 27-ე მუხლის თანახმად, დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. გავრცელებული თვალსაზრისის მიხედვით, ჯგუფი სამართლებრივი მნიშვნელობით მხოლოდ მაშინ გვაქვს, როცა დანაშაულის ჩადენაში უშუალოდ მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. რთული თანამონაწილეობა (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე) არ ქმნის ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის სპეციალურ შემადგენლობას, რომელიც გათვალისწინებულია კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებით. რა თქმა უნდა, ზემოთქმული ეხება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფსაც: ასეთ ჯგუფს ქმნიან მხოლოდ თანამსრულებლები. თანამსრულებელია ის, ვინც სხვასთან ერთად უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში (საქართველოს სსკ-ის 22-ე მუხლი). დანაშაულის ჩადენაში უშუალო მონაწილეობა ნიშნავს ქმედების შემადგენლობის განხორციელებას. ყოველი

პალატის განჩინება რ. ბ-სა და სხვათა საქმეზე. ...რაიონულმა სასამართლომ რ.ბ-ს ქმედება დააკვალიფიცირა სსკ-ის 25-339-ე მუხლებით, როგორც ქრთამის მიცემის წაქეზება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეცვალა კვალიფიკაცია და მას მსჯავრი დასდო 180-ე მუხლით - თაღლითობისათვის. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2007, #11. გვ.37-40 (საქმის # 1560-აპ).



თანამსრულებელი (ანუ ჯგუფის წევრი) შემადგენლობას უნდა ასრულებდეს ან მთლიანად, ანდა უკიდურეს შემთხვევაში ნაწილობრივ მანც.¹

თუ ამ გავრცელებულ თვალსაზრისს გავიზიარებთ, მაშინ ქრთამის აღებად წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ უნდა მივიჩნიოთ ისეთი შემთხვევა, როცა ჯგუფის მონაწილენი აღჭურვილნი არიან განსახილველი დანაშაულის ამსრულებლისათვის დამახასიათებელი ნიშნებით: პირველ რიგში, ცხადია, სახეზე უნდა იყოს მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი; თითოეულ მათგანს, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე ან თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით, უნდა შეეძლოს ქრთამის მიმცემის სასარგებლო ქმედების განხორციელება; ჯგუფის მონაწილენი უნდა მოქმედებდნენ ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მიღების მიზნით; შეთანხმება ჯგუფის წევრებს შორის უნდა მოხდეს ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყებამდე.²

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქრთამის აღების საკითხს შეეხო უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა ზემოთ მოტანილ რ.კ-ს საქმეზე. პალატის განაჩენში ვკითხულობთ: საკასაციო პალატა არ ეთანხმება ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას რ.კ-სა და ა.ც-ს მიერ ჩადენილი ქმედებების საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირების თაობაზე (ქრთამის აღება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ). საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მოცემულ შემთხვევაში, რ.კ-ს გარდა, ქრთამის ამღები სხვა პირიც არსებობდა მოხელის სახით. რაც შეეხება იმას, რომ გაღებული ქრთამიდან ა.ც-მაც მიიღო თანხის გარკვეული ნაწილი, ეს გარემოება ჯგუფს ვერ შექმნის, ვინაიდან ის არ არის მოხელე, არამედ წარმოადგენს აღნიშნული დანაშაულის თანამონაწილე კერძო პირს დამხმარის სახით.³

ცხადია, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სავსებით შეესაბამება საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლის მეექვსე ნაწილის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, „ისეთ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს ამ კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი დანაშაულის სპეციალური სუბიექტი, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება, როგორც ორგანიზატორს, წამქეზებელს ან დამხმარეს“. ქრთამის აღების ამსრულებელი მხოლოდ მოხელე შეიძლება იყოს. თუ ის მოქმედებს წამქეზებელთან ან დამხმარესთან წინასწარი შეთანხმებით, ე.წ. ჯგუფური დანაშაული არ გვექნება⁴. მოხელის ქმედება დაკვალიფიცირდება კოდექსის შესაბამისი მუხლის პირველი ნაწილით (თუ სხვა მაკვალიფიცირებელი გარემოება არ არსებობს) და არა იმ ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, წამქეზებელი და დამხმარე კი პასუხს აგებენ 25-ე მუხლზე მითითებით - დანაშაულში თანამონაწილეობისათვის.

¹ **ოთარ გამყრელიძე**, სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბილისი, 2011, გვ. 262; **თინათინ წერეთელი**, სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბილისი, 2007, გვ. 138.

² **მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა**, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეექვსე გამოცემა, გვ.401;

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2016, #10-12, გვ.242-243.(საქმის #128აპ-16).

⁴ **მერაბ ტურავა**, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, 2013, გვ. 345; **მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა**, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეექვსე გამოცემა, თბილისი, 2020, გვ. 402-403.



მაგალითი: სასამართლო კოლეგიის წევრმა შესთავაზა დანარჩენ ორ მოსამართლეს დიდი ოდენობით ქრთამის სანაცვლოდ კონკრეტულ საქმეზე ქრთამის მიმცემისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანა. სასამართლომ მართლაც გამოიტანა ერთ-ერთი მოდავე მხარისთვის სასურველი გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ საქმის მასალები ამის საფუძველს არ იძლეოდა. ქრთამის სახით მიღებული თანხა სამივე მოსამართლემ თანაბრად გაიყო. ცხადია, სახეზეა ქრთამის აღება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

სხვაგვარად გადაწყდება საკითხი შემდეგ მაგალითში:

ერთ-ერთი რაიონული სასამართლოს მოსამართლე ა-მ სთხოვა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ბ-ს დაეკმაყოფილებინა მისი ახლობელი ბრალდებულის სააპელაციო საჩივარი და მისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა შეეცვალა გირაოთი. სანაცვლოდ ახლობელი გადაიხდიდა 8 000 ლარს, რომელსაც ორივენი თანაბრად გაიყოფდნენ. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ ბრალდებულის საჩივარი დააკმაყოფილა. მიღებული თანხა ორივე მოსამართლემ შეთანხმებისამებრ გაინაწილა. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სახეზეა ქრთამის აღება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. დანაშაულში მონაწილე ორი მოხელე „წინასწარ შეკავშირდა დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად“ და მიღებული თანხაც გაიყვეს. თუმცა მხოლოდ ეს არ არის საკმარისი ხსენებული კვალიფიციური შემადგენლობის არსებობისათვის. ჯგუფი მაშინ იქნებოდა, ქრთამის მიმცემისათვის სასარგებლო ქმედება (ან მისი ნაწილი), თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორივე მოსამართლეს რომ განეხორციელებინა. წინა მაგალითისგან განსხვავებით, რომელიც სასამართლო კოლეგიის წევრებს ეხებოდა, ამ მაგალითში ქრთამის მიმცემის სასარგებლო ქმედების განხორციელება, რაიონული სასამართლოს მოსამართლეს თავისი სამსახურებრივი უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე, არ შეეძლო. ამიტომ ის ვერ იქნება დანაშაულის თანაამსრულებელი. როგორც აღნიშნული იყო, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფი გულისხმობს მხოლოდ თანაამსრულებლებს. ბრალდებულისათვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების შეცვლა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის სამსახურებრივ კომპეტენციას განეკუთვნებოდა და მანვე განახორციელა. აქედან გამომდინარე, აქ არ გვაქვს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქრთამის აღება. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე პასუხს აგებს 338-ე მუხლის პირველი ნაწილით. რაც შეეხება მეორე მოსამართლეს - ა-ს, მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც თანამონაწილეობა ქრთამის აღებაში, კერძოდ წაქეზება (25-338 მუხლებით).

მექრთამეობაში თანამონაწილეობა არ იქნება შემდეგ კაზუსში: გენერალური პროკურატურის მაღალჩინოსანმა დაიბარა ოზურგეთის რაიონის პროკურორი და სთხოვა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება ისე წარემართა, რომ მისი ახლობლის - დ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულიყო. სანაცვლოდ დ-ს მშობლები ქრთამის სახით გაიღებდნენ 30 000 დოლარს, რომელსაც ორივენი თანაბრად გაიყოფდნენ. ოზურგეთის პროკურორმა შეთავაზება მიიღო და თხოვნა შეუსრულა. ქრთამის საგანი ორივე მოხელემ თანაბრად გაიყო. ისინი პასუხს აგებენ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქრთამის აღებისათვის. მართალია, დ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება-არდაწყების საკითხი გენერალური პროკურატურის მაღალჩინოსნის სამსახურებრივი უფლებამოსილების სფეროს უშუალოდ არ განეკუთვნებოდა, თუმცა მას დაკავებული თანამდებობის ძალით, თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით შეეძლო უზრუნველყო ქვემდგომი პროკურორის მიერ ქრთამის მიმცემისათვის სასარგებლო ქმედების განხორციელება. მოხელის მიერ ქრთამის სანაცვლოდ თანამდებობრივი ავტორიტეტის



გამოყენება კი ქრთამის აღების ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთი ალტერნატიული ნიშანია. ამიტომ, გენერალური პროკურატურის მაღალჩინოსანი დანაშაულის თანამსრულებლად (ანუ ჯგუფის წევრად) უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, სახეზეა ქრთამის აღება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

დასკვნა

მექრთამეობაში შუამავალი დანაშაულის თანამონაწილეს წარმოადგენს. ამიტომ, მისი ქმედების კვალიფიკაცია დამოკიდებულია ამსრულებლის - ქრთამის აღების ან მიმცემის ქმედების კვალიფიკაციაზე. ქრთამის აღება და მიცემა ფორმალური დელიქტებია. თუ მოხელემ მოითხოვა ქრთამი, ის პასუხს აგებს დამთავრებული დანაშაულისათვის. ასევე აგებს პასუხს შუამავალი, მაშინაც კი, როცა მან ვერ შეძლო მოხელისთვის წინასწარ შეპირებული თანხის გადაცემა. ასეთი დასკვნა თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარეობს.

ქრთამის მიცემაც ასევე ფორმალური დელიქტია და დამთავრებულია **მოხელისათვის** პირადად ან შუამავლის მეშვეობით ქრთამის შეთავაზების ან დაპირების მომენტიდან. თუ ქრთამის მიმცემმა ეს ვერ შეძლო, მაშინ ცხადია, დამთავრებული დანაშაული არ გვექნება. თუ ქრთამის მიმცემმა მოხელისთვის გადასაცემად თანხა მისცა შუამავალს და ამ დროს დააკავეს, გვექნება ქრთამის მიცემის მცდელობა.¹ ცხადია, იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როცა მანამდე მოხელისთვის ქრთამის შეთავაზებას ან დაპირებას (პირადად ან შუამავლის მეშვეობით) ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება შუამავალს, იგი არის ქრთამის მიმცემის მიერ ჩადენილი ქმედების თანამონაწილე, კერძოდ, დამხმარე და ისევე თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, პასუხს აგებს 25-19-339 -ე მუხლებით.

ქრთამის მიმცემი მცდელობისთვის აგებს პასუხს ცრუ შუამავლობის დროსაც. თუ მან მოხელისთვის გადასაცემად ცრუ შუამავალს თანხა მისცა, მისი ქმედება ქრთამის მიცემის მცდელობად უნდა ჩაითვალოს. მართალია, ქრთამის მიცემა ფორმალური დელიქტია, მაგრამ კანონი მოითხოვს **მოხელისთვის** ქრთამის შეთავაზებას ან დაპირებას, რასაც ცრუ შუამავლობის დროს ადგილი არა აქვს.

როცა ცრუ შუამავალი იმავდროულად დანაშაულის (ქრთამის მიცემის) ინიციატორიც არის, მისი ქმედება არ შეიძლება ქრთამის მიცემის წაქეზებად, ანუ დანაშაულში თანამონაწილეობად მივიჩნიოთ. თანამონაწილე და ამსრულებელი ერთიანი მიზნით უნდა მოქმედებდნენ. განსახილველ შემთხვევაში კი ქრთამის მიმცემისა და ცრუ შუამავლის (წამქეზებლის) მიზნები განსხვავებულია. ასე რომ, შეუძლებელია ლაპარაკი ორი პირის მოქმედების ერთიანობაზე, რაც თანამონაწილეობისათვის აუცილებელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე, ოთარ. 1989. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბილისი,
2. გამყრელიძე, ოთარ. 2011. სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბილისი,

¹ **Thomas Fischer**, Strafgesetzbuch, 61. Aufl, München, C.H.BECK, 2014, § 334, Rn.(5)5).



3. გამყრელიძე, ოთარ. 2013. სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბილისი,
4. ებრაელიძე, თამარ. 2019. მექრთამეობის ისტორიული და სამართლებრივი ასპექტები, წიგნი: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი IV, (რედ. გოჩა ფერაძე), თბილისი, „მერიდიანი“.
5. ლეკვეიშვილი, მზია და სხვები. 2020. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეექვსე გამოცემა, (რედ-ბი: გოჩა მამულაშვილი, ნონა თოდუა), თბილისი, „მერიდიანი“.
6. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. 2007. (რედ-ები: გ. ნაჭყებია, ი. დვალაძე), თბილისი,
7. სურგულაძე, ლამარა. 1979. საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორია (1921-1922წწ.), თბილისი,
8. ტურავა, მერაბ. 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, თბილისი,
9. ცეციტიშვილი, თემურ. 2014. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, დისერტაცია, თბილისი, Tsu.sdu.ge
10. ცეციტიშვილი, თემურ. 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბილისი, „მერიდიანი“.
11. წერეთელი, თინათინ. 2007. სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბილისი,
12. ხეცურიანი, ჯონი. 2006. დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, თბილისი,
13. Fischer, Thomas. 2014. Strafgesetzbuch, 61. Aufl, München, C.H.BECK, §334, Rn.(5)5).
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2003, N9.
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე, 2007, N11.
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე, 2016, N10-12.



ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, როგორც იურიდიული პასუხისმგებლობის სახე

გიორგი ხუნაშვილი

სამართლის დოქტორი, ასოც. პროფესორი
გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, სამღერეთის ქ. №5
+995579940353

gxunashvili@yahoo.com

დავით ხობელია

სამართლის დოქტორი, ასოც. პროფესორი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113
+995593908886

davitkhobelia@gmail.com

აბსტრაქტი

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ინსტიტუტი იძენს კონსტიტუციურ მნიშვნელობას, ვინაიდან მას გააჩნია მარეგულირებელი ზემოქმედება ადამიანის და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლების ინსტიტუტზე. ქვეყნის ძირითად კანონს შეუძლია ძლიერი იმპულსები მიმართოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი კანონმდებლობის სფეროში, რითაც ქმნის აღნიშნული პასუხისმგებლობის კონსტიტუციურ საფუძველს.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის შეფარდებას კანონით დადგენილ საფუძველზე და წესით.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა თავისი არსით წარმოადგენს იურიდიული პასუხისმგებლობის სახეს. იურიდიული პასუხისმგებლობა, კი არის სამართალდარღვევის მიმართ სამართლის ნორმის სანქციით გათვალისწინებული იძულების ზომის შეფასება. იურიდიული პასუხისმგებლობის ინსტიტუტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებისას

საკვანძო სიტყვები: ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, იურიდიული პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ადმინისტრაციული გადაცდომა



ADMINISTRATIVE RESPONSIBILITY AS A FORM OF LEGAL RESPONSIBILITY AND ADMINISTRATIVE COERCION

Giorgi Khunashvili

Doctor of Law, Assoc. Professor
Guram Tavartkiladze Tbilisi
Teaching University
Tbilisi, Samghereti st. №5
+995579940353
gxunashvili@yahoo.com

Davit Khobelia

Doctor of Law, Assoc. Professor
Samtskhe-Javakheti State University
Akhaltsikhe, Rustaveli st. №113
+995593908886
davitkhobelia@gmail.com

Abstract

Administrative responsibility is one of the most important institutions of administrative law, which has its own infrastructure. It has procedural and material security in courts and legislation. At the same time, the institution of administrative responsibility acquires constitutional importance, since it has a regulatory impact on human and citizen rights and the institution of freedom. The basic law of the country can direct strong impulses in the field of legislation regulating administrative responsibility, thereby creating the constitutional basis of said responsibility. Administrative responsibility is the application of an administrative fine to an administrative offense on the basis and in the manner established by law. Administrative responsibility is essentially a form of legal responsibility. Legal responsibility is an assessment of the size of the coercion provided by the sanction of the law in relation to the violation of law. The institution of legal responsibility is of great importance in the regulation of public relations.

Key words: administrative responsibility, legal responsibility, administrative offense, administrative misconduct



შესავალი

ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობა არის უმნიშვნელობანესი სამართლებრივი ინსტიტუტი სახელმწიფო მმართველობის სფეროში წესრიგის დასამყარებლად. ამიტომაც მოცემულ სტატიაში განხილულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ბუნება, განხილულია არა მხოლოდ ის ზოგადი მახასიათებლები რომლებიც განაპირობებს მისი სამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის მიკუთვნებას, არამედ ასევე ის ნიშან-თვისებებიც, რომლებიც განაპირობებენ მის გასხვავებულ თავისებურებებს.

ძირითადი ნაწილი

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახეა, რომელიც ვლინდება სახელმწიფო მმართველობითი საქმიანობის განხორციელების პროცესში. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ასევე, ვლინდება პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ფორმებით.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წარმოადგენს იურიდიული პასუხისმგებლობის სახეს, რომელიც გამოიხატება უფლებამოსილი თანამდებობის პირის ან ორგანოს მიერ სახდელის დადებით სამართალდარღვევის ჩამდენი პირის მიმართ. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, იურიდიული პასუხისმგებლობა ყოველთვის შემოფარგლულია სამართლის ნორმით, რომელიც ზემოქმედების ამა თუ იმ ზომას აწესებს.¹

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაკავშირებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენასთან, რომელიც გამოწვეულია კანონის ნორმების მოთხოვნათა საწინააღმდეგო ქმედებით. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, თუმცა კანონმდებლობით გათვალისწინებულია ისეთი შემთხვევებიც, როცა პირს ჩადენილი აქვს უმნიშვნელო ხასიათის სისხლის სამართლის დარღვევა (დანაშაული), მაგრამ მაინც შეიძლება დადგეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.²

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წარმოადგენს - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის შეფარდებას კანონით დადგენილ საფუძველზე და წესით.³

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა თავისი არსით წარმოადგენს იურიდიული პასუხისმგებლობის სახეს. იურიდიული პასუხისმგებლობა, კი არის სამართალდარღვევის მიმართ სამართლის ნორმის სანქციით გათვალისწინებული იძულების ზომის შეფასება.⁴

¹ მ. სალხინაშვილი, ვ. ლორია, ადმინისტრაციული სახდელები და მათი გამოყენება, თბ., 2000წ. გვ. 18.

² თ. ღვამიჩავა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განსხვავება სხვა სახის იურიდიული პასუხისმგებლობისაგან. Georgian Electronik Scientific Journal: Jurisprudence 2006/No. 1(7)

³ (მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]

⁴ http://mariamnesuashvili.blogspot.com/p/blog-page_24.html [15,10,2022]



იურიდიული პასუხისმგებლობის ინსტიტუტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებისას. აღნიშნულ ინსტიტუტთან დაკავშირებული საკითხები ხშირი დისკუსიისა და დავის საგანს წარმოადგენენ. იურიდიული პასუხისმგებლობის არსთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ავტორები გამოყოფენ იურიდიული პასუხისმგებლობის ორ ძირითად მიდგომას - რეტროსპექტიულს (ნეგატიურს) და აქტიურს (პოზიტიურს). როგორც პროფესორი გურამ ნაჭყებია აღნიშნავს, პასუხისმგებლობა არის სოციალური ფილოსოფიის კატეგორია და ის ორი ასპექტით ვლინდება: პოზიტიური ანუ პროსპექტული და ნეგატიური ანუ რეტროსპექტული. პასუხისმგებლობის პოზიტიური ანუ პროსპექტული ასპექტი ნიშნავს პასუხისმგებლობას მომავლისათვის, ესე იგი, რაიმე ნორმატიული ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას, როდესაც, მაგალითად, მართლზომიერი ქმედების ვალდებულება უსათუოდ სრულდება. ცხადია, პასუხისმგებლობა ყოველთვის ნიშნავს პასუხისმგებლობას განსაზღვრული ინსტანციის წინაშე.¹ რეტროსპექტიული პასუხისმგებლობისას იგულისხმება პასუხისმგებლობა განვლილი ქმედებისათვის, რომელიც გამოიხატა სამართლის ნორმის დარღვევაში.

პასუხისმგებლობის ნეგატიური კონცეფციის მომხრეთა შორის არსებობს აზრთა სხვაობა. ერთნი იურიდიულ პასუხისმგებლობას უკავშირებენ სახელმწიფო იძულების ღონისძიებების გამოყენებას, განიხილავენ მას სამართლებრივი ნორმის სანქციით გათვალისწინებულ რეაქციად სამართალდარღვევისათვის, როგორც სამართლებრივი სანქციის რეალიზაცია, სანქციის გამოყენება და განხორციელება. სხვა ავტორები იურიდიულ პასუხისმგებლობას განიხილავენ, როგორც სამართალდამრღვევის ვალდებულებას განიცადოს სახელმწიფო იძულების ზომები, მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებისათვის, რაც გამოიხატება პირადი ან ქონებრივი უფლებების შეზღუდვაში. ს.ნ. ბრატუსი თვლის, რომ იურიდიული პასუხისმგებლობა გამოიხატება სანქციებში, რომლებიც შეიცავენ მითითებას სახელმწიფო იძულების ზომებზე, რომლებიც მიმართულია იურიდიული პასუხისმგებლობის აღსრულებისაკენ.² კ.პ. სერკოვის აზრით იურიდიული პასუხისმგებლობის განმარტება უნდა ასახავდეს კონცეპტუალურ მახასიათებლებს, რომლებიც იურიდიული პასუხისმგებლობის უნივერსალური იმიჯის შექმნის საშუალებას იძლევა.³ ამასთანავე, იურიდიული პასუხისმგებლობის არსის განსაზღვრის მიდგომების მრავალფეროვნების მიუხედავად, მისი ძირითადი პრინციპების და ნიშნების განსაზღვრისას მოსაზრებები უმეტესწილად ემთხვევა, იურიდიული პასუხისმგებლობის დახასიათებისას გამოყოფენ შემდეგ ნიშნებს: იურიდიული პასუხისმგებლობა უშუალო კავშირშია სახელმწიფოს იძულებასთან. იგი წარმოადგენს სახელმწიფო იძულების ნაწილს, მის ერთ-ერთ სტადიას; იურიდიული პასუხისმგებლობა ხასიათდება გარკვეული იძულებებით, რომლებიც უნდა აიტანოს სამართალდამრღვევმა; იურიდიული პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის, რაც წარმოადგენს იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძველს; იურიდიული პასუხისმგებლობის არსებით ნიშნებს განეკუთვნება მისი რეალიზაციის პროცესუალური ფორმები. ჩამოთვლილი ნიშნები საშუალებას იძლევა, რომ იურიდიული პასუხისმგებლობა განისაზღვროს, როგორც

¹ გ.ნაჭყებია დანაშაული ბრალის ორი ფორმით. სამართლის ჟურნალი, #1, 2009 <http://isr.tsu.ge/doc/%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%20%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%90.pdf> [15.10.2022]

² Братусь С.Н. Юридическая ответственность и законность. М. Юридическая литература 1976. С. 7

³ Серков П.П. Административная ответственность: проблемы и пути совершенствования. Автореф. Дисс. д-ра юр. Наук, М. 2010



უფლებამოსილი ორგანოების მიერ სამართალდამრღვევთა მიმართ სადამსჯელო სანქციების დაწესება, კანონით დადგენილი საფუძველით და წესით.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ცნება დემოკრატიულ სახელმწიფოში მჭიდროდაა დაკავშირებული კანონიერების და კანონის უზენაესობის პრინციპთან, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული გადაცდომა.¹

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მახასიათებლებია:

- იგი წარმოადგენს სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და ადმინისტრაციული იძულების ზომების ნაირსახეობას;

- რეგულირდება ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან ადმინისტრაციული სამართლის ინსტიტუტს;

- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ნორმატიული საფუძველები განსაზღვრულია კანონით (კანონქვემდებარე აქტებით);

- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ფაქტობრივი საფუძველია ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;

- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სუბიექტები შეიძლება იყოს ფიზიკური და იურიდიული პირები;

- განხორციელება ხდება ადმინისტრაციული სახდელის დადების გზით;

- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განხორციელებას ახდენს უფლებამოსილ პირთა ფართო სპექტრი (სასამართლო, აღმასრულებელი ხელისუფლება და მათი თანამდებობის პირები);

- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ იწვევს სისხლისსამართლის პასუხისმგებლობას;

- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა უფრო ხშირად დგება არასასამართლო წესით;

- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები ხორციელდება გარკვეული საპროცესო წესით (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება).²

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წარმოადგენს იურიდიული პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ სახეს (სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი არის სახელმწიფოს უარყოფითი რეაქცია ჩადენილ სამართალდარღვევაზე). აქედან გამომდინარე, მას გააჩნია სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი მახასიათებლები პლიუს მისი საკუთარი სპეციფიკური მახასიათებლები.

იურიდიული პასუხისმგებლობის ზოგად მახასიათებლებში შეიძლება გამოვყოთ:

- სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების საშუალება,

- ნორმატიულად განსაზღვრული სამართლებრივი ნორმების სანქციების განხორციელება,

- თან ახლავს სამართალდამრღვევისა და მის მიერ ჩადენილი ქმედების სახელმწიფო და საჯარო დაგმობა;

- იწვევს ნეგატიურ სამართლებრივ შედეგებს, რომელიც უნდა გადაიტანოს სამართალდამრღვევმა,

- შესაბამისი სამართლებრივი ფორმებით განხორციელება.

¹ თ.ღვამიჩავა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განსხვავება სხვა სახის იურიდიული პასუხისმგებლობისაგან. Georgian Electronic Scientific Journal: Jurisprudence 2006/No. 1(7)

² <https://studfiles.net/preview/4164389/page:5/#7> [15.10.2022]



ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის კონკრეტული მახასიათებლებია:

1. საფუძველი არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ანუ ეს არის სამართლებრივი ფაქტი, რომელიც წარმოშობს დამცავ სამართლებრივ ურთიერთობას (ისევე, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია სამსახურებრივი გადაცდომა, სისხლის სამართლის დანაშაულის საფუძველია დანაშაული).

2. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა გამოიხატება ადმინისტრაციული იძულების გარკვეული ზომების, კერძოდ, ადმინისტრაციული სახდელის, როგორც კონკრეტული იძულებითი ქმედებების (ანუ ეს არის პასუხისმგებლობის ზომა) გამოყენებაში.

3. მას აკისრებენ როგორც სასამართლო, ისე სასამართლოს გარეშე სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოების ან თანამდებობის პირების მიერ (ჩამონათვალი შეზღუდულია).

4. როგორ გამოიყენება ადმინისტრაციული იძულების ღონისძიება მოძალადის სამსახურებრივი დაქვემდებარების არარსებობის შემთხვევაში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამტარებელ ორგანოებთან მიმართებაში.

5. მოზიდვის პროცედურა არის მარტივი და ეფექტური, დანაშაულის ჩადენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მცირე პერიოდით (არაუგვიანეს 2 თვისა), მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ვადები 1 წლამდე გაგრძელდება, მაგალითად, საბაჟო წესების, ვალუტის, საგადასახადო, გარემოსდაცვითი, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევა (მუხლი 4.5. რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციული კოდექსი).

6. გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით, რომლებიც ქმნიან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ინსტიტუტს; ამავდროულად, ასეთი ნორმები დადგენილია არა მხოლოდ კანონებით, არამედ კანონქვემდებარე აქტებით, არამედ ფედერალური კანონით დადგენილ შემთხვევებში, როგორც ეს გათვალისწინებულია რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციით. აქ თავისებურება ისიც არის, რომ ჯერ ერთი, ადმინისტრაციული სამართლის ყველა ნორმა არ არის დაცული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დახმარებით და მეორეც, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დახმარებით დაცულია სამართლის სხვა დარგების - ფინანსური, შრომითი და ა.შ.

7. სუბიექტები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ასევე კოლექტიური პირები – იურიდიული პირები.

8. განცხადება არ გულისხმობს სისხლის სამართლის ჩანაწერს, მაგრამ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სახდელს, რომელიც გრძელდება ერთი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც პირი ითვლება ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაზე დაუსაბუთებლად.

პასუხისმგებლობის ნორმატიული საფუძველი გაგებულია, როგორც არსებული სამართლებრივი ნორმების სისტემა, რომელიც აფიქსირებს:

მისი ზოგადი დებულებები და პრინციპები;

ადმინისტრაციული სახდელის სისტემა, მათი ზომები და გამოყენების პრინციპები;

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ელემენტები;

ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების უფლების მქონე სუბიექტთა წრე;

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე წარმოება;

ადმინისტრაციული სახდელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებების აღსრულება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კანონმდებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა დაიცვას:

ა) მოქალაქე, მისი ჯანმრთელობა, მისი უფლებები და თავისუფლებები;



ბ) სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლების განხორციელების დადგენილი წესი, მათი ორგანოებისა და თანამდებობის პირების უფლებები;

გ) მოქალაქეების, ორგანიზაციების, საჯარო ხელისუფლების საერთო ღირებულებები: სანიტარული და ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობა, საზოგადოებრივი მორალი, საზოგადოებრივი წესრიგი და საზოგადოებრივი უსაფრთხოება, საკუთრება, კანონიერი ეკონომიკური ინტერესები.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შეიძლება წარმოიშვას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში. იურიდიულად, უფრო ზუსტად, ასე უნდა ითქვას: პირს შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, თუ მისი ქმედება შეიცავს კონკრეტული სამართალდარღვევის ყველა ნიშანს და არ არსებობს ხელოვნებაში გათვალისწინებული საფუძველი. როდესაც ამბობენ, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ადმინისტრაციული სამართლის დარღვევაა ეს არ არის მართებული. უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც აფიქსირებს სათანადო ქცევის წესებს და დამცავი ნორმები, რომლებიც ადგენს პასუხისმგებლობას ამ წესების დარღვევაზე.

იურიდიულ მეცნიერებაში ძირითადად მიღებულია სამართალდარღვევათა ოთხ სახედ დაყოფა: დანაშაული, ადმინისტრაციული გადაცდომა, დისციპლინური გადაცდომა და სამოქალაქო სამართალდარღვევა.¹ სისხლის, ადმინისტრაციული და დისციპლინური პასუხისმგებლობა იცავს სამართლის ყველა დარგს. აუცილებელია განვასხვავოთ „ადმინისტრაციული დარღვევა“ და „ადმინისტრაციული სამართალდარღვევა“ ცნებები. პირველში ასახულია მხოლოდ ის, რაც არ არის დაცული, დარღვეულია ადმინისტრაციული სამართლის ნორმა. მაგრამ ასეთი ქმედება შეიძლება ჩაიდინოს ადამიანმა, რომელიც ვერ იქნება სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ან იმყოფება უკიდურესი აუცილებლობის პირობებში, ანუ არაბრალეულმა პირმა. ხოლო სამართალდარღვევა არის არამართებული ბრალეული ქმედება.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სტრუქტურა მოიცავს მის ძირითად ნაწილებს, ელემენტებს. უფრო მეტიც, მინიმუმ ერთი მათგანის არარსებობა ხელს უშლის მის წარმოქმნას:

- საფუძველი.
- სუბიექტი
- გამოყენების პირობები.
- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომა.
- პროცედურა.

ასე რომ, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძველად უნდა ჩაითვალოს ფაქტორების ერთობლიობა, რომელთა არსებობამ შესაძლოა გამოიწვიოს ამ ტიპის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მეორე კარის მეორე თავი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ამბობს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმეოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით

¹ ა.ლორია, სამართალდარღვევის ცნება, ჟურნალი სამართალი, 1991, N9-10, 62



გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამ კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ ეს დარღვევები თავიანთი ხასიათით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. რითაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე დგინდება ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

აღსანიშნავია, რომ უმნიშვნელოვანესი მმართველობითი (ფორმები, მეთოდები, იძულების ღონისძიებები) ამოცანები უმეტესწილად ადმინისტრაციულ კანონებშია მოცემული.¹

როგორც აღვნიშნეთ არსებობს ოთხი სახის პასუხისმგებლობა სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და დისციპლინური. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა სამართალდარღვევისათვის (დანაშაული) ადმინისტრაციული და დისციპლინური პასუხისმგებლობა გამოირჩევა რიგი თვისებებით. ძირითადი განსხვავებები არის სოციალური საფრთხე და უსამართლობის ტიპი. რა თქმა უნდა, პირველ რიგში გათვალისწინებულია მატერიალური კრიტერიუმი – საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის დონე.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დისციპლინურთან შედარებისას, უნდა ითქვას, რომ ორივე მათგანის საფუძველი როგორც წესი, არ არის სოციალურად საშიში. რაც შეეხება ფორმალურ ნიშანს - უმართებულობას, აქ მთელი რიგი თავისებურებებია. ყველაფერი რაც დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან: მათი შემადგენლობა, სანქციების სისტემა და სხვა, რეგულირდება ადმინისტრაციული კანონმდებლობით. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დადგება სამართალდარღვევებისთვის, განურჩევლად სამსახურებრივი ქვემდებარეობისა, დისციპლინური პასუხისმგებლობა კი დაკავშირებულია სწორედ ასეთ ქვემდებარეობასთან.² ამასთან, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დარღვევისთვის, ხოლო დისციპლინური პასუხისმგებლობა კი, დგება შრომის შინაგანაწესის ან სხვა წესების მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის. დისციპლინურ გადაცდომებთან ბრძოლა შრომის კანონმდებლობით რეგულირდება, მაგრამ სამხედრო მოსამსახურეების, გასამხედროებული სამსახურების თანამშრომლების დისციპლინური პასუხისმგებლობა - ადმინისტრაციული სამართლით, ხოლო პატიმართა - სასჯელაღსრულების კანონმდებლობით. ამასთანავე, დისციპლინური გადაცდომის კომპონენტები ფიქსირებულია მეტად ზოგადი ფორმით, და დაუზუსტებელია.

პასუხისმგებლობის სახის დადგენასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიზნებიდან გამომდინარე, იმის დასადგენად, თუ რა ბუნების მატარებელია კონკრეტული პასუხისმგებლობა ამბობს, რომ, უნდა შემოწმდეს სამი ნიშნის მიხედვით:³

1. ქმედება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით, უნდა მიეკუთვნებოდეს სისხლის სამართალს;
2. ქმედება, ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით არ მიეკუთვნება სისხლის სამართალს, მაგრამ თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება გააჩნდეს სისხლისსამართლებრივი ხასიათი;

¹ მ. კოპალეიშვილი, ნ.სხირტლაძე, ე. ქარდავა, რედ. ტურავა პ., ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბ., 2016, გვ. 250.

² ვ.ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, მერიდიანი, თბ., 2005, გვ. 375

³ D. Vitkauskas, G. Dikov, Protecting The right to a fair trial under the European Convention on Human Rights, Council of Europe, Strasbourg, 2012, pp. 7-23
<http://www.coe.int/t/dghl/cooperation/capacitybuilding/Source/documentation/hb12_fairtrial_en.pdf> [19.07.2019]



3. ამა თუ იმ ქმედების ჩადენისთვის დაკისრებული სასჯელი, თავისი ბუნებით საკმარისად მკაცრია და მძიმე.

საზოგადოებაში, სადაც მოქმედებს კანონის უზენაესობა, იძულების ღონისძიება თავისუფლების აღკვეთის სახით მიეკუთვნება „სისხლის სამართლის“ სფეროს. იმ გამონაკლისის გათვალისწინებით, რომელიც თავისი შინაარსის, ხანგრძლივობის ან შესრულების მეთოდის გათვალისწინებით არ შეიძლება ასეთად ჩაითვალოს, რაც საზოგადოებას აყენებს დიდ ზიანს.“¹

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რომელსაც საკუთარი ინფრასტრუქტურა გააჩნია. მას აქვს პროცესუალური და მატერიალური უზრუნველყოფა სასამართლოსა და კანონმდებლობაში. ამავდროულად ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ინსტიტუტი იძენს კონსტიტუციურ მნიშვნელობას, ვინაიდან მას გააჩნია მარეგულირებელი ზემოქმედება ადამიანის და მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლების ინსტიტუტზე. ქვეყნის ძირითად კანონს შეუძლია ძლიერი იმპულსები მიმართოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი კანონმდებლობის სფეროში, რითაც ქმნის აღნიშნული პასუხისმგებლობის კონსტიტუციურ საფუძველს.²

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობა არის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი ინსტიტუტი. მას, როგორც იურიდიული პასუხისმგებლობის სახეს ახასიათებს სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი ნიშან-თვისებები, რომლებიც დამახასიათებელია სამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვა სახეებისთვის, ასევე ახასიათებს ისეთი ნიშნებიც, რომლებიც მას განასხვავებს პასუხისმგებლობის სხვა სახეებისაგან და შესაბამისად განაპირობებს მისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის დამოუკიდებელ სახედ არსებობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოპალეიშვილი, მათა და სხვები. 2016. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო. რედ. ტურავა, პაატა. თბილისი: ბონა კაუზა;
2. სალხინაშვილი, მაკა და ლორია, ვალერი. 2000. ადმინისტრაციული სახდელეები და მათი გამოყენება. თბილისი;
3. ლორია, ვალერი. 2005. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი. თბილისი: მერიდიანი ;
4. ურიდია, სამსონ და სხვები. 2004. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა. რედ. გურგენიძე, ვაჟა. თბილისი. ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]. 2004 – 483.;

¹ ო. ჩახუნაშვილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების თავისებურებები თბ., 0128, საქართველო 2020

² А.Б. Агапов. АДМИНИСТРАТИВНАЯ ОТВЕТСТВЕННОСТЬ: УЧЕБНИК. 2000 <https://jurisprudence.club/pravo-administrativnoe/administrativnaya-otvetstvennost-uchebnik.html> [15.10.2022]



5. ლორია, არჩილი. 1991. სამართალდარღვევის ცნება. ჟურნალი: სამართალი. N9-10, 62;
6. ნაჭყებია, გურამ. 2009. დანაშაული ბრალის ორი ფორმით. სამართლის ჟურნალი, #1
7. ღვამიჩავა, თამარ. 2006. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განსხვავება სხვა სახის იურიდიული პასუხისმგებლობისაგან. Georgian Electronik Scientific Journal: Jurisprudence. No. 1(7);
8. ჩახუნაშვილი, ოთარ. 2020. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების თავისებურებები. თბილისი. 0128;
9. ხობელია, დავით. 2021. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსი და შემადგენლობა. ჟურნალი: მართლმსაჯულება და კანონი N1(69);
10. ხობელია, დავით. 2020. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძვლები და კონსტიტუციური პრინციპები. ჟურნალი: მართლმსაჯულება და კანონი N1,(65);
11. ხობელია, დავით. 2022. თანამონაწილეობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში. ჟურნალი: მართლმსაჯულება და კანონი N 2(74);
12. D. Vitkauskas D, G. Dikov, Protecting The right to a fair trial under the European Convention on Human Rights, Council of Europe, Strasbourg, 2012, pp. 7–23 <http://www.coe.int/t/dghl/cooperation/capacitybuilding/Source/documentation/hb12_fairtrial_en.pdf> [19.07.2022];
13. А.Б. Агапов. АДМИНИСТРАТИВНАЯ ОТВЕТСТВЕННОСТЬ: УЧЕБНИК. 2000;
14. Братусь С.Н. Юридическая ответственность и законность. М. Юридическая литература 1976. С.
15. Серков П.П. Административная ответственность: проблемы и пути совершенствования. Автореф. Диссyo д-ра юр. Наук М. 2010;
16. http://mariamnesuashvili.blogspot.com/p/blog-page_24.html(10,11,2022)
17. <https://studfiles.net/preview/4164389/page:5/#7>



სურვილის მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური თვალსაზრისით

ედიშერ ფუტკარაძე
სამართლის დოქტორი
პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანა პოლიტკოვსკაიას # 61
+995 593 18 00 45
edisher.putkaradze@tsu.ge

აბსტრაქტი

შესაძლებელია, სხვადასხვა ადგილი მიუჩინოს სურვილს დანაშაულებრივ ქმედებაში დანაშაულის სხვადასხვა მოძღვრებამ და ზოგიერთ ქვეყანაში მის შესაბამისად მიღებულმა კანონმდებლობამ. ასევე განსხვავებულად შეაფასოს მისი მნიშვნელობაც. შეიცვალოს სურვილის ადგილი და როლი დანაშაულის ცნებაში. ყველაფერი სურვილით იწყება. თუ არ არსებობს სურვილი, მაშინ არც მისი შესაბამისი ქმედების ჩადენა ხდება. არ მოხდება ქმედების ჩადენა, არც მისი შეფასების აუცილებლობა იარსებებს. თუ ვამბობთ, რომ თანამედროვე სისხლის სამართალი არის ქმედების სისხლის სამართალი, მაშინ ისიც უნდა დავამატოთ, რომ სისხლის სამართლისათვის მნიშვნელოვანია არა ნებისმიერი ქმედება, არამედ ადამიანის ნებით (სურვილით) წარმართული ქმედება. მხოლოდ ასეთი ქმედება შეიძლება გახდეს სისხლისსამართლებრივი შეფასების საგანი და უარყოფითად შეფასდეს, გაიკიცხოს. ადამიანს ვერ გავკიცხავთ ისეთი ქმედებისათვის, რომელიც მისი ნებით, სურვილით არ ჩაუდენია.

მხოლოდ ცოდნაზე ან მხოლოდ სურვილზე დაფუძნებული ქმედება ვერ გამოიწვევს სრულფასოვანი პასუხისმგებლობის საფუძველს. ქმედების ჩადენის დროს უნდა არსებობდეს როგორც მისი ჩადენის სურვილი, ისე მისი გონებრივი გაცნობიერება (ცოდნა). მხოლოდ ასეთი ქმედებისათვის შეიძლება მოვთხოვოთ მის ჩამდენს პასუხისმგებლობა.

სათანადო სურვილისა და ცოდნის გარეშე ჩადენილი ქმედება ვერ იქნება სრულფასოვანი ადამიანურ - ფსიქოლოგიური თვალსაზრისით და შესაბამისად ვერც უარყოფით შეფასებას დაიმსახურებს სამართლებრივ - ნორმატიული თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: სურვილი, კანონმდებლობა, ცოდნა, სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური.



THE IMPORTANCE OF THE WILL FROM A CRIMINAL AND CRIMINOLOGICAL POINT OF VIEW

Edisher Phutkaradze

Doctor of Law, Professor

Sokhumi State University

61 Politkovskaya street, Tbilisi

+995 593 18 00 45

edisher.putkaradze@tsu.ge

Abstract

Different doctrines of crime and the legislation adopted in accordance with them in some countries may give different places to desire in the criminal act. Also evaluate its meaning differently. Change the place and role of desire in the concept of crime. Everything starts with desire. If there is no desire, then there is no corresponding action. There will be no action, no need to evaluate it. If we say that modern criminal law is the criminal law of action, then we should also add that not any action is important for criminal law, but an action directed by human will (desire). Only such an action can become the subject of a criminal assessment and be negatively evaluated and reprimanded. We cannot rebuke a person for such an action, which he did not commit with his will.

An act based on mere knowledge or mere desire cannot give rise to full liability. At the moment of committing an action, there must be both the desire to commit it and the mental awareness (knowledge) of it. we can demand the responsibility of the perpetrator Only for such an action.

An action committed without proper desire and knowledge cannot be full-valued from a human-psychological point of view, and therefore cannot deserve a negative assessment from a legal-normative point of view.

Keywords: will, legislation, criminal, criminological

შესავალი

თუ კარგად ჩავუღრმავდებით ადამიანური ქცევის თავისებურებებს, მით უმეტეს დანაშაულის ქმედებასთან დაკავშირებით, მოქმედს ჯერ სურვილი წარმოეშობა რაიმე ქმედების ჩადენის თაობაზე და შემდეგ იწყებს ამ ქმედების ე. წ. „სამართლებრივი ნიშნების“ თეორიულ - გონებრივ გააზრებას. სურვილი წინ უსწრებს ქმედების შემადგენლობისა და საერთოდ დანაშაულის ნიშნების ცოდნას.



რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი არა ნაკლებ მნიშვნელოვანია დანაშაულებრივი ქმედების წარმატებით განსახორციელებლად, მაგრამ რა მნიშვნელობა ექნება ქმედების ნიშნების ცოდნას, თუ არ იქნება მისი ჩადენის სურვილი? ამდენად, პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულებში სურვილი ცოდნაზე უფრო მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია. თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც ამ საკითხთან დაკავშირებით.

თავის მხრივ არა ნაკლებ მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა აღუძრავს მოქმედს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის სურვილს, ნებას. რა არის მისი ქმედების ჩადენის მამოძრავებელი ძალა - მოტივი. აქ უკვე მივდივართ სურვილის ჩამოყალიბების, მიზეზების კვლევის აუცილებლობამდე, რაც მოითხოვს სისხლისსამართლებრივად განზრახვისათვის მნიშვნელოვანი ნების (სურვილის) კრიმინოლოგიური თვალსაზრისით გამოკვლევა - დახასიათებას.

განზრახ დანაშაულებში, განსაკუთრებით კი პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულებში ხომ ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი დანაშაულის ქმედების ჩადენის სურვილია, რომლის შემდეგ ხდება ამ ქმედების თეორიულ - გონებრივი გააზრება (შეცნობა - ცოდნა) და შემდეგ მისი განხორციელება (ხორცშესხმა, ჩადენა). ამდენად დანაშაულის ქმედების ჩადენის სურვილი-ნება ძალზე მნიშვნელოვანია კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით.

ძირითადი ნაწილი

I - გერმანულის გავლენა სხვა ქვეყნების კანონმდებლობაზე

აღსანიშნავია განზრახვის საკითხის მაღალ აკადემიურ დონეზე დამუშავება გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში და ქართულ იურიდიულ აზროვნებაზე გერმანულის გავლენა. ამის ერთ-ერთი მიზეზია რუსულ აზროვნებასა და ლიტერატურაზე უარის თქმის მოტივი. ეს შეიძლება იყოს ასევე საკუთარი ქართული სკოლის დამოუკიდებელი თვითმყოფადი მოსაზრებების სიმცირე. ამის გამო და რუსულ ლიტერატურაზე უარის თქმამ განაპირობა ქართველ მეცნიერთა მიმბაძველობა გერმანულ დოქტრინაზე.¹

დასავლური, განსაკუთრებით კი გერმანული მიღწევების გაცნობა კარგი და მისასალმებელია, მაგრამ ეს არ უნდა იქცეს თვითმიზნად. იმედია არ განაწყენდებიან ჩვენი გერმანელი კოლეგები და ვიტყვი, რომ მხოლოდ მათ ნააზრევზე მიბაძვა და იქაური მოდელის გადმოტანა საკუთარი შემოქმედების გარეშე ჩვენი, ქართული სისხლის სამართალს სათანადოდ ვერ განავითარებს.

რომელიმე ქვეყნის სიძულვილზე (ამ შემთხვევაში რუსეთი და მისი სისხლის სამართლის კოდექსი და მეცნიერება) ან/და რომელიმე ქვეყნის მიბაძვაზე (ამ შემთხვევაში გერმანია და მისი სისხლის სამართლის კოდექსი და დოგმატიკა) დაყრდნობით შეუძლებელია საკუთარი მეცნიერებისა და მით უმეტეს კანონმდებლობის სრულყოფა და შემდგომი უწყვეტი განვითარება.

მე არ უარვყოფ და პირიქით, მიზანშეწონილად მიმაჩნია სხვა ქვეყნებში არსებული მეცნიერული თუ საკანონმდებლო წარმატებების გაცნობა, თუმცა ეს სრულებითაც არ

¹ ი. გამყრელიძე, გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართალზე, წიგნში „ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის“, თბილისი, 1998, გვ.246-256;



ნიშნავს იმას, რომ მათ მიმბაძველებად ვიქცეთ და ყველაფერი იქაური „ბრმად“ გადმოვიტანოთ. გლობალიზაცია და სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი თანამშრომლობის აუცილებლობა მოითხოვს სათანადო მოცულობით სხვა ქვეყნის სამართლის არა მარტო ცოდნას, არამედ გამოყენებასაც კი. აღარაფერს ვამბობ სამართლის ნორმათა ჰარმონიზაციაზე. ეს ცალკე თემაა, რომელსაც ამჟამად აქ აღარ შევხებით.

ყოველთვის საინტერესოა სხვაგან მიწდელი წარმატებებისა და მეცნიერული სიახლეების გაცნობა. ამის უარყოფა შეუძლებელია. თუმცა ეს უნდა იყოს საშუალება და არა მიზანი (მით უმეტეს თვითმიზანი). ეს უნდა იყოს საშუალება შემდეგომი მეცნიერული განვითარებისათვის.

ყოველთვის მნიშვნელოვანი და უპირატესი იქნება საკუთარი, განსხვავებული და დასაბუთებული მოსაზრების შექმნა და შემდგომი შეთავაზება (მკითხველისა თუ მსმენელისათვის), ვიდრე მსოფლიოში ცნობილი ავტორიტეტების მოსაზრებათა გადმოცემა. ეს ისიდეც კარგად ცნობილია სხვებისათვის. გერმანული სისხლის სამართლის მიღწევებზე, განზრახვის საკითხზე გერმანულ სისხლის სამართალში, იქ არსებულ აზრთა სხვადასხვაობაზე, ჩემი გერმანელი კოლეგები უფრო უკეთესად ისაუბრებენ, ვიდრე მე ან ნებისმიერი სხვა არაგერმანელი კოლეგა, რომელიც ჩემსავით გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებასა და კანონმდებლობას გაეცნო ან იქ-გერმანიაში ყოფნის დროს, ან გერმანული ლიტერატურა დაამუშავა, ან გერმანულ კოლეგასთან მსჯელობის შესაძლებლობა ჰქონდა ან სხვა საშუალებით შეძლო ეს.

როგორც უცხოელი, ისე, თვით გერმანელი კოლეგებისათვის საინტერესო იქნება ის, რაც ახალი ან თუნდაც უცხო და განსხვავებულია მათთვის და არა ის, რაც ისედაც ჩვენზე კარგად იციან ან შეიძლება იცოდნენ.

ვხელმძღვანელობ რა ამ მოსაზრებით და არა იმიტომ, რომ არ ვიცნობ ან საინტერესოდ არ მიმაჩნია ამ საკითხის გადმოცემა გერმანული მოდელის მიხედვით, შევეცდები საკითხი წარმოვაჩინო განსხვავებული კუთხით.

პირადად ჩემთვის და ბევრი ჩემი ქართველი კოლეგისათვის საკმაოდ კარგად არის ცნობილი და საინტერესოა გერმანულ ავტორთა კლასიკური შრომები განზრახვისა და სხვა საკითხთან დაკავშირებით. ჩვენთვის ცნობილია ისეთ ავტორთა შრომები, როგორც არიან: ჰ-ჰ იეშევი, თ. ვაიგენდი, მ. მაიერი, ე. მეცგერი, გ.რადბრუხი, კ. როქსინი, ჰ. ველცელი, ჰ. ალვარტი, ე.დრეჰერი, რ. ფრანკი, ი. გოლდშმიტი, გ. იაკობსი, ე. შმიდჰოიზერი, ჰ.ვ. შუენემანი და ა.შ.¹

II - ნებისა და ცოდნის ურთიერთდამოკიდებულებისათვის

ქმედების შემადგენლობის ნიშნების ყველაზე კარგი ცოდნა აქვთ სისხლის სამართლის დარგის მეცნიერებსა და პროფესორებს, მოსამართლეებს, პროკურორებს, ადვოკატებს და შეიძლება ითქვას, რომ ყველა ადამიანს, ვინც საკმაოდ განათლებული და

¹ აქ შეიძლება და ასევე სხვა ავტორების დასახელებაც;
66



გათვიცნობიერებულია სისხლის სამართლის მეცნიერებასა და კანონმდებლობაში. შეიძლება ვამტკიცოთ ან არც კი საჭიროებდეს მტკიცება ის, რომ ამ ადამიანებმა უკეთესად იციან ქმედების შემადგენლობის ნიშნები, ვიდრე მათზე ნაკლებად განათლებულმა ან ინფორმირებულმა მოქმედებმა, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობას ახორციელებენ.

ეს იმიტომ, რომ ამ უკანასკნელთ (თუნდაც შედარებით ნაკლებ) ცოდნასთან ერთად აქვთ ამ ქმედების ჩადენის *ნება (სურვილი)*, რაც არ აქვთ პირველთ. თუნდაც ეს არგუმენტი საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ **განზრახვისთვის ცოდნაზე მეტად მნიშვნელოვანი სურვილია**. ვერც ერთ ცნობილ სისხლის სამართლის სპეციალისტს (თეორიტიკოსსა თუ პრაქტიკოსს), რომელსაც აქვს ქმედების შემადგენლობათა კარგი ცოდნა, ვერ დავუმტკიცებთ ქმედების შემადგენლობის ჩადენის განზრახვას. ეს იმიტომ, რომ მას არ აქვს განზრახვა, რადგან მას არ აქვს ამ ქმედების შემადგენლობის ჩადენის სურვილი (ნება).

ამდენად რაიმეს (ქმედების შემადგენლობის) ცოდნა არ გულისხმობს ან არ მოითხოვს აუცილებლად მისი ჩადენის *სურვილს*, მაგრამ (ქმედების შემადგენლობის ჩადენის) სურვილი აუცილებლად მოითხოვს შესაბამის ცოდნას, რომ ის განვახორციელოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სურვილი მხოლოდ სურვილად დარჩება და მას მნიშვნელობა არ ექნება სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით. ქმედების შემადგენლობის ჩადენის სურვილით იწყება და ყალიბდება განზრახვა, რომელიც შესაბამისი ცოდნით მის განხორციელებას გულისხმობს. *ქმედების ჩადენის სურვილის გარეშე მის შესახებ ცოდნის აუცილებლობა არ არსებობს. თუ არაფრის ჩადენა არ გვსურს, მაშინ არც შესაბამის ცოდნაზე ზრუნვა გვჭირდება*. მაგრამ თუკი რაიმეს ჩადენა გვსურს და გადაწყვიტე (თუ რატომ ეს ცალკე და არანაკლებ საინტერესო საკითხია), მაშინ აუცილებელი ხდება ჯერ მისი თეორიულ - გონებრივი გააზრება და დაგეგმვა (ცოდნა) და შემდეგ მის შესაბამისად მოქმედება, პრაქტიკული განხორციელება.

ქმედების შემადგენლობის ჩადენის სურვილი განხორციელებისათვის მოითხოვს შესაბამის ცოდნასა და მოქმედებას. მაგრამ (ქმედების შემადგენლობის) ცოდნა, თუკი არ იქნება მისი ჩადენის სურვილი, სულაც არ მოითხოვს მოქმედებას. ამდენად, ***პირის ქმედების წარმართველი ნება - სურვილია***, თეორიული ცოდნა ქმედების შემადგენლობის შესახებ და მის შესაბამისად პრაქტიკული მოქმედება *კი სურვილის ახდენის საშუალება*.

ყოველთვის მთავარი და მნიშვნელოვანია *სურვილის შესაბამისად ქმედების ჩადენის გადაწყვეტილება*, იმის გააზრება გინდა თუ არა ქმედების ჩადენა. რა უფრო მნიშვნელოვანია, იმის ცოდნა რა გინდა (ქმედების შემადგენლობის ნიშნების ცოდნა) თუ იმის დაზუსტება გინდა თუ არა საერთოდ ეს ქმედება (ქმედების ჩადენის სურვილი)?

არა მხოლოდ განათლებულმა ადამიანმა, არამედ ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება იცოდეს კონკრეტული დანაშაულის ქმედების ნიშნები, მაგრამ ეს სულაც არ ადასტურებს მის განზრახვას. ეს იმიტომ რომ ის არ ახდენს ამ ცოდნის რეალიზებას. ***ცოდნის რეალიზაცია ხდება სწორედ სურვილის შემთხვევაში***. სურვილი წარმართავს და გამოიყენებს ცოდნას სასურველი ქმედების ჩასადენად. სწორედ კონკრეტული ქმედების ჩადენის მიხედვით შეიძლება ვამტკიცოთ თუ რისკენ იყო მიმართული ქმედება. ქმედების შემადგენლობის ჩადენის მხოლოდ სურვილი და ცოდნა სათანადო გამოვლენის გარეშე სისხლისსამართლებრივად საინტერესო არ არის. ქმედების შემადგენლობის ჩასადენად კი, პირველ ყოვლისა, მისი ჩადენის *ნება* უნდა არსებობდეს, რომ შემდეგ დაიწყოს სურვილის (მისაღწევად) სათანადო თეორიული ცოდნის შესაბამისად კონკრეტული პრაქტიკული ქმედების განხორციელება.



ცოდნა ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ან შეიძინოს ნებისმიერ საკითხზე და მათ შორის ქმედების შემადგენლობის ნიშნებზე, მაგრამ მხოლოდ ცოდნა თავისთავად რეალიზაციის, გამოყენების გარეშე რაიმე შედეგს არ იძლევა. *ცოდნის გამოსაყენებლად (და თუნდაც მის მისაღებად) საჭიროა მისი რეალიზაციის ნება (სურვილი) და შესაბამისი პირობები.* ცოდნის როგორც მიღებას, ისე მიღებული ცოდნის გამოყენებას ანუ *გააქტიურებას ახდენს სურვილი, ამის ნება.*

ამიტომ ადამიანის ცოდნის პრაქტიკაში სასურველი მიმართულებით წამმართველი მისი გამოყენების ნება - სურვილია. ვფიქრობ, რომ ეს მსჯელობაც ადასტურებს სურვილის დიდ და უპირატეს, უდაო მნიშვნელობას განზრახვის დასამტკიცებლად. თუმცა კოლეგებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული მოსაზრება განსხვავებულ არგუმენტებზე დაყრდნობით. ჩემი ხედვა კი ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთია. სხვა არგუმენტების მოყვანაც შეიძლება ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ვერ ვხედავ ამის მიზანშეწონილობას. ყველა მათგანი იმის დამტკიცება - დასაბუთებას ემსახურება, რაც უკვე გამოვთქვი, კერძოდ იმას, რომ სურვილი უპირატესი და ქმედების წამმართველია, მათ შორის დანაშაულებრივი ქმედების.

III - დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური სურვილი

დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის სურვილი შეიძლება იყოს **ზოგადი** და **კონკრეტული**. როდესაც მოქმედს აქვს რაიმე დანაშაულის ჩადენის სურვილი, მნიშვნელოვანია დადგინდეს **რატომ სურს, რა სურს და როგორ სურს**. პირველი ორი (რატომ და რა სურს) არის დანაშაულის ჩადენის ზოგადი სურვილი, რომელიც მნიშვნელოვანია კრიმინოლოგიური თვალსაზრისით. რამ განაპირობა სურვილის ჩამოყალიბება და რისი ჩადენის სურვილი გაუჩნდა მოქმედს. მაგალითად, მოქმედმა სიძულვილის გამო გადაწყვიტა A-ს მკვლელობა. მოქმედს აქვს A-ს მკვლელობის სურვილი. ეს არის ზოგადი ხასიათის წინმსწრები სურვილი, რომელიც მოქმედს აქვს კონკრეტული ქმედების ჩადენამდე. ის თუ **როგორ სურს** თავისი სურვილის ასრულება, არის კონკრეტული ქმედების ჩადენის სურვილი, რომელიც ასევე მოითხოვს ამ ქმედების ჩადენისათვის აუცილებელ ცოდნას. თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, *სურვილი წინ უსწრებს ცოდნას და მის გამოყენებას*. სწორედ კონკრეტული სურვილის არსებობისა და რეალიზაციისას იწყება დანაშაულის ჩადენა. *სწორედ ეს კონკრეტული სურვილია განზრახვისათვის მნიშვნელოვანი და მისი შემადგენელი ნაწილი.*

ზოგადი სურვილი დანაშაულის ჩადენისა (რატომ მსურს და რა მსურს), რომელიც ასევე მნიშვნელოვანია მოქმედისათვის სურვილის ჩამოსაყალიბებლად, სანამ კონკრეტული ქმედების ჩადენის სურვილში არ გადაიზრდება, სისხლისსამართლებრივად და ამდენად განზრახვისათვის მნიშვნელოვანი არ არის.

ეს არის კონკრეტული სურვილისათვის აუცილებელი და წინმსწრები სურვილი. თუკი არ ექნება მოქმედს დანაშაულის ჩადენის სურვილი ზოგადად (მაგალითად, არ სურს A-ს მოკვლა), მაშინ მას არც კონკრეტული ქმედების ჩადენის სურვილი ჩამოუყალიბდება, არ იფიქრებს იმაზე, თუ რა ქმედებით მოიყვანოს თავისი სურვილი სისრულეში. *სწორედ კონკრეტული ქმედების ჩადენის ჯერ სურვილი და შემდეგ ცოდნა არის განზრახვისათვის მნიშვნელოვანი.* როგორც გსურს ნიშნავს კონკრეტული ქმედების ჩადენის სურვილს, რომელსაც ამ ქმედების ნიშნების ცოდნაც სჭირდება.



მაგრამ სანამ კონკრეტულ სურვილზე (როგორ გსურს) გადავა მოქმედი, და აქვს ქმედების ჩადენის ზოგადი სურვილი (მაგალითად სიძულვილის გამო A-ს მკვლელობა - რატომ სურს და რა სურს გაარკვია თავის თავში), მას ჯერ კიდევ არ სჭირდება ქმედების შემადგენლობის ცოდნა, რადგან ჯერ არ გადაუწყვეტია როგორ სურს ქმედების შემადგენლობის ჩადენა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ კონკრეტულ სურვილამდე (როგორ სურს) უნდა არსებობდეს ზოგადი სურვილი (რა გსურს და რატომ გსურს). სწორედ ამ პერიოდში შეიძლება დანაშაულის პრევენცია, მისი აღკვეთა, სანამ კონკრეტული სურვილის რეალიზაცია დაიწყება.

ამდენად, სურვილის გამიჯვნას ზოგად და კონკრეტულ სურვილად აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. კრიმინოლოგიური თვლასაზრისით ყოველთვის მნიშვნელოვანია დანაშაულის გამომწვევი მიზეზის დადგენა, რათა შემდეგ მისი აღმოფხვრის გზით ვიბრძოლოთ დამნაშავეობის წინააღმდეგ. ამისათვის კი მნიშვნელოვანია დამნაშავეობის დანაშაულის ჩადენის სურვილის გამომწვევი მიზეზის დადგენა. უნდა ვიცოდეთ რა არის დანაშაულის ჩადენის სურვილი (რატომ და რა სურს მოქმედს) ე. ი. დანაშაულის ჩადენის ზოგადი სურვილი. თუ დამნაშავეს ეს (ზოგადი) სურვილი არ ექნება, ის არც მის რეალიზაციაზე, კონკრეტულ სურვილზე გადავა. თუ კარგად ჩავულრმავედებით, ეს ზოგადი სურვილი ზოგჯერ გადის სისხლის სამართლის ფარგლებს გარეთ და დანაშაულის გამომწვევ მიზეზებამდე მივყავართ. მნიშვნელოვანია დანაშაულის ჩადენის სურვილის გაჩენის სურვილი (მიზეზი), რომლის აღმოფხვრისა ან არარსებობის შემთხვევაში მოქმედს არ ექნება კონკრეტული ქმედების (როგორ მსურს) ჩადენის სურვილი. ეს კრიმინოლოგიურ - სისხლისსამართლებრივი საკითხია, რომელიც ცალკე კვლევას იმსახურებს. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ თუ არ იქნება დანაშაულის ჩადენის სურვილი ზოგადად (ზოგადი სურვილი - რატომ მსურს და რა მსურს) მაშინ არც მისი ჩადენის კონკრეტული სურვილი იქნება (როგორ მსურს). *კონკრეტული სურვილი არის ზოგადი სურვილის არსებობის შედეგი და გამოხატულება. ამიტომ შედეგთან ბრძოლა (კონკრეტული სურვილი) მისი გამომწვევი მიზეზების (ზოგადი სურვილი) უგულვებელყოფით წარმატებული არ იქნება.*

ზოგადი რატომ მსურს

რა მსურს

კრიმინოლოგიური კუთხით მნიშვნელოვანი

კონკრეტული როგორ მსურს სისხლისსამართლებრივი კუთხით მნიშვნელოვანი

IV - სურვილის ხარისხისათვის

განზრახ დანაშაულებში განსხვავებულია სურვილის ხარისხი, რომელიც ასევე მოქმედებს (უნდა იმოქმედოს) გაკიცხვის ხარისხზე. არ შეიძლება ვისაუბროთ ქმედების შემადგენლობის ნიშნების ცოდნის ხარისხზე, ის შეიძლება ჰქონდეს მოქმედს ან არ ჰქონდეს ანდა ცდებოდეს, რომელიც შეცდომის პრობლემასთან მიგვიყვანს. ამან შეიძლება გამოიწვიოს შეცდომასთან დაკავშირებული ქმედების შემადგენლობის დანაშაულად კვლიფიკაციის ცვლილება. სურვილში შეცდომა კი შეუძლებელია. *ქმედების შემადგენლობის განხორციელების სურვილი მოქმედს ან აქვს ან არ აქვს.* აქ შეიძლება განსხვავებული იყოს ქმედების შემადგენლობის ჩადენის სურვილის სიძლიერე, რომელიც შეიძლება გახდეს განზრახვის სახეების გამიჯვნის საფუძველი. რაც უფრო ძლიერია ქმედების შემადგენლობის ჩადენის სურვილი, მით უფრო



მეტად გააზრებულად და მიზანსწრაფულად მოქმედებს მოქმედი. ასევე უფრო მაღალია მისი უარყოფითად შეფასების, გაკიცხვის ხარისხი. ამდენად, სურვილი მნიშვნელოვანია როგორც ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განზრახვის დასადგენად, ისე უმართლობის () დადგენის შემდეგ მოქმედის შესაფასებლად, გაკიცხვის ხარისხის განსასაზღვრავად. გაკიცხვის ხარისხზე ნაკლებად იმოქმედებს ცოდნა, რადგან მისი მნიშვნელობა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ამოიწურება.

V - ალტერნატიული განზრახვისას სურვილისა და ცოდნის ურთიერთდამოკიდებულება

ამ დროს მოქმედმა დაზუსტებით არ იცის რა მოხდა, რა შედეგი დადგება, მაგრამ ნებისმიერი მათგანი მისთვის სასურველია. ამდენად ნებელობა (სურვილი) წინ უსწრებს ქმედების ჩადენის ცოდნას, რომელიც არ არის კონკრეტული და საკმარისი იმისათვის, რომ დაზუსტებით იცოდეს მოქმედმა თუ რა შეიძლება მოხდეს. თუმცა მას სურს შესაძლო ვარიანტათაგან ერთ - ერთის დადგომაც, რომელიც ამ ქმედებას სავარაუდოდ აუცილებლად მოყვება.¹

რა თქმა უნდა, სურვილისა და ცოდნის ურთიერთკავშირი აქაც სახეზეა, განზრახვის ალტერნატიულობას სწორედ მოსალოდნელი შედეგის უზუსტობა (კონკრეტულად არცოდნა ან არაკონკრეტული ცოდნა) წარმოადგენს. ცოდნა შეიძლება იყოს კონკრეტული ან არაკონკრეტული, როცა არ იცი ზუღტად რა მოხდება, როგორ განვითარდება მოვლენები და რა შედეგი დადგება.² მაგრამ ამ ვარიანტების სურვილი არ შეიძლება იყოს ცოდნის მსგავსად კონკრეტული ან არაკონკრეტული. ქმედების ჩადენის სურვილი გაქვს ან არა, მიუხედავად იმის ცოდნისა, თუ რას გამოიწვევს ის. ადამიანი მოქმედებს მაშინ, როცა იცის რას გამოიწვევს ეს ქმედება და სურს. ადამიანი მოქმედებს მაშინაც, როცა დაზუსტებით არ იცის რას გამოიწვევს ეს ქმედება, მაგრამ შესაძლო ვარიანტათაგან ნებისმიერი მისაღებია და სურს. ქმედების ჩადენის სურვილი ქმედების ჩადენის მომენტში კონკრეტული და დაზუსტებულია, რომელმაც მოქმედს გადაწყვეტინა ქმედების ჩადენა თუნდაც ალტერნატიული შედეგების დადგომის მიუხედავად.

ალტერნატიული სურვილის შემთხვევაში ის სხვაგვარად მოიქცეოდა და არა ისე, როგორც იმოქმედა. ის მოიქცეოდა ისე, როგორც და რისი მიღწევაც სურდა. სწორედ სურვილის დაზუსტება და მისი მიღწევისათვის ქმედების ჩადენის ნებელობაა ქმედების ჩადენის განმაპირობებელი. ალტერნატიული შეიძლება იყოს შედეგის დადგომის შესაძლებლობა და მის მისაღწევად ქმედების ნიშნების ცოდნა, მაგრამ ალტერნატიული არ შეიძლება იყოს გადაწყვეტილება ქმედების ჩადენის თაობაზე. ქმედების ჩადენის გადაწყვეტილებას მოქმედი ან იღებს ან არა. ქმედების ჩადენის გადაწყვეტილებას ყოველთვის წინ უსწრებს ამ ქმედების ჩადენის ნებელობა და სურვილი, რომელსაც თავის მხრივ სხვა ფაქტორები განაპირობებს.

ალტერნატივა შეიძლება ჰქონდეს მოვლენების განვითარებას და ცოდნას მათ შესახებ, რომელიც განსხვავებულ შედეგებამდე მოგვიყვანს. მაგრამ თუ მოქმედს ერთ - ერთი მათგანიც არ სურს რომ დადგეს, მაშინ ის ამ ქმედებას არ ჩაიდენს.

¹ ლ. მალაკელიძე, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, (შედარებით-სისხლისსამართლებრივი ანალიზი), თბ., 2013

² E. Phutkaradze, Die Abgrenzung des Eventualvorsatzs von der bewussten Fahrlaessigkeit und Irrtuemer im Strafrecht, Ankara, 2018, s. 227-235



ის ამ ქმედებას სჩადის სწორედ იმიტომ, რომ დარწმუნებული არ არის მოვლენების განვითარების სიზუსტეში და შესაძლო ვარიანტთაგან მისთვის ყველა მისაღები და სასურველია. წინააღმდეგ შემთხვევაში **არასასურველი შედეგის გამომწვევი ქმედების ჩადენა მოქმედისათვის არასასურველი უნდა იყოს.**

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ალტერნატიული განზრახვის დროსაც კი როდესაც ქმედების შემადგენლობის შესახებ ცოდნა არაკონკრეტული და ალტერნატიულია, მისი გამომწვევი ქმედების ჩადენის თაობაზე სურვილი (ნებელობა) კონკრეტული და დაზუსტებულია. ის (სურვილი) ან აქვს მოქმედს ან არ აქვს. შესაბამისად ის მოქმედებს ან არ მოქმედებს. *ალტერნატიული, დაუზუსტებული სურვილის შემთხვევაში მოქმედება შეუძლებელია მანამ, სანამ მოქმედი არ გადაწყვეტს და არ დააზუსტებს რა სურს - იმოქმედოს თუ არა. სურვილის, ნებელობის დაზუსტების ან არსებობის გარეშე ქმედება არ იქნება ნებელობითი და ამდენად სისხლისსამართლებრივად საინტერესო.*

თუმცა ქმედების შემდეგ მოვლენების განვითარების შესახებ ალტერნატიული წარმოადგენისა ან ცოდნის შესაბამისად, მაგრამ მოქმედისათვის თუნდაც ერთ - ერთი სასურველი შედეგის გამომწვევი ქმედება, რომელიც მის ნებით არის შესრულებული, საინტერესოა სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით.

VI - სურვილით ცოდნის გააქტიურება

არავინ არ უარყოფს ცოდნის მნიშვნელობასა და ადგილს განზრახვის ცნებაში, მაგრამ სურვილის (ნებელობის) მნიშვნელობა მტკიცებასა და დასაბუთებას ნამდვილად არ საჭიროებს.¹

ადამიანის ქცევის (თუნდაც დანაშაულებრივი ქმედების) გამომწვევი მიზეზების კვლავამ არ უნდა მოგვაქციოს ფსიქოლოგიზმის ტყვეობაში, მაგრამ მხოლოდ წმინდა ნორმატიული (სამართლებრივ-შეფასებით) კატაგორიებით მისი დახასიათებაც სრულყოფილი არ იქნება.

ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება ადამიანის ნების (სურვილის) ჩამოყალიბებაზე აუცილებელია. ეს საკითხი საკმაოდ კარგად არის შესწავლილი და დამუშავებული იურიდიულ ფსიქოლოგიაში. აქ მათ განხილვას ადარ შევუდგები.

მინდა აღვნიშნო, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო რაიმე ქმედების (მათ შორის დანაშაულებრივი) ჩადენის სურვილი წინ უსწრებს გადაწყვეტილებას ამ ქმედების ჩადენაზე. ქმედების ჩადენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყება გონებრივი გააზრება, თეორიული ცოდნის “გააქტიურება“, ამოქმედება პრაქტიკაში გამოსაყენებლად. მანამდე ამ ცოდნის არსებობისა და მით უმეტეს გამოყენების აუცილებლობა არ არსებობს. თუმცა სურვილის განხორციელებას სჭირდება შესაბამისი ქმედების შესახებ ჯერ თეორიული ცოდნა და შემდეგ პრაქტიკული ჩადენა. ეს კი იმას ადასტურებს, რომ ჯერ წარმოიშობა სურვილი და შემდეგ შესაბამისი ცოდნის გამოყენებით ხდება ან არ/ვერ ხდება ამ სურვილის რეალიზაცია. არასასურველი, არანებელობითი ქმედება იურიდიული, სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით უმნიშვნელოა.

რაიმე ქმედების ჩასადენად (მათ შორის დანაშაულებრივი ქმედების), სისრულეში მოსაყვანად საჭიროა ამ ქმედების ჩადენის სურვილი (ნება) და შესაძლებლობა ერთდროულად.

¹ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ.159-168



თუ არ გაქვს სურვილი, მაგრამ გაქვს შესაძლებლობა, ქმედებას *არ* ჩაიდენ. მაგრამ თუ გაქვს სურვილი, მაგრამ არა გაქვს შესაძლებლობა, მაშინ ქმედებას ვერ ჩაიდენ.

შესაძლებლობა თავის მხრივ გულისხმობს როგორც ამ ქმედების ჯერ თეორიულ - გონებრივ გააზრებას, ე. ი. მის ცოდნას, ისე პრაქტიკული განხორციელების უნარს, შეიძლება ითქვას ფიზიკურ, რეალურ შესაძლებლობას. ადამიანი გონიერი არსებაა და ცალკეული (რეფლესური, აფექტური, ფსიქიკური დაავადება და ა. შ.) შემთხვევების გარდა ჯერ გონებრივად გააზრებს და შემდეგ მოქმედებს. ანუ ქმედების ჩადენას წინ უსწრებს მისი გონებრივი გააზრება, ცოდნა ამ ქმედებაზე. **ცოდნას კი წინ უსწრებს სურვილი ქმედების ჩადენაზე.** სურვილით, ნებით წარმართული ქმედებაა შეფასების კუთხით საინტერესო. როცა ადამიანი სხვადასხვა მიზეზის გამო თავის ქმედებას ვერ წარმართავს, ვერ აკონტროლებს ან როგორც გავრეცელებულია, „ვერ ბატონობს“ საკუთარ ქმედებაზე, მაშინ მისთვის ამ ქმედების გამო გაკიცხვა და მით უმეტეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება უსამართლობა იქნებოდა.

ადამიანი სურვილითა და ნებელობით უნდა მოქმედებდეს. მხოლოდ ასეთი ქმედებაა იურიდიულად, სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი.¹ სურვილით იწყება ქმედების ჩადენის სურვილი, მაგრამ მხოლოდ ცარიელი სურვილი არ კმარა! სურვილის შესასრულებლად საჭიროა სათანადო შესაძლებლობა, რომელიც გულისხმობს თეორიულ და პრაქტიკულ შესაძლებლობას.

VII - სურვილი და შესაძლებლობა

თეორიული შესაძლებლობა არის ცოდნა ქმედების თაობაზე (სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით ქმედების შემადგენლობის ნიშნებზე), *პრაქტიკული შესაძლებლობა* კი გულისხმობს თეორიულად გააზრებული ქმედების პრაქტიკულად ჩადენის უნარს.

სწორედ ქმედების ნიშნების თეორიული გააზრების ან პრაქტიკული ჩადენის დროს შეიძლება მოხდეს შეცდომა ან არ მოხდეს. ე. ი. მოქმედმა ჩაიძინოს სასურველი ქმედება ან ვერ ჩაიძინოს.

დანაშაულის ჩასადენად მხოლოდ ცოდნა არ კმარა. საჭიროა ცოდნის საფუძველზე პრაქტიკულად რეალური ქმედების ჩადენა.

რისი ცოდნა აქვს მოქმედს, ჩვენ ვერ შევავსებთ, თუ არ მოხდა ამ ცოდნის გამოხატვა. ეს კი შესაბამის ქმედებაში გამოიხატება. რაც არ იცი, იმას ვერც ჩაიდენ, ვერ გააკეთებ. რაკი ცოდნის შესაბამისი ქმედების რეალიზაცია იწყება, შეიძლება დაიწყოს ამ ქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასებაც. მხოლოდ ქმედების ცოდნას ვერც დავუმტკიცებთ მოქმედს და ვერც შესაბამისად შევავსებთ, თუ არ გვექნება შეფასების ობიექტი - მის მიერ განხორციელებული ქმედება. ქმედებას კი ადამიანი არ ჩაიდენს ნებელობის გარეშე, რა თქმა უნდა, როცა ის ამ ქმედებაზე ბატონობს.

ჩვენ არ უარვყოფთ ცოდნის როლსა და მნიშვნელობას განზრახვისა და მისი ხარისხების დადგენასა და განსაზღვრაში, მაგრამ ***სურვილი და ნებელობა ყოველთვის წინ უსწრებს ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციას.***

¹ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა, თბ., 2018, გვ.160



არსებობს ცოდნა რაღაც ფაქტების შესახებ, მაგალითად, დანის დარტყმით კაცის მოკვლის, თოფის გასროლით, საწამლავის მიცემით, მაგრამ მათი გააქტიურება - პრაქტიკული ჩადენა ხდება მხოლოდ ნების, სურვილის შემთხვევაში. **ცოდნა პასიურად, რეალიზაციის გარეშე სისხლისსამართლებრივად საინტერესო არ არის.** ცოდნა რეალიზებული დანაშაულებრივ ქმედებაში ხდება სისხლისსამართლებრივი შეფასების საგანი. **ცოდნის რეალიზაციას კი მისი გამოყენების სურვილი ახდენს.**

არსებობს მოსაზრება, რომელიც განზრახვაში უპირატესობას ნებელობის მხარეს ანიჭებს, *dolus voluntati* vs, მეორე მოსაზრება ინტელექტუალურ მომენტს, ცოდნას *dolus intelectuales*. საინტერესოა განზრახვის კომპოზიციური განმარტება, რომელიც ცოდნასა და ნებელობას აუცილებლად მიიჩნევს, მაგრამ გამოკვეთილ უპირატესობას არც ერთს არ ანიჭებს.¹

აქ აღარ შევუდგებით ეროვნული და უცხოური ლიტერატურის განხილვა - დამუშავებას, სადაც განზრახვის აუცილებელ კომპონენტად მიჩნეულია სურვილი და ცოდნა. განზრახვის ნებისმიერ სახეში ისინი სხვადასხვა სიძლიერით, მასშტაბით აუცილებლად არსებობენ.

VIII - ქმედების სურვილი და შედეგის სურვილი

როგორც აღვნიშნეთ მოქმედს სურს ქმედება და ამიტომ სჩადის მას. თუ მოქმედს ასევე სურს შედეგი და ითვალისწინებს მისი განხორციელების გარდაუვალობას გვაქვს პირდაპირ განზრახვა (ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით). თუკი ასეთი შედეგი არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას, გვაქვს არაპირდაპირი განზრახვა. ეს ის შემთხვევებია, როცა მოქმედის ცოდნით გათვალისწინებულია მართლსაწინააღმდეგო შედეგების დადგომის შესაძლებლობა.²

ადამიანი ყოველთვის ჩადის იმ ქმედებას, რაც სურს, მაგრამ ყოველთვის არ დგება ის შედეგი, რაც სურს. ქმედების ჩადენის სურვილი არ იცვლება. შეიცვლება სურვილი, შეიცვლება ქმედებაც. მაგრამ იცვლება შესაძლებლობა - ცოდნა და პრაქტიკული ქმედება, რომელიც სხვადასხვა შედეგს იძლევა. სწორედ შესაძლებლობის ცვალებადობის გამო სხვადასხვა შედეგის დადგომა იწვევს კვლიფიკაციის შეცვლის აუცილებლობას, და არა სურვილის, ნების ცვლილება.

ერთი სურვილის მისაღწევად შეიძლება სხვადასხვა შესაძლებლობის არსებობა და არჩევა. მაგალითად ვინმეს მოკვლის სურვილი, მაგრამ ერთი შესაძლებლობის შემთხვევაში, მაგალითად, მხოლოდ საწამლავის მიცემა, მისი გამოყენება გვსურს ან არა და უარს ვამბობთ მასზე.

სურვილისა და შესაძლებლობის (ცოდნისა და მის შესაბამისად ქმედების) ურთიერთდამოკიდებულება იყო და ყოველთვის იქნება მეცნიერული კვლევისათვის საინტერესო საგანი. თეორიულად მეცნიერებმა შეიძლება სხვადასხვა პოზიცია შეიმუშაონ და შემოგვთავაზონ. მაგრამ ხშირად ნებელობისა თუ შესაძლებლობის პრიორიტეტულად აღიარება სისხლის სამართლის პოლიტიკას უკავშირდება. აქ კი ძალიან მნიშვნელოვანია ამ საკითხთან

¹ ე. ფუტყარაძე, ადამიანის უფლების დაცვა სისხლის სამართალში მისი სამართლებრივ სიკეთედ გამოცხადების თვალსაზრისით, ნაწილი II, „ცხოვრება და კანონი“, 2019 წ. №2(46), გვ.38-53; გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), თბ., 2011; მ.ტურავა, მ.ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ.266-275

² საქართველოს სსკ-ს მე-9 მუხლის მოქმედი რედაქცია



დაკავშირებით საკანონმდებლო და სასამართლო პოლიტიკა. ნებისმიერი თეორიული საკითხის სიცოცხლისუნარიანობის შემოწმება ხდება სწორედ კანონმდებლობასა ან/და სასამართლო პრაქტიკაში.

თუ კარგად გავანალიზებთ ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბებულ პირდაპირი განზრახვისა და არაპირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო კონსტრუქციას სურვილის საკითხთან მიმართებაში ვნახავთ, რომ *ქმედების ჩადენის სურვილი ორივე სახის განზრახვის დროს აუცილებელია*, ისე მოქმედი არ იმოქმედებს, მაგრამ შედეგის დადგომის სურვილი სხვადასხვაა. მოქმედმა შეიძლება იმოქმედოს მაშინ, როცა არ სურს კონკრეტული შედეგი. თუ რატომ ეს ცალკე კვლევის საკითხია, რომელსაც აქ აღარ შევეხებით. მაგრამ მოქმედი არ იმოქმედებს მაშინ, თუ არ სურს თვით ქმედების ჩადენა. *ქმედების ჩადენის დროს სურვილი აუცილებელია, შედეგის დადგომის დროს კი ყოველთვის არა*. ქმედების შემადგენლობა კი ქმედებით იწყება და ყოველთვის ქმედებას ითვალისწინებს და არა შედეგით.

ამიტომ *სურვილის (ნების) გარეშე შემადგენლობის ჩადენა შეუძლებელია* თუნდაც ისეთ შემადგენლობებში, სადაც მოქმედს კონკრეტული შედეგის დადგომა არ სურს. მაგრამ მას სურს ქმედება, რომელმაც შეიძლება ეს შედეგიც გამოიწვიოს.

დასკვნა

დანაშაულის სხვადასხვა მოძღვრებამ და ზოგიერთ ქვეყანაში მის შესაბამისად მიღებულმა კანონმდებლობამ შესაძლებელია სხვადასხვა ადგილი მიუჩინოს სურვილს დანაშაულებრივ ქმედებაში. ასევე განსხვავებულად შეაფასოს მისი მნიშვნელობაც. შეიცვალოს სურვილის ადგილი და როლი დანაშაულის ცნებაში. ყველაფერი სურვილით იწყება. ***თუ არ არსებობს სურვილი, მაშინ არც მისი შესაბამისი ქმედების ჩადენა ხდება***. არ მოხდება ქმედების ჩადენა, არც მისი შეფასების აუცილებლობა იარსებებს. თუ ვამბობთ, რომ თანამედროვე სისხლის სამართალი არის ქმედების სისხლის სამართალი, მაშინ ისიც უნდა დავამატოთ, რომ სისხლის სამართლისათვის მნიშვნელოვანია არა ნებისმიერი ქმედება, არამედ ადამიანის ნებით (სურვილით) წარმართული ქმედება. მხოლოდ ასეთი ქმედება შეიძლება გახდეს სისხლისსამართლებრივი შეფასების საგანი და უარყოფითად შეფასდეს, გაიკიცხოს. ადამიანს ვერ გავკიცხავთ ისეთი ქმედებისათვის, რომელიც მისი ნებით, სურვილით არ ჩაუდენია.

მხოლოდ ცოდნაზე ან მხოლოდ სურვილზე დაფუძნებული ქმედება ვერ გამოიწვევს სრულფასოვანი პასუხისმგებლობის საფუძველს. ქმედების ჩადენის დროს უნდა არსებობდეს როგორც მისი ჩადენის სურვილი, ისე მისი გონებრივი გაცნობიერება (ცოდნა). მხოლოდ ასეთი ქმედებისათვის შეიძლება მოვთხოვოთ მის ჩამდენს პასუხისმგებლობა.

სათანადო სურვილისა და ცოდნის გარეშე ჩადენილი ქმედება ვერ იქნება სრულფასოვანი ადამიანურ - ფსიქოლოგიური თვალსაზრისით და შესაბამისად ვერც უარყოფით შეფასებას დაიმსახურებს სამართლებრივ - ნორმატიული თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქარველოს სისხლის სამართლის კოდექსი, სსმ, 41(48), 13/08/1999, <https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=243>



2. გამყრელიძე, ოთარ, 1998, გერმანული სისხლის სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის სამართალზე, წიგნში „ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბილისი, მერიდიანი.
3. მალაქელიძე, ლავრენტი, 2013, განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, (შედარებით-სისხლისსამართლებრივი ანალიზი), თბილისი, მერიდიანი.
4. ავტორთა კოლექტივი, 2018, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბილისი.
5. ფუტყარაძე, ედიშერი, 2019, ადამიანის უფლების დაცვა სისხლის სამართალში მისი სამართლებრივ სიკეთედ გამოცხადების თვალსაზრისით, ნაწილი II, „ცხოვრება და კანონი“. №2(46).
6. ტურავა, მერაბი, 2011, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, მერიდიანი.
7. ნაჭყებია, გურამი, 2011, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო), თბილისი, მერიდიანი.
8. Phutkaradze, Edisher, 2018, Die Abgrenzung des Eventualvorsatzs von der bewussten Fahrlaessigkeit und Irrtuemer im Strafrecht, Ankara.



დანაშაულის პროვოკაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შედარებითი ანალიზი

ნუგზარ თევდორაძე
სამართლის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
ქ. თბილისი, სამღერეთის ქ. №5
+995551321719
nugzar.tevdoradze@gttu.edu.ge

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია თავისი ბუნებით ერთ-ერთი პრობლემური საკითხი, როგორცაა დანაშაულის პროვოკაცია, რომელიც უკვე ათწლეულებია იურიდიულ მეცნიერებაში იწვევს ცხარე დისკუსიას და ასევე, სამართალმწარმოებელი ორგანოებისათვის ქმნის პრობლემას, რადგან ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით პროვოცირება შეიძლება გახდეს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

დანაშაულის პროვოკაცია ზოგადად და განსაკუთრებით სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან და მისი სამართლებრივი შედეგები ითვლება ერთ-ერთ რთულ პრობლემად თანამედროვე სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესუალურ სამართალში. ამჟამად მთელ მსოფლიოში პოლიციის ორგანოები ფართოდ იყენებენ სხვადასხვა აგენტურულ მეთოდებს ლატენტური დანაშაულების გამოსავლენად, ისეთების, როგორცაა ნარკოვაჭრობა, ტრეფიკინგი, კორუფცია და ა.შ. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში, ისეთი ოპერატიული ღონისძიებების განხორციელებისას, როგორცაა საკონტროლო შესყიდვები, პოლიციელები და მათი აგენტები გამოდიან დანაშაულებრივი მოქმედებების ინიციატორების ან შემსრულებლების როლში.

ასეთი მეთოდების წინააღმდეგ გამოდის იურიდიული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც თვლის, რომ პოლიციის ამოცანაა დანაშაულის აღკვეთა და არა მორალურად არამყარი ადამიანის წაქეზება მათ ჩადენაზე.

საკვანძო სიტყვები: დანაშაულის პროვოკაცია, პროვოცირებულის დასჯა



COMPARATIVE ANALYSIS OF CRIMINAL LIABILITY FOR PROVOCATION OF CRIME

Nugzar Tevdoradze

Doctor of Law, Associate Professor

Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University

Tbilisi, Samghereti st. №5

+995551321719

nugzar.tevdoradze@gttu.edu.ge

Abstract

The article discusses one of its inherently problematic issues, such as the provocation of a crime, which has been the subject of heated discussion in legal science for decades, and also creates a problem for the judicial body, because under the laws of some countries, provocation can become a basis for exemption from responsibility.

Provocation of crime in general and especially by law enforcement agencies and its legal consequences is considered one of the most difficult problems in modern criminal law and criminal procedural law. Currently, police authorities around the world widely use different agency methods to detect latent crimes, such as drug trafficking, trafficking, corruption, etc. However, in some cases, during the implementation of such operational measures as control purchases, police officers and their agents act as initiators or perpetrators of criminal activities.

Such methods are opposed by a significant part of the legal community, which believes that the task of the police is to prevent crimes, not to encourage morally unstable people to commit them.

Keywords: provocation of crime, punishment of the provoked

შესავალი

პირველი ქვეყანა, სადაც დანაშაულის პროვოკაცია აღიარებულ იქნა გარემოებად, რომელიც გამორიცხავს დანაშაულს, იყო აშშ. XX საუკუნეში ამ ქვეყანაში გამომუშავებულ იქნა დოქტრინა, რომლის თანახმადაც პოლიციური პროვოკაცია იყოფა „მართლზომიერად“ და „არამართლზომიერად“. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება მხოლოდ სიტუაცია, როდესაც სამართალდამცავი ორგანოს თანაშრომელი, სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის მიზნით აქტიურად აქეზებს ობიექტს დანაშაულის ჩადენისაკენ, რომლის ჩადენაც მას არ სურს. ამ შემთხვევაში აგენტის მოქმედებები განიხილება როგორც „მახეში (ხაფანგში) გაბმა“ და ცხადდება მართლსაწინააღმდეგოდ.

აშშ-ის ფედერალურმა სასამართლოებმა დაიწყეს იმის აღიარება, რომ ხაფანგში (მახეში) ჩათრევა პასუხისმგებლობის გამორიცხვის საფუძველია დაწყებული საქმიდან *Woo Wai vs United States* (223 F 412(9th Circuit 1915)). აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ საქმეში *Sorrels vs*



United States (287 U.S. 435 (1932)) ერთსულოვნება გამოხატა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებაზე პირისათვის, რომელმაც „მშრალი კანონის“ დარღვევით სპირტიანი სასმელი მიყიდა პოლიციის აგენტს ამ უკანასკნელის დაჟინებული წინადადებების შემდეგ.

პრეცედენტული უფლებით გამომუშავებული დოქტრინა გადატანილ იქნა შტატების სისხლის სამართლის კანონდებლობაში. მათგან უმეტესობაში ნიმუშად გამოყენებულ იქნა იურიდიული კონსტრუქცია, რომელიც შემოთავაზებლ იქნა აშშ-ის სანიმუშო სისხლის სამართლის კოდექსში (მუხლი 2.13):¹

1) საჯარო თანამდებობის პირი, რომელიც განახორციელებს კანონის აღსრულებას ან პირი, რომელიც მოქმედებს ასეთ თანამდებობრივ პირთან ერთობლივად, აწყობს პროვოკაციას, მტკიცებულების მიღების მიზნით, ის აიძულებს ან წაახალისებს სხვა პირს საქციელისაკენ, რომელიც ამ ხელყოფას შეადგენს, შემდეგი მიზეზით:

ა) ფაქტზე აშკარა ცრუ წარმოდგენის შესაქმნელად, რომელიც გათვლილია იმაზე, რომ გამოიწვიოს ისეთი წარმოდგენა, რომ ეს საქციელი არ ითვლება აკრძალულად, ან

ბ) დარწმუნებისა თუ იძულების მეთოდის გამოყენებით, რომლებიც იმის არსებით რისკს ქმნიან, რომ ასეთ ხელყოფას შეასრულებს (ჩაიდენს) სხვა პირი ან პირები იმათ გარდა, რომლებიც უკვე მზად არიან მის ჩასადენათ.

2) პირი, რომელმაც განიცადა სისხლისსამართლებრივი დევნა ხელყოფისათვის, ექვემდებარება გამართლებას, თუ კი ის უფრო მარწმუნებელი მტკიცებულებების წარმოდგენის შემდეგ დაამტკიცებს, რომ მისი ქცევა გამოწვეული იყო პროვოკაციით. საკითხი პროვოკაციის შესახებ განიხილება სასამართლოში ნაფიცი მსაჯულების გარეშე.

ძირითადი ნაწილი

ზემოაღნიშნული ნორმების ინტერპრეტაციის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ორი შტატის კანონმდებლობა.

ტენასის სსკ-ით (მუხლი 8.06) მახეში გაბმა მიეკუთვნება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ზოგად საფუძვლებს:

ა) ითვლება პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძვლად ის, რომ მოქმედმა განახორციელა შერაცხადი ქცევა, რადგანაც ასე მოქცევა აიძულა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელმა, რომელმაც გამოიყენა დარწმუნების თუ სხვა მეთოდები, რაც აიძულებდა ადამიანს ჩაედინა აღნიშნული ხელყოფა. ქცევა რომელიც უბრალოდ აძლევს ადამიანს ხელყოფის შესაძლებლობას, არ ითვლება მახეში ჩაბმად.

შინაარსის მიხედვით თითქმის ანალოგიური ნორმა გვხვდება ნიუ-ორკის შტატის სს კოდექსშიც (§40.05). „ხელყოფისათვის ნებისმიერ დევნაში მამტკიცებელ დაცვად ითვლება ის, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა აკრძალული ქცევა იმის გამო, რომ ის ამის ჩასადენად წააქეზა საჯარო მოხელემ, ან პირმა, რომელიც მოქმედებდა საჯარო მოხელესთან ერთად, რომელიც ცდილობდა მოეპოვებინა მტკიცებულება მის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის საქმის გასაბათილებლად, თუ მტკიცებულებების მოპოვების მეთოდები იყო ისეთი, რომ შექმნეს იმის გარკვეული რისკი, რომ ეს ხელყოფა ჩადენილ იქნებოდა პირის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ იქნებოდა ამის ჩამდენი. ხელყოფის ჩადენის იძულება ან წაქეზება ნიშნავს

¹ <https://constitutions.ru/?p=5849>



აქტიურ იძულებას ან წაქეზებას. საქციელით, რომლითაც პირს უბრალოდ ეძლევა ხელყოფის შესაძლებლობა, არ ითვლება ხაფანგში ჩათრევად“.¹

აშშ-ისა და მათთან ასოცირებული სახელმწიფოს პუერტო-რიკოს გარდა პირდაპირი მითითება პროვოკაციაზე, როგორც დაცვაზე, გვხვდება მხოლოდ ბუტანის (მუხლი 86) უახლეს სს კოდექსში.²

სამართლის ინგლისურ-ამერიკული სისტემის სხვა უახლეს სისხლის სამართლის კოდექსებში - ზიმბაბვეს სსკ-ში 260-ე მუხლში მოცემულია მითითება, რომ მახეში ჩათრევა არ ითვლება ბრალდებისაგან დაცვად, მაგრამ სასამართლოს შეუძლია განაჩინოს შემსუბუქება, თუ კი ჩათვლის, რომ პოლიციამ ან სხვა ორგანომ ან პირმა ასეთი ჩათრევისათვის გამოიყენეს არაწესიერი ან არასასურველი მეთოდები.³

კანადაში უზენაესმა სასამართლომ განავითარა ხაფანგში გაბმის საკუთარი დოქტრინა, ამ საკითხის ირგვლივ სამ თავის გადაწყვეტილებაში: *R. v Amato*, [1982] 2 S.C.R. 418; *R. v Mack*, [1982] 2 S.C.R. 903; *R. v Bornes* [1991] 1 S.C.R. 449. მაგრამ კანადაში ხაფანგში ჩათრევის ფაქტის დადგენას აქვს არა მატერიალურ-სამართლებრივი, რამედ პროცესუალური მნიშვნელობა, რამდენადაც დაცვად არ მიიღება, მაგრამ იწვევს საქმის სასამართლო წარმოების შეწყვეტას. პრაქტიკულად ეს პირის გამართლების ტოლფასია.⁴

ინგლისის სისხლის სამართალში პროვოკაცია დანაშაულის ჩასადენად არ ითვლება პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად დანაშაულის ჩადენის ბრალდებისას, მაგრამ მოსამართლეს ავალდებულებს შეწყვიტოს საქმის განხილვა პროცესის ბოროტად გამოყენების გამო ან გამომრიცხოს პროვოკაციის შედეგად მიღებული მტკიცებულებები.⁵

სპეციალური ნორმა პროვოკაციისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში არ არის. ამასთან ერთად პროვოკაციულ ქმედებას ხშირად აწყდება გერმანიის კრიმინალური პოლიცია, რომლის ამოცანაა არა გაფრთხილება, აღკვეთა ან დანაშაულის გახსნა, არამედ ეგრეთ წოდებულ დანაშაულებრივ სამყაროში ინტეგრირებაა. რეაგირება კი არა პრევენციაა, არ დაიცადონ მანამ სანამ მაგიდაზე დანაშაულის შესახებ ცნობები დაიდება, არამედ აქტიური ჩარევა მოხდეს განვითარებულ დანაშაულებრივ მოვლენებში, კონსპირაციულად ჩაებან სავარაუდო დამნაშავეების წრეში სათვალთვალოდ და თუ საჭიროა პროვოცირებაც განახორციელონ და ყველა შემთხვევაში მოახდინონ გადმობირება. პოლიციის უწყებრივი ნორმატიული აქტებით პროვოკაცია გულისხმობს „მისწრაფებას აიძულონ დანაშაულის მომზადების პროცესში მყოფი პირი, იმოქმედოს თავისთვის არახელსაყრელ პირობებში და ამ ხერხით გაადვილდეს სამართალდამრღვევის გამოვლინება და დაკავება“. ასეთი მოქმედებების ჩატარების საფუძვლები და პირობები ასევე რეგლამენტირებულია, ხსენებული სახის უწყებების ნორმატიული აქტებით. აკრძალულია პოლიციის თანამშრომლებმა აიძულონ აგენტ-პროვოკატორი თანამშრომლობაზე პერსონალური პასუხისმგებლობის დაყენების შიშით. მისი დასაშვებობის საკითხი თითოეულ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელმა პროკურორთან შეთანხმებით. გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად

¹<https://constitutions.ru/?p=8102>

² <https://wipolex.wipo.int/ru/text/244043>

³ Додонов В.Н. Сравнительное Уголовное право. Издательство «Юрлитинформ» М. 2009. С. 254

⁴ იქვე, გვ. 254

⁵ Бюллетень Европейского Суда по правам человека – 2005 - № 2



პროვოკაცია გულისხმობს, რომ აგენტმა რომელმაც ჩაიდინა პროვოკაციული ქმედება, როგორც წესი არ ექვემდებარება პასუხისმგებლობას, გამომდინარე იქიდან, რომ იგი მისწრაფვის არა დანაშაულის საბოლოო შედეგისაკენ, არამედ მისი მცდელობის სტადიაზე აღსაკვეთად, რათა აღკვეთილი იყოს უფრო სახიფათო შედეგები. პროვოკატორის პასუხისმგებლობაში მიცემა ან გათავისუფლება ხორციელდება სასამართლოს შეხედულებისამებრ. სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული პროვოკაცია განიხილება როგორც შემამსუბუქებელი გარემოება, ასეთი პროვოკაციის საფუძველზე პროვოცირებულის მიერ ჩადენილი დანაშაული ითვლება საშუალო სიმძიმის დანაშაულად, რადგან იგი ხორციელდება პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. ამასთანავე დასაშვებია ითვლება ისეთ მოქმედებები, რომლის მიზანია უკვე დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირების გამოაშკარავება. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ როდესაც არსებობს საფუძველი, რომ პირი პროვოკაციის გარეშე ჩაიდენს დანაშაულს „ასეთ შემთხვევაში პროვოკაციის მიზანია დანაშაულებრივი ქმედების ისეთ კალაპოტში მიმართვა, რომელიც გაადვილებს მტკიცებულებების მოპოვებას“. პროვოცირებულს მხოლოდ იმ შემთხვევაში არ დააკისრებენ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ აგენტ-პროვოკატორი „არაერთი განმეორებითი, ხანგრძლივი ინტენსიური დარწმუნებით იმდენად ძლიერ გავლენას მოახდენს პროვოცირებულზე, რომ აგენტის ამ პროვოკაციული ქცევის ფონზე, პროვოცირებულის ქმედებას უკანა პლანზე გადაწევს“. სასამართლო განხილვაზე ასეთი პროვოკაციის ზემოქმედების დამტკიცება არც ისე ადვილია, რადგანაც არ არის და არც შეიძლება იყოს კონკრეტული კრიტერიუმები ასეთი ხარისხის ზემოქმედების განსასაზღვრელად. სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიერ პროვოკაციული ქმედების დაურეგულირებლობამ, როგორც სამართალდამცავი, ასევე კერძო პირების მხრიდან, გამოიწვია არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი სასამართლო პრაქტიკის გაჩენა ამ საკითხის მიმართ. ასევე გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო გამონაკლის შემთხვევებში „პიროვნების ღირსებისა და კანონის უზენაესობის გათვალისწინებით“, შესაძლებლად თვლის პროვოკაციაზე წამოგებული პირის მიმართ სასამართლო განხილვის შეწყვეტას. ბოლო პერიოდში გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლო ანვითარებს მოსაზრებას, რომ ასეთი პროვოკაცია თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განიხილებოდეს მხოლოდ სერიოზულ საფუძველად, სასჯელის ზომის განსასაზღვრისას.¹

ესპანეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობით, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის განზრახვის გაღვივება ხალხის დიდი მასის წინაშე ან პრესის, რადიოს ან ინფორმაციის გავრცელების სხვა მსგავსი საშუალებით არის პროვოკაცია. გარდა ამისა, პროვოკატორს დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა წაქეზებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროვოცირებული პირი ამ პროვოკაციის შედეგად ჩაიდენს დანაშაულს (ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლი). ამრიგად, პროვოკაციის არსი ესპანურ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არის დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ღია წაქეზება.²

დანაშაულის ან გადაცდომის თანამონაწილეა ის, ვინც შეგნებულად, ხელშეწყობით, ხელს უწყობს მის მომზადებას ან შესრულებას. ნებისმიერი პირი, რომელიც საჩუქრის, დაპირების, მუქარის, ბრძანების ან უფლებამოსილების ან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების

¹ Авуниц А.Р. УГОЛОВНО-ПРАВОВОЕ ЗНАЧЕНИЕ ПРОВОКАЦИИ ПРЕСТУПЛЕНИЯ В ПРАВЕ ЗАРУБЕЖНЫХ СТРАН. <https://cyberleninka.ru/article/n/ugolovno-pravovoe-znachenie-provokatsii-prestupleniya-v-prave-zarubezhnyh-stran/viewer>

² ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 18



გზით, პროვოცირებას ახდენს დანაშაულის ჩადენაზე ან მის ჩადენის მითითებაზე, ასევე თანამონაწილეა. (121-7 მუხლის მე-2 პუნქტი).¹ თუმცა, იმისთვის, რომ პროვოკაცია წაქეზებად დაკვალიფიცირდეს, საფრანგეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობა მოითხოვს გარკვეული პირობების დაცვას. ასეთი პირობები, ზემოაღნიშნული მუხლის მიხედვით, არის დანაშაულის ჩადენისთვის გათვალისწინებული კანონით დადგენილი მეთოდები და ობიექტები. მოძალადის მიმართ უშუალოდ ჩადენილი ქმედება, ისევე როგორც ამ უკანასკნელში დანაშაულის ჩადენის სურვილის გავლევება და შემდგომში კონკრეტული დანაშაულის ჩადენა, პროვოკაციის წაქეზების კლასიფიკაციის მთავარი ფაქტორია. ამრიგად, საფრანგეთის სისხლის სამართალში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დიფერენციაცია ხორციელდება როგორც პროვოკაციული საქმიანობის შედეგების მიღწევების, ისე პროვოკაციის დასრულების ეტაპის გათვალისწინებით.

ლიტვაშიც პროვოკაციის სისხლისსამართლებრივი საკითხი ასევე, გახდა განხილვის საგანი კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით. 2000 წლის 1 მაისის დადგენილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ გააკეთა იმის კონსტატირება, რომ არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი რეგულირება, რომელიც დანაშაულებრივი საქმიანობის იმიტირებას ახდენს, და რომელიც შეუწარმობდა სახელმწიფოს სპეციალურ სამსახურებს წაქეზების, დანაშაულის ჩასადენად პიროვნების პროვოცირების შესაძლებლობას და, ამგვარად, შექმნიდა მისი დასჯის საფუძველს. დანაშაულის პროვოცირება და აღნიშნული მოდელის სხვა ბოროტად გამოყენება, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, აქცევენ მას არაკონსტიტუციურად, ხოლო მისი გამოყენების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, არ ითვლება სისხლის სამართლის პროცესუალური მნიშვნელობის მტკიცებულებად. სასამართლოებმა ყოველ სისხლის სამართლის საქმეში, რომელშიც აღნიშნული მეთოდი გამოიყენება, უნდა დაადგინონ, ხომ არ იყო პროვოკაცია, დანაშაულის ჩადენის წაქეზება.²

ყაზახეთის რესპუბლიკა ადგენს პასუხისმგებლობას ქრთამის ან კომერციული მოსყიდვის პროვოცირებისთვის³. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ყაზახეთის რესპუბლიკის წინა სისხლის სამართლის კანონში დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა ზოგადი წესი დანაშაულის პროვოცირების შესახებ. თუმცა, ამჟამად ყაზახეთის კანონმდებელმა უარი თქვა ნებისმიერი დანაშაულის პროვოცირების კრიმინალიზაციაზე, რუსეთის სისხლის სამართლის მსგავსად, და შეინარჩუნა მხოლოდ კომერციული მოსყიდვის ან მოსყიდვის პროვოცირება.

ბელორუსის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 396-ი შეიცავს აკრძალვას „ქრთამის გაყალბების, უკანონო ჯილდოს ან კომერციული მოსყიდვის შესახებ“. ბელორუსის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი⁴ განსაზღვრავს „ინსცენირებას“, როგორც „გადაცემას თანამდებობის პირზე, სახელმწიფო ორგანოს ან სხვა სახელმწიფო ორგანიზაციის თანამშრომელზე, რომელიც არ არის თანამდებობის პირი, ან ინდივიდუალური მეწარმის ან იურიდიული პირის თანამშრომელი ფულის, ფასიანი ქაღალდების სხვა ქონება ან

¹ საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 121-7

² <http://www.concourt.am/old/Conferences/2002/articles/Prapiestis/htm>.

³ Аюсинов А. Е. Особенности регламентации уголовной ответственности за провокацию преступления по зарубежному законодательству // Вестник Саратовской государственной юридической академии. — 2015. — № 6 (107). გვ. 148-153.

⁴ <https://xn---ctbcgfviccvibf9bq8k.xn--90ais/statya-396>



ქონებრივი ხასიათის მომსახურების გაწევა დანაშაულის ან შანტაჟის მტკიცებულებების ხელოვნურად შექმნის მიზნით.“

ბელორუსიის მსგავსად, უკრაინის სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დაკონკრეტებულია პროფოკაციის მიზანი - 1. ქრთამის პროვოცირება, ანუ თანამდებობის პირის მიერ გარემოებებისა და პირობების განზრახ შექმნა. ქრთამის შეთავაზების ან მიღების გამოწვევა, რათა შემდგომში გამომჟღავნდეს ის, ვინც მისცაან ქრთამი მიიღო.

2. სამართალდამცავი ორგანოს თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი იგივე ქმედება.¹

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსი პასუხისმგებლობას ადგენს ქრთამის პროვოცირებისათვის, კომერციული მექრთამეობისათვის, აგრეთვე ქრთამის აღებისათვის საქონლის შესყიდვის სფეროში, სამუშაოების გაწევისათვის, სერვისების უზრუნველსაყოფად საჯარო ან მუნიციპალური საჭიროებებისას (რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 304-ე მუხლი). ქმედების დისპოზიციის მიხედვით რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 304-ე მუხლით, პროვოკაციის მცდელობა არის ზემოაღნიშნულ თანამდებობის პირზე, უცხოელ თანამდებობის პირიზე, საჯარო საერთაშორისო ორგანიზაციის თანამდებობის პირზე, მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელ პირზე, ფულის, ფასიანი ქაღალდების, საკუთრების გადაცემა ან მომსახურების გაწევა.²

საერთოდ, ევროპის ქვეყნების ყველა დონის სასამართლოები დიდი ხნის განმავლობაში მოთმინებით ექცეოდნენ პოლიციელების პროვოკაციას როგორც, მტკიცებულებების მიღების მეთოდს.

მდგომარეობა შეიცვალა პრენცენდენტების გამოჩენასთან ერთად ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში, რომელმაც აღიარა პროვოკაციის გამოყენების მეთოდები სამართლიანი სასამართლო გარჩევის უფლებების დარღვევად.

2005 წლის 15 დეკემბერს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს დადგენილებით, რომელიც გამოტანილ იქნა რუსეთის ფედერაციისადმი გ.ი.ვანიანის საჩივრის შედეგად, დადგენილ იქნა ადამიანის უფლებათა და ძირითადი თვისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა ვანიანის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემითა და შემდგომში მისი გასამართლებით დანაშაულის პროვოკაციის შედეგად, რაც ჩაიდინეს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელმა. აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვას მესამე პირის გამოყენებით. ამასთან ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს დადგენილება უკვე მიუთითებდა პროვოკაციის გამოყენების დაუშვებლობაზე პოლიციის მხრიდან სასამართლოში მტკიცებულებად გამოყენებისათვის პორტუგალიის, შვეიცარიისა და დიდი ბრიტანეთის საქმეებზე.

კვლევის შედეგი

მდიდარი საერთაშორისო იურისპრუდენციის გათვალისწინებით, ევროსასამართლომ შეიმუშავა დანაშაულის პროვოცირების იდეა, რომელიც ეფუძნება ძირითად მახასიათებლებს,

¹ უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 370

² А. С. Титова, Провокация преступления в уголовном праве, исторический анализ и зарубежный опыт. <https://cyberleninka.ru/article/n/provokatsiya-prestupleniya-v-ugolovnom-prave-istoricheskii-analiz-i-zarubezhnyy-opyt>



რაც შესაძლებელს ხდის სამართალდამცავების ოპერატიული საქმიანობის გამოყოფას პროვოკაციული ქმედებებისგან. ამრიგად, საერთაშორისო სასამართლო ორგანოს მიერ დადგენილ მხედველობაში მიიღება ორი კრიტერიუმი, არსებითი და პროცედურული. არსებითი კრიტერიუმის მიხედვით, განსხვავება პროვოკაციულ ქმედებებსა და დასაშვებ ოპერატიულ ზომებს შორის გულისხმობს სასამართლო გადაწყვეტილებას აღნიშნული დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის შესახებ ხელისუფლების ორგანოების ჩარევის გარეშე.¹

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობას, ჩვენი კანონმდებლობით დანაშაულის პროვოკაცია 145-ე მუხლითაა გათვალისწინებული. 145-ე მუხლის დისპოზიცია, ზოგიერთი ზემოთ ხსენებული ქვეყნებისაგან განსხვავებით არ ავიწროვებს პირთა წრეს ვისაც შეუძლია ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, რაც დადებითად უნდა ჩაითვალოს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს წილად დანაშაულის ამსრულებლები შეიძლება იყვნენ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, მათი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული სხვა ნებისმიერმა პირმაც ჩაიდინოს იგივე ქმედება. ასევე, სწორად არ მიმაჩნია შეხედულება, მაგალითად, ბელორუსიის ან უკრაინის კანონმდებლობა, სადაც დაკონკრეტებულია მიზანი მექრთამეობა და ა.შ., რადგან ამ მხრივაც ვიწროვდება პროვოკაციის მსხვერპლთა წრე.

ასევე, დიდ დისკუსიას იწვევს ქართველ მეცნიერთა შორის პროვოკატორის დასჯადობის საკითხი, დაისაჯოს იგი მხოლოდ პროვოკაციისათვის თუ იმ დანაშაულის წამქეზებლობისთვისაც რომლის პროვოცირებაც მოახდინა. მართალია პროვოკატორის მიზანი ქართული კანონმდებლობით გულისხმობს პროვოკაციის მოწყობას სხვისი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მისაცემათ (მომზადების ან მცდელობის სტადიაზე. მომზადების სტადიაზე გათვალისწინებული უნდა იქნეს სსკ-ის მე -18 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის კატეგორიები) და მისი განზრახვით საერთოდ არ არის მოცული პროვოცირებულის მიერ შედეგის დაყენება, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ პროვოცირებულმა სანამ მას დააკავებენ მოასწროს დანაშაულის ჩადენა. მე ვეთანხმები იმ მეცნიერებს, რომლებიც თვლიან, რომ პროვოკატორი მხოლოდ პროვოკაციისათვის უნდა დაისაჯოს და არა ვთქვათ დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგისათვის, რომელიც შეიძლება დააყენოს პროვოცირებულმა.

დასკვნა

პროვოკატორის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სსკ 145-ე მუხლით და არა იმ დანაშაულში თანამონაწილეობით რომლის ჩადენაშიც მან დაიყოლია პირი, რადგანაც, როგორც მართებულადაა აღნიშნული იურიდიულ ლტერატურაში, წამქეზებელი (პროვოკატორი) და პროვოცირებული (წაქეზებული) სხვადასხვა უმართლობას ახორციელებენ. მაგალითად, როცა პროვოკატორი ვინმეს აქეზებს ქურდობისათვის, პროვოკატორის ქმედება ხელყოფს პროვოცირებულის პიროვნებას, სურს იგი ციხესი ჩააგდოს, ხოლო პროვოცირებული ხელყოფს სხვის საკუთრებას.²

¹ Бюллетень Европейского Суда по правам человека. 2011. № 4. Спец. выпуск: Российская хроника Европейского Суда. გვ. 82-96.

² ო.გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, გვ. 196



პროვოკატორს კი არ სურს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა (არ სურს მესამე პირის სამართლებრივი სიკეთის დაზიანება), მას სურს, რომ ამსრულებელი ამხილონ დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზე და მისცენ ის პასუხისგებაში. დანაშაულის პროვოკატორი იმიტომ დაიყოლიებს სხვას დანაშაულის ჩასადენად, რომ შემდგომში იგი მიაცემინოს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. მისი მიზანი არაა მესამე პირის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. ამდენად, პროვოკატორისათვის სხვა პირის მიერ დანაშაულის ჩადენა მისთვის სასურველი მიზნის (ამ პირის სისხლისსამართლებრივ პასუხიმგებლობაში მიცემის) მიღწევის საშუალებაა.¹

რაც შეეხება ნაკლოვანებას, სსკ-ს 145-ე მუხლს გააჩნია ის ნაკლი, რომ პროვოკატორმა პირი შეიძლება ქურდობაზე წააქეზოს და შეიძლება მკვლელობაზე, სასჯელი კი ერთია ორივე შემთხვევაში - ისჯება შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.² კარგი იქნებოდა კანონმდებელს გამოეყო დანაშაულის კატეგორიები როგორც ეს სსკ-ის 370-ე მუხლში (ცრუ დასმენა) გააკეთა და სასჯელის შეფარდებისას განესხვავება გაეკეთებინა, გამოეყო ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის სასჯელი და ცალკე სასჯელი დაედგინა (უფრო მკაცრი) მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოცირებისათვის. რაც უფრო სამართლიანი იქნებოდა, რადგან შედეგი თუ ვერ იქნა აცილებული, პროვოკატორის ქმედება უფრო მკაცრად შეფასდეს.

რაც შეეხება პროვოცირებულს, იგი პასუხს აგებს ჩედენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. სასამართლომ შეიძლება იმსჯელოს სასჯელის შემსუბუქებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე ო., 2005. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ.;
2. ლეკვეიშვილი მ., და სხვ. 2014. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ.;
3. Додонов В.Н. 2009. Сравнительное Уголовное право. Издательство «Юрлитинформ» М., стр. 254;
4. Бюллетень Европейского Суда по правам человека . 2005 - № 2;
5. Авунц А.Р. УГОЛОВНО-ПРАВОВОЕ ЗНАЧЕНИЕ ПРОВОКАЦИИ ПРЕСТУПЛЕНИЯ В ПРАВЕ ЗАРУБЕЖНЫХ СТРАН; <https://cyberleninka.ru> [გადამოწმებულია 14.11.2022]
6. Аюсинов А. Е. 2012. Особенности регламентации уголовной ответственности за провокацию преступления по зарубежному законодательству // Вестник Саратовской государственной юридической академии. № 6 (107);
7. Титова А. С., Провокация преступления в уголовном праве, исторический анализ и зарубежный опыт; <https://aprp.msal.ru/jour/article/view/2507/1767> [გადამოწმებულია 14.11.2022]
8. Бюллетень Европейского Суда по правам человека. Спец. выпуск : Российская хроника Европейского Суда. 2011. № 4;

¹ ლეკვეიშვილი მ., და სხვ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, თბ., 2014, გვ. 293

² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999, მუხლი 145



საკანონმდებლო აქტები

9. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999;
10. ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსი; 2016;
11. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი; 2019;
12. უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსი; 2001;

ვებ გვერდები

13. <https://constitutions.ru/?p=5849> [გადამოწმებულია 14.11.2022]
14. <https://constitutions.ru/?p=8102> [გადამოწმებულია 14.11.2022]
15. <https://wipolex.wipo.int/ru/text/244043> [გადამოწმებულია 14.11.2022]
16. <https://xn----ctbcgfvicvibf9bq8k.xn--90ais/statya-396> [გადამოწმებულია 14.11.2022]
<http://www.concourt.am/old/Conferences/2002/articles/Prapiestis/htm>. [გადამოწმებულია 14.11.2022]

საზოგადოებრივი დოვლათის განაწილების ეფექტიანობისა და
სამართლიანობის პრობლემები საქართველოში

დავით ვეკუა

ეკონომიკის დოქტორი

ასოცირებული პროფესორი

გურამ თავართქილაძის სახელობის

თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

თბილისი, სამღერეთის N5

+995599420655

david. vekua@yahoo.com

აბსტრაქტი

სამართლიანობა ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებით განხორციელების და სოციალური სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ის ადამიანთა ეკონომიკური საქმიანობისთვის დამახასიათებელი ფენონენია და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტი.

გლობალიზაციამ და ლიბერალურმა დემოკრატიამ მსოფლიო ეკონომიკას განვითარებას ბევრი შესაძლებლობა მისცა, თუმცა ბიზნესურთიერთობებსა და რესურსების სამართლიანი განაწილების პროცესში წარმოაჩინდა საკითხთა მთელი სპექტრი, რომელთა მოგვარების გარეშე, დღეს არსებული მწვავე ქონებრივი უთანასწორობის პრობლემა ვერ აღმოიფხვრება.

რეფორმებმა და ეკონომიკურმა ტრანსფორმაციის ხანგრძლივმა და რთულმა პროცესმა საქართველო წარმატებებთან ერთად, მრავალი სირთულისა და გამოწვევების წინაშე დააყენა. ერთ-ერთი ასეთი გამოწვევა საზოგადოებრივი დოვლათის არარაციონალური განაწილება და საზოგადოებაში ქონებრივი პოლარიზაციის ზრდის არასასურველი ტენდენციაა.

უსამართლობის და უპერსპექტივოს განცდა ზრდის ქვეყნიდან ახალგაზრდების მიგრაციას. მნიშვნელოვნად იცვლება დემოგრაფიული მდგომარეობა და მომავალში სამუშაო ძალაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

საქართველოში საზოგადოებრივი დოვლათის განაწილების პროცესში ეფექტიანობის და სამართლიანობის დამკვიდრებისათვის, საჭიროა ჩამოყალიბდეს ახალი სოციალური მოთხოვნები და პრიორიტეტები. ამ მიზნით უაღრესად მნიშვნელოვანია დაჩქარდეს ეკონომიკის ინკლუზიური განვითარების პროცესი და იგი წარიმართოს ფართო საზოგადოების მეტი ინფორმირებულობის და ჩართულობის პირობებში.



სტატიაში განხილულია საქართველოს ეკონომიკაში არსებული უსამართლობის აღმოფხვრის ზოგიერთი აქტუალური საკითხი, რომელთა მოგვარებამაც მომავალში უფრო დინამიური უნდა გახდოს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესი.

საკვანძო სიტყვები: სამართლიანობა, ეკონომიკური პოლიტიკა, ინკლუზიური ეკონომიკა, სიღარიბის ზღვარი, მცირე ბიზნესი

EFFICIENCY OF DISTRIBUTION OF PUBLIC FUNDS AND JUSTICE PROBLEMS IN GEORGIA

David Vekua

Doctor of Economics

Associate Professor

Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University

Tbilisi, Samgereti N5

+995599.42 06 55

david.vekua@yahoo.com

Abstract

Justice is the most important prerequisite for the successful implementation of economic policy and social stability. It is a phenomenon characteristic of people's economic activity, and the fair distribution of financial, material and human resources is becoming more and more important for the formation and development of civil society.

Globalization and liberal democracy allowed the development of the world economy to realize many opportunities, however, in the process of fair distribution of business relations and resources, a whole spectrum of problems appeared, without solving which the problem of acute property inequality still exists today.

The reforms and the long and difficult process of economic transformation have put Georgia in front of many difficulties and challenges along with the successes. One of these challenges is the non-rational distribution of public wealth and the unwanted trend of increasing property polarization in society.

In order to realize the requirements of social justice, it is necessary to form new emphases of market relations and modern priorities for their implementation.

In order to establish social justice, it is extremely important, like the process of inclusive development of the economy in the leading European countries, to speed it up in Georgia as well and to proceed with greater awareness and involvement of the general public.



Due to the feeling of injustice and hopelessness, one of the most acute problems we face in Georgia today is the migration of young people. their outflow from the country. Migration significantly changes the demographic situation and the ability to meet the demand for labor in the future.

The article also discusses current issues of socialization of the Georgian economy and prospects and possibilities of establishing balance and justice in the market.

Keywords: justice, economic policy, inclusive economy, poverty line, small business

შესავალი

სამართლიანობა ადამიანის უფლებების განუყოფელ ნაწილია, რომელიც ისტორიული პროცესების განვითარების შედეგად მუდმივად განიცდის ცვლილებებს და ტრანსფორმაციას. სამართლიანობა ასევე, ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებით განხორციელების და სოციალური სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ის ადამიანთა ეკონომიკური საქმიანობისთვის დამახასიათებელი ფენონენია და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტი .

უთანასწორობის პრობლემა ყოველთვის იყო ფილოსოფოსების, ეკონომისტების, სოციოლოგებისა და პოლიტიკოსების განსჯის საგანი, თუმცა ის განსაკუთრებით აქტუალური გახდა დღეს ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის ეპოქაში. გლობალიზაციის პირობებში საზოგადოების ქონებრივმა პოლარიზაციამ კატასტროფიული დონეს მიაღწია. ცნობილი ფრანგი ეკონომისტი თომას პიკეტი, რომელიც სიღრმისეულად იკვლევს აღნიშნულ პრობლემას თავის ცნობილ ნაშრომში „ეკონომიკური უთანასწორობა XXI საუკუნის უმთავრესი პრობლემა“. მივიდა დასკვნამდე, რომ „ბოლო ათწლეულში უთანასწორობა მხოლოდ იზრდება დათუ გადავხედავთ აშშ-ის ეკონომიკის საერთო ზრდას მსოფლიო კრიზისამდე 30 წლის განმავლობაში, 1977-2007 წლების პერიოდში, შევამჩნევთ, რომ ყველაზე მდიდარი მოსახლეობის 1%-ზე მოდიოდა მთლიანი ეროვნული შემოსავლის ნამატის 60%“.¹

ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, იტალიაში, კონსერვატორ პოლიტიკოსებსა და ლიბერალებს შორის დისკუსიების თემები, დღეს სწორედ ქონებრივი პოლარიზაციის და ეკონომიკაში რესურსების სამართლიანი განაწილების პრობლემებთან არის დაკავშირებული.

ლიბერალური დემოკრატიის აპოლოგეტები მიიჩნევენ რომ, ბიზნესში უთანასწორობის აღმოფხვრა უტოპიაა, რადგან მათი აზრით: „განვითარებისა და მოქმედების მოტივაცია არის: პირადი კეთილდღეობა, შემოსავლების ზრდა, გარე მასშტაბებში ადგილის დამკვიდრება. ერთის მხრივ, ასეთ მსოფლიოში ცხოვრება ადვილია: იფიქრე საკუთარ თავზე და იზრუნე პირად კეთილდღეობაზე, ნუ შეგაწუხებს, „ მსოფლიო სევდის“ რომანტიზმი და თავისუფლებისა და სამართლიანობის ზნეობრივი იმპერატივები. მეორეს მხრივ, ასეთ მსოფლიოში ცხოვრება ძალიან ძნელია, რადგან შენი მსგავსი, რომელთა მისწრაფებები შენსას არ ჩამოუვარდება, 6,6 მილიარდი ადამიანია“².

¹ Politikano.blog (2018) 07/22/ტომას პიკეტი- ეკონომიკური უთანასწორობა - XXI საუკუნის უმთავრესი პრობლემა

² დავით იაკობიძე „ გლობალური დინამიზმის ქართული სინამდვილე.“ თბილისი 2011წ გვ 263.



ნებისმიერი სახელმწიფო ეკონომიკური სისტემის მოწყობის პროცესში დგას არჩევნის წინაშე, რას მიეცეს უპირატესობა სოციალურ იმპერატივებს თუ საჯარო ხარჯების მინიმიზაციას. არჩევანი უნდა იყოს მკაფიო საბაზრო ეკონომიკის რა გზას ვირჩევთ სოციალურ სამართლიანობის თუ ეკონომიკურ ეფექტიანობის.

ნობელის პრემიის ლაურიატი, ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი, ანრი ბერგსონი წერს „ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ საზოგადოების მხოლოდ ტექნოლოგიური განვითარება ვერ უზრუნველყოფს მის ზნეობრივ სრულყოფას, უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში დოვლათის ზრდა შეიძლება საშიშიც კი აღმოჩნდეს, თუ ის არ დაეფუძნება განაწილების სფეროში სამართლიანობას“¹.

დღეს უკვე თითქმის ყველა დიდ საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმებზე მათ შორის შვეიცარიაში დავოსის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე სულ უფრო ცხადად გამოითქმება მოსაზრება, რომ ლიბერალური ეკონომიკის დღევანდელმა მოდელმა ვერ უზრუნველყო ეკონომიკაში სამართლიანობის დამკვიდრება, რის გამოც სიღარიბის ზრდის ტენდენციის პირობებში, დიდი კორპორაციების ხელში აღმოჩნდა უზარმაზარი ფინანსური, მატერიალური და ადამიანური აქტივები.

დაოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამაარსებლის და დირექტორის, კლაუს შვაბის აზრით „თანამედროვე კაპიტალიზმის რამდენიმე ფუძემდებლური პრინციპი გადახედვას საჭიროებს, პირველ რიგში ეს ნეოლიბერალური იდეოლოგიაა. ცალსახაა, რომ წარსულში მიღწეული ყველა წარმატების საწინდარი სამეწარმეო სული და რისკზე წასვლის უნარი იყო. თუმცა, თავად ცნება „კაპიტალის“ დღეს არსებული აღქმა უნდა შეიცვალოს, თანამედროვე მომხმარებლებს არა მხოლოდ მეტი საქონლის და მომსახურების ნაკლებ ფასში მიღება სურთ, არამედ ელიან კორპორაციების მხრიდან მეტ სოციალურ პასუხისმგებლობას. გადატვირთვამ ხმის უფლება ყველას უნდა მისცეს, ვინც დღეს უკანა რიგებშია. დღეს არსებული სისტემის საყრდენების ნაწილი უნდა შეიცვალოს, ნაწილი - შესწორდეს. სწორედ ესაა საჭირო საყოველთაო პროგრესისთვის“.²

ძირითადი ნაწილი

საქართველო ისტორიული გარდაქმნების რთულ და სირთულეებით სავსე ეტაპს გადის, რომელმაც გლობალური ცვლილებების ფონზე თავის თავზე იწვნია ამ ცვლილებების შედეგები და მნიშვნელობნად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის წარმოდგენები სამართლიანობაზე და მათი თანაცხოვების პირობებზე.

სამწუხაროა, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ჩვენს ეკონომიკურ მეცნიერებაში და ექსპერტთა წრეებში ნაკლები ყურადღება ექცევა ეკონომიკური რეფორმების ეფექტიანობის ანალიზს, არ ხდება რეფორმების შედეგების კორელაციულია სოციალურ ინდიკატორებთან, რის გამოც მთავრობა მოკლებულია საზოგადოებრივი დოვლათის განაწილების პროცესზე სიღრმისეული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას და მსოფლიოში არსებული ახალი გამოწვევების შესაბამისად ვერ ხერხდება ჩვენთან დომინირებული ლიბერალური ბაზრის პარადიგმის კორექტირება.

¹ Мусский И. А. Сто великих мыслителей. Москва. „ВЕЧЕ“, 2000, стр. 326

² Schwab K., Zahidi S. (2018) *10 Things You - and Your Government - Should Know about Competitiveness in the Fourth Industrial Revolution*, [Online] 16 October



ნობელის პრემიის ლაურიატის მ. ალეს აზრით: „შემოსავლების განაწილებამ უნდა უზრუნველყოს, როგორც ეკონომიკური ეფექტიანობის სტიმულირება, ასევე საზოგადოებაში სოციალური თანხმობა. ამ შუალედის პოვნა არსებითად არის სოციალური კომპრომისი.“¹

ამავე დროს გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სამართლიანობის იმპერატივების დამკვიდრებამ საქართველოში ხელი არ უნდა შეუშალოს თავისუფალი ბაზრის ფუნდამენტალური უპირატესობების რეალიზაციას, კერძოდ არ უნდა შეიზღუდოს კონკურენცია და შეჯიბრებეობა, უნდა გაგრძელდეს სახელმწიფო რეგულაციის მექანიზმების მინიმზაცია და საინვესტიციო გარემოს ლიბერალიზაცია, იყოს შესაძლებელი შრომითი რესურსებზე მარტივი წვდომა, და სხვა.

საზოგადოებრივი დოვლათის განაწილების და უსამართლობის პრობლემები ყველაზე უფრო ცხადად ასახება მოსახლეობის ცხოვრების დონესა და დასაქმებაში. უკვე კარგა ხანია საქართველის ეკონომიკის „აქილევსის ქუსლი“ არის სიღარიბე და უმუშევრობა. ამაზე მეტყველებს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. 2021წელს ქვეყანაში სიღარიბის აბსოლუტური ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ხვედრითმა წილმა მთელს მოსახლეობასთან მიმართებაში შეადგინა -17,5%, ხოლო ამავე პერიოდში უმუშევრობის დონემ ასევე მთელს მოსახლეობასთან მიმართებაში შეადგინა - 20,6%.² ასეთი მაღალი ინდიკატორების არსებობის პირობებში ყველა განხორციელებული რეფორმა საზოგადოებისთვის ვერ ხდება ვალიდური.

უსამართლობის და უპერსპექტივოს განცდა ზრდის ქვეყნიდან ახალგაზრდების მიგრაციას. მნიშვნელოვნად იცვლება დემოგრაფიულ მდგომარეობა და მომავალში სამუშაო ძალაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

საქართველოში პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების შედეგების დამახასიათებელი თავისებურება არის ის, რომ ჩვენ მივიღეთ ერთი მხრივ საზოგადოება რომელსაც აქვს დემოკრატიული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელის სამოქალაქო უფლებები და მეორეს მხრივ საზოგადოება არათანაბარი ეკონომიკური შესაძლებლობებით. არსებობს ბევრი წინაპირობა რომლებმაც დღევანდელ საქართველოს სინამდვილეში განსაზღვრა თვითოეული ინდივიდის ქონებრივი მდგომარეობა და მათი სამეწარმეო შესაძლებლობები: ეს იყო მასიური პრივატიზაციის პროცესში მაქალაქეთა არასაკმარისი ჩართულობა და ინფორმირებულობა, არასათანადო წვდომა რესურსებზე და სუსტი ფინანსური შესაძლებლობები, საბაზრო მექანიზმებისა და თანამედროვე კორპორაციული მენეჯმენტის ცოდნის დეფიციტი და გამოუცდელობა, სახელმწიფო აპარატში კორუფციის მაღალი დონე, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები და სხვა.

დღესაც საქართველოში ბაზრის მონაწილეთა შანსები უთანაბროა, ხოლო თვითონ ბაზარი ექსპლექტიკური და უსამართლო. შანსების უთანაბრობა პირველ რიგში ბაზრის მონაწილეთა ქონებრივი და ფინანსური აქტივების რაოდენობითა და ხარისხით არის განპირობებული. ფინანსურად ძლიერ მონაწილეებს მეტი შანსები აქვთ ფასებით მანიპულირების და რეგულირების, წარმატებული რეკლამისა და პიარის, მენეჯმენტის და მარკეტინგის სრულყოფის, კონკურენტების ბაზრიდან განდევნის და სხვა.

¹ Экономическая политика государства Социальная справедливость и экономическая эффективность: исследование взаимосвязи https://referatwork.ru/economicheskaya_politika_gosudarstva/section-10.html

² www.geostat.ge



რაც შეეხება უსამართლობას ბაზრის რეგულაციებში, ის შეიძლება გამოვლინდეს ბიზნესს საქმიანობის ბევრ ასპექტში, მაგალითად: „უსამართლო იყოს ბიზნესს სუბიექტების საქმიანობის პირობები, საინვესტიციო გარემო, ეკოლოგიური პირობები, დაბეგვრის რეჟიმები, საზოგადოებრივი დოვლათის განაწილების და გადანაწილების მექანიზმები, დაუსაბუთებელი შეღავათები და სხვა.

ბაზარზე წონასწორობის დამყარებას და სამართლიანობის აღდგენას ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი არის სახელმწიფო, რომელმაც უნდა მიიღოს და დაიცვას ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, შემოიღოს დაბეგვრის სამართლიანი სისტემა, განახორციელოს(თუ არის ამის აუცილებლობა) გონივრული პროტექციონისტული პოლიტიკა¹.

რეზიუმე

კაცობრიობა შედის განვითარების სოციალური სოლიდარობის ფაზაში. ხდება ეკონომიკის სოციალიზაცია. ბიზნესისთვის თუ აქამდე მხოლოდ კარგ ტონად ითვლებოდა სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება, დღეს უკვე გარკვეულ ვალდებულებად ყალიბდება. ამასთანავე პირდაპირი დახმარების ფორმას ემატება არაპირდაპირი, როცა მხარდაჭერა გამოიხატება იმ შესაძლებლობის მიცემაში, რომ სოციალურად დაუცველმა ჯგუფებმა თუ ცალკეულმა პირებმა თავისი შრომით შესძლონ თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების მიზნით უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოში, ევროპის წამყვან ქვეყნების მსგავსად დაჩქარდეს ეკონომიკის ინქლუზიური განვითარების პროცესი და იგი წარიმართოს ფართო საზოგადოების მეტი ინფორმირებულობის და ჩართულობის პირობებში.

რესურსების სამართლიანი და რაც უფრო მნიშვნელოვანია მისი ეფექტური მართვა ინქლუზიური ეკონომიკის აუცილებელი მოთხოვნაა, რადგან ის პირველ რიგში ეფექტურ სახელმწიფო მართველობასთან არის დაკავშირებული. ინქლუზიური ეკონომიკის პირობებში ეფექტური საჯარო მენეჯმენტი იძლევა საშუალებას გავზარდოთ რესურსების მიწოდების სამართლიანობის ხარარისხი, მობილობის დონე და მათზე მოთხოვნილობის დაბალანსების შესაძლებლობა.

ერთერთი მთავარი მექანიზმი რომლითაც ქვეყანაში უნდა განხორციელდეს სამართლიანად ფინანსური რესურსების განაწილება და გადანაწილება არის დაბეგვრის სისტემის ეფექტიანობა. სამართლიანმა დაბეგვრის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ბიზნესში სამართლიანი ურთიერთობის „წესები“ და ასევე წაახალისოს მცირე ბიზნესის განვითარება, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია დასაქმების პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის.

ვფიქრობთ დადგა დრო განვახორციელოდ საქართველოში საგადასახადი სისტემაში ფუნდამენტალური რეფორმა, რაც გულისხმობს პროპორციული დაბეგვრის სისტემიდან, რომელიც დღეს მოქმედებს საქართველოში გადავიდეთ ევროპულ სისტემაზე რაც გულისხმობს პროგრესული გადასახადების სისტემის შემოღებას. ასეთ პირობებში სახელმწიფო იმ გადასახადის გადამხდელებს რომლებსაც მაღალი შემოსავლები აქვთ დაბეგრავს მცირე

¹ ი. გაბისონია, ა. ტალიაშვილი, ს. ხიზანიშვილი, სოციალური სამართლიანობა და საბაზრო ეკონომიკა, თბილისი 2021, გვ. 139.



შემოსავლიან გადსახადის გადამხდელებთან შედარებით უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით, რაც მოგვცემს შესაძლებლობას ნაწილობრივ შავამსუბუქოთ ქონებრივი უთანასწორობის ზრის არსებული ტენდენცია.

ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელმაც უნდა გადაჭრას დასაქმების და სიღარიბის დაძლევის პრობლემა ქვეყანაში არის მცირე და საშუალო ბიზნესის გამვითარება. 2021წლის პირველი კვრტლის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოში მთლიანი ბრუნვის 65,3 % მოდის მსხვილ ბიზნესზე,- 16,9% , საშუალოზე და მხოლოდ 18,4 % მცირეზე.ეს ნიშნავს იმას რომ მცირე ბიზნესი ჯერ კიდევ ვერ გახდა ეკონომიკის ის სეგმენტი, რომელმაც უნდა არსებითი პოზიტიური გავლენა მოახდინოს სიღარიბის დაძლევაზე. 2021წლის პირველი კვრტლის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოში დასაქმებულთა მხოლოდ 36,0% დასქმებული მცირე ბიზნესში¹.

საქართველოში მცირე ბიზნესში ყველა დაგროვილი პრობლემების მოგვარება უნდა დაიწყოს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი ბიზნესს გარემოს შექმნით, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებებში გაზრდის წარმოების მოცულობას, საქონლის და მომსახურების ასორტიმენტსა და ხარისხის. მეტი პოპულარიზაცია და საზოგადოების ინფორმირება სჭირდება მცირე ბიზნესის სოციალურ როლსა და ფუნქციას, რადგან სწორედ ის არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობა იმისა, რომ ქვეყანაში დაიძლიოს უმუშევრობა და სიღარიბე, დასაქმდეს ბევრი ჩვენი მოქალაქე და შემცირდეს ქვეყნიდან კატასტროფიული მიგრაციის პროცესი.

- ერთ-ერთი მთავარი მიმართულება რაზეც ციფრული მარკეტინგის სპეციალისტები იქნებიან ორიენტირებულნი მომავალი წლების განმავლობაში და რაც ციფრული სამყაროს გამოწვევების მთავარი პასუხი იქნება არის ე.წ „მობილურიზაცია“, რაც ნიშნავს „სმარტფონების“ რესურსის მაქსიმალურ ათვისებას - „ორი ეკრანის“ პრინციპის გამოყენება უფრო და უფრო აქტუალური ხდება. საჭიროა მხოლოდ ამ პროცესების სწორი მართვა, აუდიტორიის სწორედ შერჩევა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მოსახლეობის თითქმის სრულ შემადგენლობას გააჩნია მობილური ტელეფონი და მუდმივი წვდომა აქვს ინტერნეტთან, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილზე შესაძლებლობა გვაქვს რეკლამირება გავუწიოთ ჩვენი ქვეყნის ტურისტულ გარემოს, დავანტერესოთ ადამიანები და დავხმაროთ არჩევანში, რომ ეწვიონ ჩვენს ქვეყანას. ვინაიდან, შესაბამისი აპლიკაციებისა და პროგრამების გამოყენებით „სმარტფონები“ საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ადრესატის ინტერნეტ სივრცეში გამოხატული ინტერესები, რაც გამოხატავს ადამიანის კონკრეტულ გემოვნებას, ამის საშუალებით კი შეგვიძლია კონკრეტულ აუდიტორიას მივაწოდოთ მათთვის საინტერესოდ შეფუთული შეთავაზება. მაგალითად სხვადასხვა თამაშისა თუ აპლიკაციის გაშვებისას გამოყენებული ფასიანი რეკლამით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით თუ ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. ასევე ყველაზე ხელსაყრელი და ამისთვის იდეალურია ვიდეო პორტალი „Youtube“ - ის გამოყენება, რომელიც მომხმარებლის ინტერესებს ავტომატურად ფილტრავს და მას შესაბამის რეკლამას სთავაზობს, უფრო კონკრეტულად კი თუ ადამიანი აპირებს მოგზაურობას და მის მობილურ ტელეფონში ეძებს სხვადასხვა ტურისტულ ქვეყნებს „Youtube“ ავტომატურად გაუწევს რეკომენდაციას საქართველოს თუ ჩვენ შესაბამის რეკლამას დავუკვეთავთ „Google-ს“. ე.წ „მობილურიზაციის“ არსიც სწორედ ამაში მდგომარეობს, რომ ადამიანი მუდმივად იღებდეს მისთვის საინტერესო ფორმაში შეთავაზებულ რეკლამას იმ მოწყობილობაზე, რომელიც მუდამ თან აქვს.



- დღეს, ციფრულ სამყაროში წამყვანი პოზიციები ეთმობა საძიებო სისტემის ოპტიმიზაციის (SEO) მიმართულებას¹. შესაბამისად, ტურისტული ინდუსტრიის გასაძლიერებლად შესაძლებელი სტრატეგიის, ერთ-ერთ პუნქტად აღნიშნული კუთხით მუშაობის გაძლიერებაც და ამ მიმართულებით სპეციალისტების ჩამოყალიბებაში ხელის შეწყობაც უნდა დავსახოთ. საძიებო სისტემის ოპტიმიზაციაზე დგას მთელი ციფრული სამყარო. მილიონობით ინფორმაციიდან, რომელიც თავს იყრის ციფრულ სივრცეში მოწინავე ადგილს უნდა იკავებდეს ჩვენს მიერ გავრცელებული სარეკლამო მასალა. მაგალითად, თუ მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში ადამიანი საძიებო სისტემაში პირობითად დაწერს „დასვენება ზაფხულში“, „მთიანი კურორტები“ და სხვა, ის საპასუხოდ პირველივე გვერდზე ნახავს ჩვენს მიერ საქართველოს ტურისტული კურორტების შესახებ გაკეთებულ რეკლამას, გაეცნობა სასტუმროების სიას, შეთავაზებულ მომსახურებასა და სხვა. გამოდის, რომ „მობილურიზაციის“, „ორი ეკრანის“ თეორიისა და შესაბამისად შერჩეული საძიებო სისტემის ოპტიმიზაციის გზით ვსახავთ სამოქმედო სტრატეგიას, რომელიც აუცილებლად მივა მოსახლეობის კონკრეტულ სეგმენტამდე, რომლებიც დასვენებისა და მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის კუთხით ეცნობიან მასალას და სხვადასხვა ქვეყანას შორის აკეთებენ არჩევანს.

- ვირტუალური რეალობა - სწორედ ასეთი სახელწოდება აქვს ტექნოლოგიას, რომელიც ვირტუალურ სამყაროში იმდენად მკაფიოდ ამოგზაურებს ადამიანს, რომ რეალობის შეგრძნებას დააუფლებს. დღეს, ეს მოწყობილობები სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება ჩვენს გარშემო. განსაკუთრებული აქტუალობა კი, Covid-19 პანდემიის პირობებში შეიძინა, როდესაც ტურისტები მხოლოდ ვირტუალურ სივრცეში მოგზაურობდნენ. ეს არის ციფრული სამყაროს მომავალი - როგორც მას სპეციალისტები უწოდებენ. მსოფლიოს წამყვანი ციფრული კომპანიები ყოველდღიურად ქმნიან ახალ აპლიკაციებს ამ მოწყობილობისთვის, მისი გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია 360°-ში ვიხილოთ ვიდეოები, რეკლამები, ვიმოგზაუროთ სხვადასხვა ადგილებში და ასე შემდეგ. მაღალხარისხიანი სარეკლამო რგოლები უკვე ასეთი მოწყობილობებისთვის იქმნება. შესაბამისად საჭიროა ჩვენც ვუპასუხოთ ციფრული სამყაროს ამ გამოწვევას და გადავიდეთ რეკლამირებისა და პროგრამირების სხვა ეტაპზე, ვინაიდან მომხმარებელს ყოველთვის ხარისხიანი პროდუქცია მოსწონს.

- თანამედროვე მოგზაურები აღარ ეყრდნობიან ტურისტულ აგენტებს ან სტატიებს ჟურნალებში, რათა გადაწყვიტონ თუ სად წავიდნენ . სხვადასხვა სოციალური მედიის არხები, სამოგზაურო ბლოგები და სხვა წყაროები პოტენციურ მოგზაურებს უნიკალურ შეხედულებებსა და შთაგონებას აძლევს, სხვადასხვა ტურისტული მიმართულებების შესახებ, რაც ციფრული მარკეტინგის ვირტუალური საგანძურია. დღეს მოგზაურები იყენებენ ყველა ტიპის ციფრულ მედიას, რაც ციფრულ მარკეტინგს უფრო დიდ წვდომას აძლევს, ვიდრე ეს ტრადიციულ მარკეტინგის შეუძლია. ტურისტული ინდუსტრიისთვის განსაკუთრებით სასარგებლოა ინფლუენსერ მარკეტინგი, რომელიც დღეს მთელს მსოფლიოში ძალზედ პოპულარულია, ბევრი ბლოგერი, ვლოგერი და სოციალური მედიაში ცნობილი სახეები მოგზაურობებ და იყენებენ მათ სივრცეს სოციალურ ქსელებში გამოცდილების გასაზიარებლად, რაც იძლევა ინტეგრირებულ აუდიტორიას პოტენციური მარკეტინგული შესაძლებლობებისთვის. შესაბამისად, სწორად შერჩეულ ინფლუენსერებთან მუშაობა იძლევა მომხმარებლის ნდობის მოპოვების შესაძლებლობას².

¹ <https://searchengineland.com/guide/what-is-seo>

² <https://m16marketing.com/travel-tourism-digital-marketing/>



ჩვენ ჩამოვთვალეთ ის გამოწვევები, რომელიც დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე დააყენა ციფრულმა სამყარომ, რომლის მიღებაც ჩვენი ვალდებულებაა, რადგან შევძლოთ და დავიმკვიდროთ თავი ამ სამყაროში. გამოწვევების საპასუხოდ კი, საჭიროა შევიმუშაოთ მკვეთრად გამოხატული სტრატეგია, რომლის დაგეგმვაში ჩართული უნდა იყოს, როგორც სახელმწიფო ასევე, ბიზნეს სექტორი და საზოგადოებაც. ჩვენს მიერ ჩამოთვლილ გამოწვევებშივეა სტრატეგიის შემუშავების გასაღებიც. ყოველივე ამის გათვალისწინებით შესაძლებელია ვუპასუხოთ ციფრული სამყაროს გამოწვევებს, გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყნის ტურისტული ინდუსტრია და გავაუმჯობესებთ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა.

დასკვნა

დღეს, თანამედროვე ტურიზმის ინდუსტრიაში წარმატებული ციფრული მარკეტინგის სტრატეგია უნდა მოიცავდეს, არა მხოლოდ მომხმარებელში მოგზაურობის სურვილის შთაგონებას და მათ წახალისებას სამოგზაუროდ, არამედ, საბოლოო ჯამში, მოგზაურთა ლოიალობის მოპოვებას, რათა მათ მომავალშიც გააგრძელონ კონკრეტულ ტურისტულ კომპანიასთან ურთიერთობა, მომავალი მოგზაურობის დაგეგმისთვის. დღეს, ჩვენს ირგვლივ ბიზნეს მოდელები რადიკალურად გარდაიქმნება დიגיტალიზაციის გზით. იქმნება ახალი შესაძლებლობები, რადგან ცვლილებების ტემპი იზრდება და ახალი ტექნოლოგიების რაოდენობა კვლავ მატულობს. ეს გვიჩვენებს, რომ ციფრული ტრანსფორმაცია სრულად არ განხორციელებულა ჩვენი ქვეყნის ტურისტულ ინდუსტრიაში. ამიტომ, ტურისტულმა კომპანიებმა უნდა მიიღონ ცვლილება, რომელიც მოდის ციფრული ტრანსფორმაციისგან და სწრაფად დაეწიოს ტენდენციას ბიზნეს მოდელის ხელახალი შემოწმებით, კომპანიის მართვის მოდელის გადახედვით და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია - სტატისტიკური მონაცემები <https://tinyurl.com/2s4yw5wa> [გადამოწმებულია 14.11.2022]
2. <https://searchengineland.com/guide/what-is-seo> [გადამოწმებულია 14.11.2022]
3. Innovative Travel Marketing Strategies To Maximize ROI ; <https://ml6marketing.com/travel-tourism-digital-marketing/> [გადამოწმებულია 14.11.2022]
4. Digital Marketing Strategy: Strategy, Implementation and practice – Dave Chaffey, Fiona Ellis - Chadwick -2019
5. <http://www.realitytechnologies.com/virtual-reality> [გადამოწმებულია 14.11.2022]
6. TOP 5 SIGNIFICANT TRENDS OF DIGITAL TRANSFORMATION IN TRAVEL AND TOURISM INDUSTRY 2022 <https://magenest.com/en/digital-transformation-in-travel/> [გადამოწმებულია 14.11.2022]
7. Digitalization of the tourism industry: What are the impacts of the new wave of technologies (archives-ouvertes.fr) <https://hal.archives-ouvertes.fr/hal-03523747/document> [გადამოწმებულია 14.11.2022]



Post Covid და საქართველოს ჯანდაცვის განვითარების კონცეპტუალური საკითხები

ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გურამ თავართქილაძის სახელობის

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, სამღერეთის ქ. №5

+995599274443

lali.chagelishvili@gttu.edu.ge

აბსტრაქტი

როგორ უნდა გაგრძელდეს Post Covid პერიოდში ჯანდაცვის სფეროს ფუნქციონირება? ის უნდა მიყვეს ადრინდელ ჩვეულ რიტმს, თუ უნდა მოხდეს მისი რეანიმაცია? რა გზები უნდა დაისახოს სფეროს წინაშე, რომ მან გააგრძელოს განვითარებისკენ სტაბილურად სვლა და ნებისმიერი სირთულეების გამკლავება.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემა.

ქვეყნის ჯანდაცვის სფეროს მდგრადი განვითარების მთავარ პრობლემას ჯანდაცვის სტრუქტურების არასაკმარისი მატერიალურ ტექნიკური ბაზა, სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა და მწირი ფინანსური რესურსია.

გლობალური ცვლილებების პირობებში კი არსებული რესურსებით საზოგადოების სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურება შუძლებელია.

პრობლემის შესწავლისა და კვლევისათვის შერჩეულ იქნენ თბილისის, ქუთაისის, ზესტაფონის, ონი-ამბროლაურის, ზუგდიდის და კახეთის რეგიონის ჯანდაცვის სტრუქტურები. აღნიშნული რეგიონების სამედიცინო სტრუქტურების თანამედროვე მდგომარეობის გაანალიზების საფუძველზე, ნაშრომის ბოლოს ჯანდაცვის სფეროს გრძელვადიანი, მდგრადი განვითარებისათვის წარმოდგენილია კლასტრის კონცეფტუალური მოდელი.

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვის კლასტერი; მდგრადი განვითარება.



POST COVID AND CONCEPTUAL ISSUES OF HEALTH CARE DEVELOPMENT IN GEORGIA

Lali Chagelishvili-Agladze

Doctor of Economic Sciences, Professor

Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching

University

Tbilisi, Samghereti st. №5

+995599274443

lali.chagelishvili@gttu.edu.ge

Abstract

How should the healthcare sector continue to function in the post-Covid period? Should it follow its previous normal rhythm or should it be resuscitated? What are the ways that should be set in front of this field so that it can continue to move steadily towards development and overcome any difficulties.

The aim of the work is to answer these questions.

The main problem of the sustainable development of the country's healthcare sector is the insufficient material and technical base of the healthcare structures, lack of medical personnel and scarce financial resources.

In the conditions of global changes, it is impossible to provide full medical services to the society with the available resources.

In order to carry out the research and study the problems, the healthcare structures of Tbilisi, Kutaisi, Zestafon, Oni-Ambrolauri, Zugdidi and Kakheti regions were selected.

At the end of the paper, for the long-term, sustainable development of the healthcare sector, based on the analysis of the modern state of the medical structures of above mentioned regions, a conceptual model of the cluster is presented.

Keywords: Sustainable Development; Healthcare Cluster

შესავალი

Covid-19-ის პერიოდმა ცხადად დაგვანახა ის საჭიროებები და აუცილებლობები, რაც ქვეყნების წინაშე დადგა. ძლიერი მოთამაშეებიც კი ვერ გაუმკლავდნენ იმ გამოწვევას, რაც პანდემიის პერიოდში წარმოიშვა მთელს მსოფლიოში. ვერც მიკრო და ვერც მაკრო დონეზე ეკონომიკური სტრუქტურები მზად არ აღმოჩნდნენ გამკლავებოდნენ ამ გაუთვალისწინებელ მოვლენას.

სახელმწიფო დონეზე ყველა ქვეყანამ შეიმუშავა პანდემიის პერიოდში კრიზისების მართვის სახელმწიფო პროგრამები, რაც პირველ ყოვლისა ჯანდაცვის სფეროს მხარდაჭერას და დახმარებას გულისხმობდა; ყველა სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა მის გარშემო



მობილიზდა. “მაგრამ ეს პროგრამები ითვალისწინებდა მოკლევადიან პერიოდში პრობლემების დაძლევის და პანდემიის რისკების შემცირებას”[1].

პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ქვეყნების მდგრადი განვითარებისათვის სულ უფრო მეტად საჭირო გახდა სახელმწიფოს მხრიდან ენტროპიული განუსაზღვრელობის პირობებში კონცეპტუალური ხედვის ჩამოყალიბება და გრძელვადიანი, სტრატეგიების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და მდგრადობას არა მხოლოდ კრიზისების პერიოდში, არამედ ეფექტური იქნება ასევე სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობებშიც.

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება დარგების, რეგიონების კლასტერიზაციის კონცეფცია. მ. პორტერისეული კლასტერული სტრატეგიები სწორედ იმ კავშირების შემცველია, რაც განაპირობებს განუსაზღვრელობის პირობებში სისტემის სიმყარეს, მდგრადობას და ხელს უწყობს მის სტაბილურობას. აღნიშნული კი ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ისეთ სფეროში, როგორცაა ჯანდაცვა.

ყველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში ყურადღება შევაჩერეთ ჯანდაცვის სფეროს მდგრადი განვითარების კონცეფციაზე კერძოდ, ჯანდაცვის კლასტერის ფორმირების მეთოდოლოგიაზე.

ძირითადი ნაწილი

როგორ უნდა გაგრძელდეს Post Covid-ს პერიოდში ჯანდაცვის სფეროს ფუნქციონირება? ის უნდა მიყვეს ადრინდელ ჩვეულ რიტმს, თუ უნდა მოხდეს მისი რეანიმაცია? რა გზები უნდა დაისახოს სფეროს წინაშე, რომ მან გააგრძელოს განვითარებისკენ სტაბილურად სვლა და ნებისმიერი სირთულეების გამკლავება. ეს ის კითხვებია, რომელიც დაისვა ჩვენს წინაშე კვლევის დაწყებისას და რომლებზეც პასუხის გაცემასაც შევეცადეთ მოცემულ ნაშრომში.

კვლევისას, Covid-19-ის და Post Covid პერიოდში ჯანდაცვის სფეროში არსებული მდგომარეობის გასაანალიზებლად, ჩვენს მიერ შერჩეულ იქნენ თბილისის, ქუთაისის, ზესტაფონის, ონი-ამბროლაურის, ზუგდიდის და კახეთის რეგიონის ჯანდაცვის სტრუქტურები. თვისებრივმა კვლევამ დაგვანახა ის რეალური სურათი, რაც ჯანდაცვის სფეროშია.

პირველ ყოვლისა, როდესაც მსგავს პრიორიტეტულ დარგებში ხდება გარკვეული გრძელვადიანი ხედვების განხორციელება, რაც შესაძლოა რადიკალურ ცვლილებებთანაც იყოს დაკავშირებული, საჭიროა სახელმწიფო პოლიტიკის მიდგომების შესწავლა და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა.

სწორედ ამიტომ, კვლევის დასაწყისში ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა ჯანდაცვის სფეროს საინფორმაციო ბაზა, პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, რის საფუძველზეც შემუშავებულ იქნა დარგში კლასტერის ფორმირების სახელმწიფო პოლიტიკის მიდგომები, რომელიც ითვალისწინებს დარგში კლასტერის შექმნის სტრუქტურული მიდგომების არსებობას. ეს უკანასკნელი მოიცავს:

- ჯანდაცვის კლასტერის სახელმწიფო პოლიტიკას;
- ჯანდაცვის ინდუსტრიის განვითარებაში ინოვაციურ მიდგომას;
- ჯანდაცვის კლასტერის ვერტიკალური მართვის პოლიტიკას;
- ჯანდაცვის კლასტერის კლინიკური მართვის მოდელს;



➤ მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული ჯანდაცვის კლასტერის მოდელს.

ჯანდაცვის კლასტერების ფორმირების წარმოდგენილი პოლიტიკის დანიშნულებაა მდგრადი განვითარების კლასტერების შექმნა და მისი რეალიზებისათვის მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის დონეზე ჯანდაცვის კლასტერების შედეგიან ფუნქციონირებას.

სტრუქტურულ მიდგომებში ნიშანდობლივია კლასტერების ვერტიკალური მართვის პოლიტიკა, რაც სფეროს სპეციფიკითაა განპირობებული. ვერტიკალური მართვის პოლიტიკა მიზანმიმართული უნდა იყოს დარგის მდგრადი გვითარების ხელშეწყობისაკენ შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების შემუშავება-განხორციელების გზით.

ჯანდაცვის სფეროს კლასტერების ფუნქციონირების შედეგიანობა დაკავშირებულია ისეთი სახელისუფლებო ორგანოებს შორის ურთიერთობებთან, როგორებიცაა:

➤ კლინიკური განვითარებისათვის - ჯანდაცის სამინისტრო; რეგიონული მუნიციპალიტეტები; სადაზღვევო სტრუქტურები; კლინიკების ადმინისტრაცია;

➤ ინოვაციური ფორმების/მიმართულებების მხარდაჭერა/განვითარებისათვის - ქვეყნის და რეგიონის საბიუჯეტო დაფინანსების წყაროები; ფინანსური ინსტიტუტები;

➤ ხელსაყრელი ინფრასტრუქტურის(მიკრო გარემო) უზრუნველსაყოფად - მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო, ადამიანური რესურსების უზრუნველყოფი სტრუქტურები;

➤ კლასტერული მშენებლობის სფეროს უზრუნველსაყოფად - სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის ბიზნეს სფეროები; სადაზღვევო ინსტიტუციები;

➤ კლასტერების ბრენდის წინ წაწევისათვის - საერთაშორისო კლასტერებში ჩართვა.

მჭიდრო ურთიერთქმედება ხელისუფლებასა და ჯანდაცვის კლასტერების მართვის ორგანოებს შორის განაპირობებს ქვეყნის მასშტაბით ჯანდაცვის სფეროს მდგრად განვითარებას. კლასტერებში ხელისუფლებისა და ბიზნესის წარმომადგენლების დაბალანსებული ურთიერთობით შესაძლებელი იქნება ქვეყნის მიმზიდველ დესტინაციად გადაქცევა. ხელისუფლებამ ჯანდაცვის სფეროში, უნდა მოახდინოს ადმინისტრაციული უფლებამოსილების ნაწილის გადაცემა ჯანდაცვის კლასტერების მენეჯმენტისათვის, თვითონ კი რესურსების კონცენტრირება მოახდინოს მიზნობრივი პროგრამების მხარდაჭერისათვის სამიზნე აუდიტორიაზე. აღნიშნული უზრუნველყოფს საზოგადოებაში (მიკრო/მაკრო დონეზე) ჯანდაცის და სადაზღვევო (ჯანმრთელობის დაზღვევის) კულტურის ჩამოყალიბებას, სამედიცინო სტრუქტურებისა და კადრების განვითარებას[1];

ჯანდაცვის კლასტერი ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ საზოგადოების დიაგნოსტიკურ, ამბულატორიულ თუ ჰოსპიტალურ მკურნალობაზე, არამედ უნდა უზრუნველყოფდეს ასევე პროფილაქტიკურ, სამკურნალო-გამაჯანსაღებელ მომსახურებას. სწორედ ამ გზით, ასეთი სტრუქტურის რეალურად განხორციელების შედეგად შეგვიძლია მივაღწიოთ სამკურნალო კურორტებზე მოთხოვნის ზრდას არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო დონეზეც, რაც კონკურენტული უპირატესობების მოპოვებისათვის მნიშვნელოვანი და ჯანდაცვის ბრენდების წინწაწევისათვის წინ გადადგმული ნაბიჯია.




დასკვნა

ჩვენს მიერ შემუშავებული ჯანდაცვის მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომელიც დარგში კლასტერების ფორმირებაში გამოიხატება, ხელს შეუწყობს ენტროპიული განუსაზღვრელობის(და არა მარტო) პირობებში ჯანდაცვის და მისი ხელშემწყობის სტრუქტურების მოქნილად ფუნქციონირებას, პროცესების უწყვეტობას და მთლიანად დარგის სტაბილურად განვითარებას.

კლასტერის თავისებურება და მიმზიდველობა ასევე მისი დადებითი მულტიპლიკატორის ფუნქციაშია. რაც იმას ნიშნავს, რომ ის უზრუნველყოფს კლასტერში შემავალი ყველა დარგის, სტრუქტურების, ინსტიტუციების სინქრონულად განვითარებას და მათზე მოთხოვნას, რაც საბოლოოდ დადებითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგის მომტანია.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, წარმოგიდგენთ ჯანდაცვის სფეროს კლასტერის კონცეპტუალურ მოდელს:



სქემა 1. ჯანდაცვის სფეროს კლასტერის კონცეპტუალური მოდელი



ჯანდაცვის სფეროს კლასტერული განვითარების საჭიროება კიდევ ერთხელ დასტურდება სფეროში არსებული დღევანდელი მდგომარეობით, როდესაც კოვიდის შემდეგ, ახალი ვირუსის ტალღა იმდენად სწრაფად ვრცელდება, რომ ამ პერიოდისათვის კლინიკებში ადამიან-საწოლთა რაოდენობა საკმარისი აღარ არის და სპეციალისტები დეკემბრის ბოლოსათვის რისკ ფაქტორების მატებასაც ვარაუდობენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ჩაგელიშვილი-აგლაძე, საქართველოს ჯანდაცვის სფეროში კლასტერების ფორმირების მეთოდოლოგიური საკითხები; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი "მოამბე"; XLV 2022
2. ლ. ჩაგელიშვილი-აგლაძე. პანდემია და რეგიონის ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური საკითხები; პ.გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული ; 2020
3. ლ.ჩაგელიშვილი-აგლაძე, ენტროპიული ეკონომიკა და ცვლილებების მართვის კონცეპტუალური საკითხები; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული; გორი 2018;
4. Jonauskis, M., 2007, *Technology platforms and cluster development in Lithuania*, Paper presented at International Conference: "Clusters Connecting possibilities in South East Europe", April 20-21, Opatija: Ministry Of Economy, Transport and Communications of the Republic of Croatia. Available at: www.migpv.rh
5. Ketels, C. H. M., 2003, *The Development of the cluster concept – present experiences and further developments*; Prepared for NRW conference on clusters, Duisburg, Germany, 5 Dec 2003.
6. Ketels, Ch., 2004, *European Clusters*, Hagbarth Publications 2004.
7. O. Solvell, G. Lindqvist, C. Ketels, *Cluster Initiatives in Developing and Transition Economies*, ISBN 91-974783-2-6; Center for Strategy and Competitiveness, Stockholm, First edition, May 2006;
8. OECD, 2001, *World Congress on Local Clusters: Local Networks of Enterprises in the World Economy*; Issues paper; 23-24 January, 2001
9. *Prioritizing Diseases for research and development*; WHO; 2022;
<https://www.who.int/activities/prioritizing-diseases-for-research-and-development-in-emergency-contexts>;
10. EPI-WIN: WHO Information Network for Epidemics; WHO, 2022;
<https://www.who.int/teams/epi-win>;
11. COVID-19 Vaccine Delivery Partnership; WHO;
2022 <https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019/covid-19-vaccines/covid-19-vaccine-delivery-partnership>

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები
HUMANITY AND SOCIAL SCIENCES

COMPLEX STRUCTURES IN ENGLISH: INFINITIVE CATEGORIES

Leila Berishvili

PhD of Education

Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University

Tbilisi, Samghereti #5

+995 597 57 9339

leila.berishvili @ gttu.edu.ge

Abstract

English non-finite forms of the verb are the subject of constant research and controversy among scholars. Their binary morphological nature and diverse distribution in a sentence is very important when creating a text (discourse). The infinitive is the root of the verb paradigm, which has acquired more and more verb nature over the centuries, while maintaining its own noun signs. Aspect, gender, and other verb characteristics were revealed in the infinitive later after a long period of transformation. The English verb also underwent changes and its category of person and number moved from morphology to part of the syntactic field.

The ability of the infinitive to form a secondary predication means that it moves from the periphery of the verb system almost to the level of personal forms.

If the personal verb is realized in the only position, the component of the predicate for the infinitive is one of many possibilities. Expression of verb categories by infinitive depends on its syntactic position and semantic factor. The retroactive infinitive and its positioning in the sentence are discussed, as well as the classification of cases of unmarked infinitive is given. The unmarked infinitive is not considered an invariant of the infinitive, but its special form.

Keywords: Non-finite forms of the verb, infinitive, binary characteristics of the verb, finite forms of the verb, morphological categories of the non-finite forms



ინგლისური ენის კომპლექსური სტრუქტურები: ინფინიტის კატეგორიები

ლეილა ბერიშვილი

განათლების მეცნიერებათა დოქტორი

გურამ თავართქილაძის სახელობის

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

თბილისი, სამღერეთის #5

+995 597 57 9339

leila.berishvili @ gttu.edu.ge

აბსტრაქტი

ინგლისური ზმნის უპირო ფორმები მუდმივი კვლევის საგანია და მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მათი ბინარული მორფოლოგიური ბუნება და მრავალფეროვანი დისტრიბუცია წინადადებაში მეტად საყურადღებოა ტექსტის (დისკურსის) შექმნისას. ინფინიტივი ზმნის პარადიგმის სათავეა, რომელმაც საუკუნეთა განმავლობაში სულ უფრო მეტი ზმნური ბუნება შეიძინა, მისივე სახელური ნიშნების შენარჩუნების ფონზე. დროთა განმავლობაში ინფინიტივში გამოიკვეთა ასპექტი, გვარი და სხვა ზმნური მახასიათებლები. ცვლილებები განიცადა ინგლისურმა ზმნამაც და მისი პირისა და რიცხვის კატეგორია მორფოლოგიიდან სინტაქსური სფეროს ნაწილად იქცა.

ინფინიტივის უნარი, წარმოქმნას მეორადი პრედიკაცია, ნიშნავს, რომ ზმნური სისტემის პერიფერიიდან იგი ინაცვლებს თითქმის პირიანი ფორმების დონემდე.

თუ პირიანი ზმნა ერთადერთი პოზიციით რეალიზდება, ინფინიტივისთვის პრედიკატივის კომპონენტობა ერთ-ერთია მრავალ შესაძლებლობათაგან. ინფინიტივის მიერ ზმნური კატეგორიების გამოხატვა დამოკიდებულია მის სინტაქსურ პოზიციასა და სემანტიკურ ფაქტორზე. იკვეთება რეტროაქტული ინფინიტივი და მისი პოზიციონირება წინადადებაში, ასევე მოცემულია არამარკირებული ინფინიტივის შემთხვევების კლასიფიკაცია. არამარკირებული ინფინიტივი განიხილება არა ინფინიტივის ინვარიანტად, არამედ მის განსაკუთრებულ ფორმად.

საკვანძო სიტყვები: ზმნის უპირო ფორმები, ინფინიტივი, ზმნის ბინარული მახასიათებლები, ზმნის პირიანი ფორმები, უპირო ფორმების მორფოლოგიური კატეგორიები

Introduction

The binary grammatical properties of the non-finite forms of the English verb (on the one hand, verbal and nominal, on the other hand, adverbial -adjectival) and their wide realization in predicative constructions have numerous become the subject of research.



Both the overview and specific details of the English non-finites given below will draw the attention of students, Bachelor's and Master's, as well as doctoral ones, teachers, wide range of researchers, interested in the complex nature of the English Verb non-finites.

Before presenting the research in a bigger picture -on the functioning of the English non-finites in a sentence-their distribution in different positions, the study starts with the part of the Infinitive's structural analysis against the historical background.

The term non-finite forms indicates that they are included in the verb system and represent the opposition of the finite forms. The non-finites are sometimes called nominal, non-predicate forms. The term "nominal" contradicts to the nature of the verb, however, it emphasizes the hybridity of these forms. The term "non-predicate" draws attention to their non-verbal character, while the component position of the infinitive and the gerund in the compound predicate is wide enough, as well as the ability of the infinitive and the participle to create complex verbal constructions.

The Georgian grammar term "arafinituri" is derived from the English "non-finite", which, in turn, emphasizes one of the most essential features of the non-finite forms - the lack of a person. Thus, the finite form gives a signal to its only syntactic function - predicate, which it represents independently or with other elements. Non-finite forms, taken alone, cannot give this signal.

In English linguistic terminology, there are also in use "verbal", "verbid", "non-conjugate" to denote the non-finites. Traditionally, the non-finite forms include the infinitive, the gerund, and the participle .

Structural-semantic and functional analysis of the infinitive in English

The basic unit of the verb semantic-structural system is the infinitive, the first form of the verb, considered as the origin of the verb paradigm. " The infinitive is originally a verbal noun, which acquired more and more verb power over the centuries" (Curme, 1911, 448). Even in the Old English period, the infinitive with the suffix -an was included in the basic forms of the verb : writen-wrat-writon-writen. To express the direction and purpose, it used the Dative with the preposition to, added the ending -ne /to drincenne/. J.Nesfield called the latter the Dative or Gerundial Infinitive, and the first one - /drinc-an/- the simple or Noun-infinitive. With Nesfield, this division must have taken place on a functional basis. The infinitive stood with the verbs that expressed the beginning and continuation of the action, also with want -type and preterite-present verbs (Nesfield, 1944, 470). In the Middle English period, the tendency of the language towards analytical forms gradually took place.

The verbs scullan, willan lost the understanding of modality- they were grammaticalized with the morphological-semantic marker of the future. In the same period, the infinitive lost the endings - an , -enne, while to became the marker of the infinitive / to beginnen, to longen/. However, in the adverbial position it accompanies the infinitive even today. With Chaucer, the infinitive is found already with its established functions: He first began to riden out.- a compound predicate. In the Old English period, even the presence of the complex construction -accusative with the infinitive- is observed.

The English infinitive followed the same path as all the infinitives of the Indo-European languages, in which the nounal markers were somewhat narrowed by the development of the verbal ones.



First it lost the Case and the left-handed distribution /prepositional /. Over time, the morphological features of the verb: aspect, voice, time relation and the ability to express the secondary predication became apparent. While the research it was evident, that the verbalization of the infinitive has not stopped even today: the realization of aspectual oppositions in the noun in the passive voice, the developing of the predicate use of the infinitive in syntactic model-independent nominal case with infinitive.

The research manifested, that the infinitive's tendency towards verbal properties cannot be explained unilaterally. The verb itself has undergone some morphological changes: such categories as person and number have moved from morphology to the field of syntax. In a way, the border between finite and non-finite forms disappeared: both categories are completely neutralized in the modern infinitive. Thus, it takes a subjective relation in the syntactic position and cannot get out of the secondary predication frame. The ability developed in the infinitive to indicate secondary predication in certain syntactic constructions /object with infinitive, nominative with infinitive, for-to infinitive phrases/, demonstrating that it has moved from the periphery of the verb system to the level of the finite forms. The finite form of the verb is a verbal part of the predicate, the infinitive- is the center of the secondary predication, i.e. a lower-level syntactic unit. For a finite verb, the position of the predicate is the only one, for the infinitive, the secondary predication is one of many possibilities.

Among its morphological categories, the infinitive represents tense, aspect, and voice. The category of tense in the infinitive is relative, non-absolute; it manifests two temporal relations: non-preceding – non-priority, simultaneity, contemporaneity, coincidence, nonperfect; and preceding – priority, perfect, i.e. infinitives I and II, which B. Ilish calls respectively, simple, present tense infinitive (indefinite), single and complete, perfect. (Ильиш 1958, 346).

In the opposition perfect::imperfect /V1::to have +V 3/ the perfect is marked with the meaning of priority. The unmarked imperfect has no typical indicator. In terms of content, it is used to express simultaneity and subsequent action, which depends on the contextual conditions, the semantic connection of the infinitive with the personal verb. The sequence of action is determined by the semantics of the finite verb, and in other cases - by the syntactic function of the adverbial modifier of purpose. The infinitive is a signal of the orientation of the next action, however, it is not the future tense itself, but relative to the action of the personal verb. Irene turned to answer (JG).

Studying different structures made the connection between English verb tense and modality especially visible. The first component of this verbal connection expresses the intention, expectation of action, i.e. the action must take place in the future. " Therefore, the use of the perfect infinitive is quite inappropriate here." (Fowler 1985). It is given a modal meaning, as the use of the perfect infinitive adds an unrealistic look to the predicative utterance: It could not have been anything serious or I should have remembered.

Positive constructions are dominated by the invariant (basic, paradigmatic) semantics of modal verbs along with options of assumption and probability. Such an influence of the tense form on the semantics is also due to the fact that modal verbs do not have perfect forms and the future tense.

The modal verb expresses the attitude of the subject to the action of the infinitive and gives it an evaluation with the words - definitely, perhaps, maybe. It must have been one of the servants. Thus, the expression of the sequence of action by the infinitive has a positional-semantic character. It is a potential



action, however, simultaneity is not excluded: Over time people began to be looking at something that was not there (Turow). To me he always seemed to be looking at something that was not there (Fowl).

It becomes clear, that the infinitive conveys the next action in independent or dependent positions – 1) of an object, with ask, beg, order, advise-type verbs: And you did not even ask me to come with you (Abr). 2) of an attribute - with nouns of adverbial and adjectival origin: decision, desire, ability, intention, etc. I had formed even the most secret ambition to hold John's job myself (Turow). 3) With specific nouns /passive form neutralization/: Something to forgive is purer than geometry (Gold). In some contextual conditions, the non-perfect form also expresses predominance, i.e. a situation where the opposition of time becomes neutral: He was surprised to find that she was there (Chr).

The structure to be going to is considered as the one with relative semantics. The given predicate syntagma in the language system expresses the potential field of the indicative mood, allowing to be considered as the means of expressing the future, that is the analytical form of the immediate future with a sense of duration of action, which makes it more emotional than the "ordinary" future tense.

It makes the entire statement relative to reality with a flair of modality.

To go is desemantized: it does not express the determination of the existing regularity, but it is a personal opinion, implied in the semantics of the context. To be going to +infinitive has lost the content of movement and has become a pure grammatical form; it is also used with verbs of movement and gives the sentence the meaning of perspective: How far were they going to go? (JG).

Thus, simultaneity, sequence or priority, antecedence expressed by the infinitive depends on its syntactic position and semantic factor.

The voice category in the infinitive is of later period, as the analytical origin of the passive forms of the verb is more recent, compared to the active forms. In the indefinite forms, a certain neutral attitude to the distinction between the active and the passive is still observed.

There are contexts where infinitive verb forms have the meaning of passive: the infinitive denotes an action not produced but experienced by the grammatical subject. Jespersen calls the difference between the form and content of the infinitive –the retroactive infinitive (Jespersen, 1949, 345).

The research observed that in the early period of English, the infinitive had more nounal properties and was neutral to the voice category. The retroactive infinitive has lost the function of the predicate member with the verb. Currently we can find several cases of this syntagma: is to blame, is to let.

Thus, the retroactive infinitive is realized:

1. In the position of an attribute, where it is synonymous of the passive: I had no time to lose. (Abr). I knew there was no time to be lost (JG).
2. In the position of an attribute with a predicate member: Scrooge was not a man to frighten by echoes (Dck). His father's writing was easy to read (JG).
3. In the "there is" construction: There was nothing to do just now (Gas).
4. In the position of an attribute with a predicate member, structural subject: It was sufficient to sit here, to breathe, to look at the river ...simply to exist (Brain).

Marked passive is opposed by unmarked active, the meaning of which is realized in speech as active-(dominant), or as passive-(retroactive). It depends on the lexical meaning of the verb.

The aspect is presented by non-continuous and continuous forms opposition:

to invite::to be invited::to have invited::to have been inviting.



Mood is not superficially expressed in the infinitive, but the infinitive acquires a modal value in a concrete syntactic context, and is an equivalent to the form of the subjunctive mood to convey an unreal condition, especially when using the perfective infinitive: To have said that on the eighteen would have given father a fit (JG).

It is also worth noting that marked and unmarked infinitives diverge in the process of language evolution. The unmarked infinitive is a special form, not a variant of the infinitive.

The marker gives the infinitive the ability to nominate, and its functions are determined accordingly by the substantive properties - subject, object, predicate part. Infinitive expanded marginal positions, those of an attribute and an adverbial. And the unmarked infinitive strengthened the predicate component functions. Thus, the infinitive is marked with to-particle, but it (-to) “does not have particle functions, it is a kind of a morpheme to form the infinitive structure” (Khaimovich 1967, 297).

Sometimes the marker splits the infinitive in some position, which is caused by the logical accent mostly. This is accompanied by a shift of the adverb or a particle, the rhythm of the sentence changes. This event is equivalent to using a complex sentence: He was unable to long keep silence. She seemed to really like her old grey bonnet better.

The bare infinitive is used with:

1. Modals, with the exception of: ought to, have to
2. With the auxiliary verbs
3. Causatives: let, make, help, get
4. With-had better, would sooner, would rather
5. With verbs dare, need, /with -to also
6. In the emotional phrases: why not take-type, where should not is meant
7. With verbs to know, to help
8. In the imperative without a pronoun introductory
9. In the Subjunctive I
10. In the relative structures, like-So be it!
11. Phrases, like: I could not do nothing but
12. In the phrases, expressing obligation: can't help, but.

The Infinitive Categories and Tense Forms

Tense (order)	Aspect	Voice	
		Active	Passive
Non-perfect	Non-continuous (Indefinite)	To speak	To be spoken
	Continuous	To be speaking	
Perfect	Non-continuous	To have spoken	To have been spoken
	Continuous	To have been speaking	



Conclusion

The non-finite forms of English verbs are characterized by intense exploitation on the highest communicative level that make them a subject of constant research leading to differences of opinions among scholars. Their binary morphological nature and diverse distribution in the sentence is very important when creating a text (discourse). The infinitive is the root of the verb paradigm, which over the centuries has acquired more and more of a verb nature, regardless of its noun signs. Over time, aspect, gender, and other verb characteristics were revealed in the infinitive. The English verb also underwent changes: its category of person and number moved from morphology to the syntactic field. The ability of the infinitive to form a secondary predication means that it moves from the periphery of the verb system almost to the level of personal forms. If the personal verb is realized in the only position, the component of the predicate for the infinitive is one of many possibilities. Expression of the verb categories by infinitive depends on its syntactic position and semantic factor. The retroactive infinitive and its positioning in the sentence, as well as the classification of cases of the unmarked infinitive are discussed. The unmarked infinitive is not considered an invariant of the infinitive, but a special form. Thus, the infinitive as an active component of the sentence is under special scrutiny when constructing the narrative. The century-old process of semantic transformation of the infinitive is still going on.

Bibliography

1. Curme, G.O. 1911. A Grammar of the English Language, vol.3. London.
2. Fowler H.W. 1985. A Dictionary of Modern English usage. - Oxford. - N.Y. university Press.
3. Jespersen, O. 1949. A modern English Grammar on historical principles, Copenhagen-London, P. II. V4.
4. Khaimovich, 1967. B.S. A Course in English grammar. M.
5. Nesfield, J.C. 1944. English Grammar Past and Present in three Parts. London-Michigan. PI.
6. Ильиш, 1958. История английского языка, М.

Fiction:

- Abrahams, P. 1976. The Pat of Thunder, M.
Christie, A. 2003. Stories. M.
Dickens, Ch. 1960. Oliver Twist. M.
Fowles, J. 1985. Ebony Tower. London.
Galsworthy, J. 1975. The Forsyte Saga. M.
Gaskel, E. 1976. Stories. M.
Golding, W. 1982. Free Fall. Norfolk.
Turow, S. 1983. Presumed innocent. N.Y.



ავტორები

რაინჰარდ პაულინგი – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

ნინო ბოჭორიშვილი – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გივი ლობჯანიძე – სამართლის დოქტორი, პროფესორი გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

თამარ ებრალიძე – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

გიორგი ხუნაშვილი – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი სამართლის დოქტორი, ასოც. პროფესორი

დავით ხობელია – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართლის დოქტორი, ასოც. პროფესორი

ნუგზარ თევდორაძე – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ედიშერ ფუტყარაძე – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის, დოქტორი, პროფესორი

დავით ვეკუა – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის, ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თინათინ – კუბლაშვილი გურამ თავართქილაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ლელა – აბდუშელიშვილი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, განათლების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სოფიკო თევდორაძე – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ბიზნესის მართვის დოქტორი, პროფესორი

ნინო ჭანტურია – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ასისტენტ პროფესორი

ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლეილა ბერიშვილი – გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი



AUTHORS

Reinhard Pauling - Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Doctor of Law, Professor

Nino Botchorishvili – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, PHD in Law, Associate Professor

Givi Lobzhanidze – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Doctor of Law, Professor

Tamar Ebralidze – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Doctor of Law, Professor

Giorgi Khunashvili – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Doctor of Law, Associate Professor

Davit Khobelia – Samtskhe-Javakheti State University, Doctor of Law, Associate Professor

Edisher Phutkaradze – Sokhumi State University, Doctor of Law, Professor

Nugzar Tevdoradze – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Doctor of Law, Associate Professor

David Vekua – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Doctor of Economics, Associate Professor

Tinatin Kublashvili – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, PhD in History, Associate Professor

Lela Abdushelishvili – International Black Sea University, PhD in Education, Associate Professor

Sofiko Tevdoradze – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Doctor of Business Administration, Professor

Nino Chanturia – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Assistant Professor

Lali Chagelishvili-Agladze – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Doctor of Economic Sciences, Professor

Leila Berishvili – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, PhD of Education

ფასი სახელშეკრულებო



გამომცემლობა „უნივერსალი“

Tbilisi, 0186, a. politkovskaias #4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com